საერთო გაზეთი

№20 (373) • 8 ივნისი, 2016 წ. • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.

ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ტელე-ჟურნალისტებთან

„ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ საშუალოდ 95 კაცით მოვა პარლამენტში“

ლაშა გვასალია:

სამეგრელოს მოსახლეობამ ბოკერია, მელია, გუნავა, ხერხეულიძე, წიკლაური, ნადირაშვილი და სხვები პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა და ამის შესახებ მალე ოფიციალურად ვაუწყებთ საზოგადოებას

სანიკიძე წავიდა, ჯეჯელავა მოვიდა, მაგრამ „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?“

მამა ბასილი:

როგორ შეიძლება, რვა ადამიანის მკვლელი ბოკერია სასჯელს არ იხდიდეს?

„თოლორაია, მეუ ყუდეშა, ბაბა, გოგალუ!“

ვაჟა ბერიძე:

„მე მომავალი ასეთი მსურს ამა ქვეყნისა – თავისუფალი ბრბოსგან, ისე როგორც მეფისგან“

გრიგოლ გაგნიძე:

ნიკა გვარამიას აგრესიულობა ეჭვს ბადებს, რომ ის ნარკოდამოკიდებულია

ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ჟურნალისტებთან

სამშაბათს, ჟურნალისტებთან შეხვედრაზე, ბიძინა ივანიშვილი ბევრ მნიშვნელოვან საკითხს შეეხო. გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს მის მიერ გამოთქმული მოსაზრებებიდან.

ჯოფილ და ახლანდელ პრემიერ-მინისტრებზე

„თქვენ გყავთ საოცნებო პრემიერ-მინისტრი. საოცნებო ლიდერი გყავთ გიორგი კვირიკაშვილის სახით. მე სრულიად არ ვაკნინებ ღარიბაშვილს, დღევანდელზე ვსაუბრობ უბრალოდ. კარგი გუნდი ჰყავს და მინდა საზოგადოებამ ეს გააცნობიეროს. კაცი, რომელსაც აქვს წესიერების კომპლექსი, რომ არაფერი შეეშალოს, ასეთი კაცი მართავს დღეს მთავრობას. გაიხსენეთ, რა ხდებოდა მაშინ, რას გიშვრებოდნენ, შედარება აღარ სჭირდება კვირიკაშვილს. ეს კაცი ნებისმიერი განვითარებული ქვეყნისთვის სანატრელი პრემიერ-მინისტრი იქნებოდა, ერუდიციითაც და წესიერებითაც.

ირაკლი ღარიბაშვილთან დაკავშირებით, „ჯანყარაშვილის თემა წამოწიეს ზედმეტად, ნათესავების თემა... შეიძლება იყო კიდეც რაღაც გადაცდომები. ირაკლი ძალიან ღირსეულად მოიქცა, გაასწორა თემა და შემდეგ დასვა კითხვაც - იქნებ აღარ ღირსო დარჩენა. ეს არის კარგი და ნორმალური. ეს ბედნიერება აქვს დღეს საქართველოს მოსახლეობას. ჩემი აზრით, ის არის დიდი პოტენციის მქონე, მას ძალიან დიდი რესურსი აქვს და ნებისმიერ დროს კარებს შეაღებს პოლიტიკაში, როცა მოუნდება“.

რუსთავი 2-ის საინფორმაციო პოლიტიკა, სასამართლო პროცესი

„რუსთავი 2“ დღეს ყველაზე კარგი ინსტრუმენტია იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში მაქსიმალური შედეგი მიიღოს. ტელევიზიაში ამ ხნის განმავლობაში ანალიზი არ გაუკეთებიათ, „ნაციონალური მოძრაობის“ აგიტაციას ეწეოდნენ, პირადად ჩემი და „ქართული ოცნების“ ანტიაგიტაციას ეწეოდნენ.

ამან რაღაც ეტაპზე გარკვეული შედეგები გამოიღო. ახლა როცა გახურდება და ოფიციალურად დიწყება საარჩევნო პროცესი 8 ივნისიდან, როცა მაჟორიტარები ადგილებზე გავლენ, როცა პარტიის მხრიდან მაქსიმალური აქტიურობა წამოვა, ყველაფერი ეს დაბალანსდება და განულდება. არავითარი შედეგი, პირიქით, ანტიშედეგი ექნებათ. „რუსთავი 2-ის“ სიცრუით ივლიან ყველგან, ერთ-ერთი მე ვიქნები და უამრავ მაგალითს გაჩვენებთ. სიცრუის მაგალითია ჩემი მხრიდან ტყის გაჩეხა, ბუნების განადგურება, ქართული კულტურის დანგრევა... ტელეკომპანიის გამოქვეყნებულ სიცრუის ნუსხას აუცილებლად გამოვაქვეყნებ წერილობით...

რაც შეეხება სასამართლო პროცესს - ჩემი პირადი დამოკიდებულებაა, იქნებ ისე მოხდეს, რომ სასამართლო არ მოესწროს და ამის ალბათობა დიდია... ჯერ საპელაციო სასამართლო არ დასრულებულა, მერე კიდევ უზენაესი სასამართლოა. მე არ ვიცი, როგორ გადაწყდება ეს, ვიტყოდი 50/50-ზეა, საით გადაწყდება და როგორ“.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის განცხადებაზე

„მინდა იან კელის განცხადებას გამოვეხმაურო... განცხადება იწყება გვარამიას კრიტიკით, რომ ასე არ უნდა იქცეოდეს და შემდეგ იხსენებს საკუთარ ქვეყანას, ამერიკას, იქ ეს რომ მოხდეს არჩევნების პროცესში, ქუჩები ხალხით გაივსებაო. ელჩი აბსოლუტურად გულწრფელად საუბრობს. ის არის ჩვენი ქვეყნის მეგობარი, ამერიკა არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და ეს კაცი აფასებს თავისი ქვეყნის გადმოსახედიდან. გუშინაც გვქონდა პოლემიკა და არ ვეთანხმები, მაგრამ მისი პოზიცია აბსოლუტურად გასაგებია, მისასალმებელია და იკითხება მხოლოდ ერთი რამ - მას ძალიან სურს ჩვენი ქვეყანა სწორი მიმართულებით განვითარდეს.

რა თქმა უნდა, შფოთავს იან კელი, რამე ისეთი არ მოხდეს, რაც დამღას და ცუდ ეფექტს მისცემს იმ არჩევნებს, რომლისთვისაც ვემზადებით და მაქსიმალური მხარდაჭერა გვაქვს ამერიკისგან. მადლობა მზარდაჭერისთვის. ერთი, რაშიც ვერ ვთანხმდებით, არის ის, რომ აქ ქუჩები ხალხით ვერ გაივსება, რადგან სხვა რეალობაა და სხვანაირი წარმოდგენა აქვთ ამ ტელევიზიაზე“.

კორცხელში მომხდარ ინციდენტზე

„კორცხელის ინციდენტი იყო ძალიან სამარცხვინო და მე გუნდსაც და მთლიანად საზოგადოებასაც მოვუწოდებდი, რომ ეს აღარ განმეორდეს. ქვების სროლით მოვიდა ერთი გუნდი და იმით დაასრულა. ჩვენ სხვა ხელწერით მოვედით. ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას და მმართველ გუნდს. ეს უნდა გააცნობიერონ ძალიან კარგად და მეტი მოთმინება უნდა იქონიონ. დაწვრილებით არ ჩავუღრმავდები ფორმებს - ვინ ვინ მიიყვანა, ვინ რა გამოიწვია, მაგრამ, საერთო ჯამში, ამან ძალიან დააზარალა ჩვენი სახელმწიფო. კადრებიც ვნახე, ისიც კარგად შევამჩნიე, როგორ მოსწონდა ბოკერიას, რომ შედეგი მიიღო, მაგრამ ეს არაფრით არ ამსუბუქებს იმას, რაც მოხდა.

ერთი პლუსი შეიძლება ჰქონდეს ამას, რომ დასკვნები გამოიტანონ. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. ეს იყო სირცხვილი“.

ბიზნესის თავისუფლების შესახებ

„ყველა მინისტრი მოწოდებულია ბიზნესს მაქსიმალური ლობირება გაუწიოს. ვერც ერთ მაგალითს ვერ დაასახელებთ, რომ ვინმე ვინმეს ჯიბეში ძვრება. უამრავი მდიდარი ბიზნესმენი ვნახე, რომლებიც ოცნებობენ საქართველოში ბიზნესის კეთებაზე, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივცრიდან წამოსულები, რომელთათვისაც ევროპა უფრო უცხოა, ხოლო საქართველოში შექმნილი გარემო ძალიან მოსწონთ. ცენტრალური ხელისუფლება, პრემიერ-მინისტრის მეთაურობით, მოწოდებულია და ვალდებულებად აქვთ, რომ მაქსიმალური მხარდაჭერა გამოუცხადოს ბიზნესს.

ზურაბ ჯაფარიძე აკრიტიკებს რუსული ბაზრის გახსნას - რუსეთზე რომ დრო არ დაგეხარჯათ, უფრო მეტს გააკეთებდითო. ეს მცდარი შეფასებაა. რუსულ ბაზარზე თავს იკლავს მთელი მსოფლიო და ევროპა, რომ პოზიცია ჰქონდეთ და ჩვენ გვიყიჟინებენ, არაო. კანონმდებლობას რაც შეეხება, კარგი იქნება თავად ბიზნესმენებმა დააფიქსირონ, თუ რომელი კანონი უშლით ხელს განვითარებაში“.

ბიძინა ივანიშვილი მის მიმართ საზოგადოების განწყობისა და ნდობის ხარისხზე

„ამ სამი წლის განმავლობაში, რა თქმა უნდა, იყო საზოგადოების ნდობის შემცირების პროცესი. აგიტაციურმა მანქანამ რაღაც ეტაპზე იმუშავა და მერყეობდა დამოკიდებულება. ამას ვგრძნობდი იმ კვლევების შედეგებით, რომლებსაც პირადად ჩემზე არ ვატარებდი. დამოკიდებულება გუნდისადმი, რომელიც მე დავტოვე, ჩემზეც გადმოდის და აისახება. ვარწმუნებ საზოგადოებას, თუ შევხედავ, რომ ეს ნდობა არ არის, ვალდებულების გრძნობა მომეხსნება - ახლა მხოლოდ ამით ვმოძრაობ, ვაკეთებ იმისთვის, რომ დავეხმარო. თუ საზოგადოება ჩათვლის, რომ ისეა, როგორც აგიტაციური ტელევიზიები ავრ ცელებენ და ან სხვა მიზეზით მე აღარ ვარ საინტერესო, გარწმუნებთ, რომ ეს იქნება ჩემთვის დიდი ტვირთის მოხსნა. გარწმუნებთ, როგორც კი ამას ვიგრძნობ, არც ერთ შემთხვევაში თავს არ შევაწყენ საზოგადოებას, საპენსიო ასაკიც ახლოს მაქვს, უამრავი ჰობი მაქვს და კარგად ვიცხოვრებ.

საზოგადოების განწყობის ყველაზე კარგი საზომი არჩევნები იქნება. როგორც კი დავინახავ, რომ მიუხედავად ჩემი პოზიციისა და მიუხედავად ჩემი ანალიზისა, საზოგადოებამ არ გაიზიარა და არჩევნებში დაფიქსირდა აბსოლუტურად განსხვავებული შედეგი, გარწმუნებთ, რომ მოგენატრებით, ვეღარ მნახავთ ტელევიზიებში“.

ფინანსაარჩევნო სამზადისზე, „ქართული ოცნების“ შედეგებზე, სოციოლოგიურ კვლევებზე, პოლიტიკურ ძალთა გადაადგილებაზე

NDI-ს და IRI-ს ძალიან დიდ პატივს ვცემ და ვცდილობ, საზოგადოებაში ნიჰილიზმი არ გაჩნდეს ამერიკული ორგანიზაციების მიმართ, თუმცა მათაც კი ვერ მოახერხეს „ნაციონალური მოძრაობისგან“ თავის დახსნა. მათი საცეცები იქაც დღემდე მოქმედებს. ამ კვლევებს თარხნიშვილი და ბოკერია ალაგებენ და ცქიტიშვილი და თურმანიძე აყალიბებენ ისე, როგორც ბოკერია უკვეთავს.

ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ საშუალოდ 95 კაცით მოვა პარლამენტში.

„ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნებზე ბარიერის გადალახვის სერიოზული პრობლემა ექნება, მე კვლევებს ყოველ თვე ვაკეთებ და ვიცი, რა ხდება რეალობაში.

„2012 წლის არჩევნებისთვის, ჩემი აზრით, ოპტიმალური იყო შერჩევა, თუ საუკეთესო არა. მაშინ იყო ომი და არა არჩევნები. დღეს ხარისხობრივად კვირიკაშვილი მოახერხებს და ახალ გუნდს შემოგთავაზებთ, განაახლებს ამ გუნდს.

გუნდის ყველა წევრს დიდი პატივისცემით ვექცევი. ანგარიშს ვუწევ და გაგებით ვეკიდები იმათ პოზიციას, რომლებმაც პოზიციები შეიცვალეს, მეჭიაური თუ გყავთ მხედველობაში. მე ვახერხებ და გაგებით ვეკიდები, რომ მათ შეიცვალეს პოზიცია და ბევრ საკითხში აღარ ეთანხმებიან გუნდს. არავითარი საოცრებები არ მოუხდენიათ, და არა რევოლუციურად, არამედ ევოლუციურად ვითარდებიან“.

„ასე მგონია დღესაც, რომ მე მაქვს განსაკუთებული როლი, რადგან ისევ ვგრძნობ საზოგადოების ნდობას ჩემ მიმართ. შესაძლოა, ეს გრძნობა მცდარი იყოს და ამას არჩევნებით დავინახავ. მე ვალდებულების განცდა მამოძრავებს, რომ ჩემი სჯერა საზოგადოების, არ უნდა ვუღალატო და მაქსიმალურად გავაკეთო ის, რომ დავეხმარო და ვაჩვენო თუ როგორ ვხედავ და როგორ უნდა იყოს. თუ ვნახე არჩევნებში, რომ ჩემი აღარ სჯერათ, თუ ნახევარზე მეტმა არ დაგვიჭირა მხარი, გარწმუნებთ, რომ საზოგადოებასაც დავემშვიდობები და თქვენც და დავუბრუნდები იმ ცხოვრებას, როგორიც მსურდა“.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

მინდა იცოდეთ, სამეგრელოს მოსახლეობამ ბოკერია, მელია, გუნავა, ხერხეულიძე, წიკლაური, ნადირაშვილი და სხვები პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა და ამის შესახებ მალე ოფიციალურად ვაუწყებთ საზოგადოებას

ინტერვიუ მწერალ ლაშა გვასალიასთან

– ბატონო ლაშა, ახლახან სოციალურ ქსელში მიმართვა გამოაქვეყნეთ, სადაც ამბობთ, მტრად გადაქცეული კომპრომეტირებული ინტელიგენციის ხელში ქართული სახელმწიფოებრიობა საფრთხის ქვეშაა. რას გულისხმობდით?

– დიახ, საფრთხეშია ქვეყანა, რადგან „რუსთავი-2“-ის საშუალებით „ნაცმოძრაობა“ სააგიტაციო პროპაგანდას ეწევა. სხვა ფუნქცია მას არ აქვს, რაც შეეხება კომპრომეტირებულ ინტელიგენციას, ეს არის ხალხი, რომლებმაც არჩევანი გააკეთეს საქართველოსა და მტრულ ძალებს შორის, რომლებიც ცდილობენ, ჩვენს ქვეყანას წაართვან ყოველივე ეროვნული, რაც ჩვენს წინაპრებს ბრძოლით და თავდადებით მოუნაგრებიათ. ეს ის ხალხია, რომლებმაც, თავის დროზე, კანონიერ ხელისუფლებას უღალატეს – დადგნენ იმპერიის მხარეს. ამ მოღალატეების შთამომავლები და ძველი თაობაც ერთად შეიკრიბნენ ნაცბანდაში – გაბაშვილები, ორჯონიკიძეები, და სხვები მყავს მხედველობაში.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ჩარკვიანების მოსაწონი ხელისუფლება ვერა და ვერ მოითავისა ჩვენმა ქვეყანამ.

– რომელ ჩარკვიანზე საუბრობთ, ჯანსუღ ჩარკვიანის ქალიშვილზე?

– დიახ, თაკო ჩარკვიანზე. მასზე და მის მსგავს ე. წ. ფეისქალბატონებზე, რომელთა მშობლები თავის დროზე თავდადებით იბრძოდნენ იმპერიის მხარეს.

ის ბრძოლა არ დასრულებულა. დღემდე გრძელდება ომი ქართველი ერის არჩევანის წინააღმდეგ, რაც გინდა ვუწოდოთ, გნებავთ, მეხუთე კოლონა, ან სხვა რამ. მე მათ კომპრომეტირებული ინტელიგენცია დავარქვი, რომლებიც დღემდე დგანან ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში.

მათ, საკუთარი თავის გარდა, არავინ მიაჩნიათ ქართული საქმის გამკეთებლად. ეს ადამიანები ედუარდ შევარდნაძის რჩეულები, მუმიფიცირებული ლენინის იდეით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც საბჭოთა წყობილებაშიც კარგად გრძნობდნენ თავს. ამ მდგომარეობას ვერ გასცდნენ ეს ადამიანები, ეს კორუმპირებული ინტელიგენტები.

„ნაცმოძრაობამ“ ბანდიტური პროგრამა შეიმუშავა და ფსევდოხელოვანები შემოგვთავაზა – ტელეხელოვანნი, ტელემწერლები, ტელემხატვრები და ა.შ., რომლებიც მისაბაძ ხალხად წარმოგვიდგინეს, თითქოსდა ისინი იყვნენ გენიოსები, საოცარი ხალხი, არადა, ესენი, ეს თავით ფეხებამდე უნიჭო არსებები, დისკრედიტაციას უწევდნენ და უწევენ ყოველგვარ ეროვნულს.

ლაშა ბუღაძის მოთხრობა „გიორგი რუსი“ არის საქართველოს მტრების მიერ შეკვეთილი და ამის შესახებ ერთი ამბავი მინდა მოგიყვეთ.

როცა ეს მოთხრობა იწერებოდა, მე სახელმწიფო კანცელარიაში ვმუშაობდი. ერთმა, აწ გარდაცვლილმა მწერალმა, სახლში დამიბარა და მთხოვა, დამეწერა მოთხრობა ცოტნე დადიანზე ისე, რომ დიდი ცოტნე დადიანი მოღალატედ გამომეყვანა. უდიდეს გასამრჯელოს დამპირდნენ, თუ ამას გავაკეთებდი, თბილისურ ბომონდში მიღებული კაცი ვიქნებოდი, გამიჩნდებოდა დიდძალი ფული და თუ მომესურვებოდა, საზღვარგარეთაც წავიდოდი საცხოვრებლად. მე ამის სასტიკი წინააღმდეგი წავედი და მაშინ ვნახე გაკვირვებით გაფართოებული თვალები იმ მწერლის, რადგან ამხელა ფულზე და წარმატებაზე ვამბობდი უარს.

იმ მწერალთან სახლში სამი ადამიანი დამხვდა. მარწმუნებდნენ, რომ ეს ჩემთვისაც კარგი იქნებოდა და სიმართლეც იყო, მათი აზრით. მდუმარედ ვუსმენდი მათ. ბოლოს ვუთხარი – მისამართი შეგეშალათ, მე ის კაცი არა ვარ, ასეთი სისაძაგლე ვიკისრო-მეთქი.

ამ კამპანიის გაგრძელება იყო სწორედ თამარ მეფეზე დაწერილი მოთხრობა. ეს იყო შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, რომელსაც შეუერთდა ჩვენი ტელემწერალი ლაშა ბუღაძე.

არანაკლები ნაძირალაა მისი მამა გია ბუღაძე.

ჩემი თვალებიდან არ ამოვა ის, თუ როგორ იცავდნენ სადიპლომოს სამხატვრო აკადემიის სტუდენტები და როგორ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ფურთხებაში.

ამ ხალხმა საქართველოზე როგორ უნდა ილაპარაკოს?!

როცა ქართველი ადამიანი ვინმეს ფურთხის ღირსად გახდის, იქ მთავრდება მისი, როგორც ადამიანის ღირსება. რას შეხედა ჩემმა თვალებმა, რა სიმდაბლე იყო ეს?!

ამ დისკრედიტებული ვითომ ინტელიგენციის ადგილი არის წუმპეში, ჭაობში, საიდანაც უნდა იყაყანონ, სადაც არიან მათნაირი მივიწყებული ბაყაყები, რომლებსაც საკვები გამოელიათ და ხმაც მიუსუსტდათ, თორემ არც ერთი ღირსეული ადამიანი, თუნდაც მიცვალებულებიდან დავიწყოთ, მათ გვერდით არ დადგებოდა და არც დგას...

მათი ადგილი არის იქ, სადაც დგანან „რუსთავი-2“-თან, ზოგადქართული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართულ მაუწყებლობასთან.

მათი ე. წ. ხუმრობები მახსენდება ახლა. ესენი ხომ ყველაფერს დასცინიან.

ნიკა ქავთარაძეა ერთი, „ნაცმოძრაობის“ კლოუნი. მან შემოიტანა ერთ გადაცემაში ყუთი, ფილმი „გიორგი საკაძიდან“ ჰქონდა ვითომ ინსცენირება. ასახიერებს დიდ აკაკი ხორავას, ვითომ იძახის – შვილო, პაატა, ხსნის ყუთს, ამოაქვს გოჭის თავი და იწყებენ ჭამას. ასე ხდება ყველაფრის პროფანირება, ყველაფრის გამასხარავება. ყველაფერი საპატივცემულო მიწასთან უნდა იქნას გასწორებული. ამას მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად აკეთებენ. ესენი არიან ფულზე გაყიდული ხალხი – ფული აქვთ აღებული, რომ წაბილწონ ქართული იდეა და სარწმუნოება და ასრულებენ ამ დავალებას გულმოდგინედ.

ამ ტელევიზიის ხელმძღვანელი ნიკა გვარამია, ეს საწყალი, სანამ სააკაშვილი მოვიდოდა, ადამიანს ჰგავდა, ახლა ნახევრად ქალს და ნახევრად კაცს ჰგავს, ვერ გაიგებ, ვინაა.

ეს ის გვარამიაა, ეს ნაძირალა, ხალხს 20 და 30 წელს რომ უსჯიდა, ამართლებდა „იმედის“ დარბევას და ამბობდა, არავის შერჩება არაფერიო და გვემუქრებოდა.

მინდა მის საცოდავ მამას მივმართო, როგორც თვითონ, ანზორ გვარამია ვერ შედგა მწერლად, ისე ვერ შედგება ნიკა გვარამია პოლიტიკოსად და ასე სამარცხვინოდ დაასრულებენ ცხოვრებას.

როდესაც ეროვნული თანხმობის კომისია შეიქმნა და კონცეფცია შემუშავდა კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით ქაშუეთის ეკლესიაში, ამ იდეას დაუპირისპირდა საკაშვილი სწორედ ანზორიეს ბიჭის და მისი მეგობრების ხელით ეს იდეა ჩაახშვეს, რადგან ქართველი ერის თანხმობა და ერთ მუშტად შეკვრა არ სურდათ.

ალბათ, იკითხავთ, რაში უნდა შეთანხმდეს ქართველი ერი. რაში და, ქართული ენის, მამულის და სარწმუნოების მარადიულობაში.

სწორედ ეს იყო მათთვის მიუღებელი. მათთვის სარწმუნოება მიუღებელია, ენა, მამული და ქართული ენა ინგლისური ენის დამხმარედ გამოაცხადეს. რა უყვეს, ხედავთ, ჩვენს ღვთიურ ენას ამ ულმერთოებმა?

5 ᲒᲒ.

„მე მომავალი ასეთი მსურს ამა ქვეყნისა – თავისუფალი ბრბოსგან, ისე როგორც მეფისგან“

გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერაძე:

– ბატონო ვაჟა, ბიძინა ივანიშვილმა, გასულ კვირას, საზოგადოებისადმი გამოქვეყნებულ წერილში ვრცლად ისაუბრა ეკონომიკურ ხედვებზე. მისი თქმით, ვალების ეკონომიკიდან ინვესტიციების ეკონომიკაზე გადავედით და ყველა მაჩვენებელით მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ. თქვენ, რამდენად იზიარებთ ამ ხედვებს, როგორია რეალობა?

– ძალიან ძნელია ივანიშვილის წერილი კუპიურებად დაჰყო, ის მთლიანობაში უნდა განვიხილოთ. ეს არამარტო მისი ხედვა და ანგარიშია, არამედ მთელი გუნდის. საზოგადოებას რეალური შედეგი აინტერესებს – რა იყო, რა გაკეთდა და ხელისუფლებაში ისევ ამ ძალის დარჩენის შემთხვევაში რა იქნება. ბოლო დროს, ივანიშვილი განსაკუთრებით გააქტიურდა. იგი როგორც პრაგმატული ადამიანი გრძნობს, რომ მოვლენებზე კონტროლია შესანარჩუნებელი. ბატონ ბიძინას, ერთი მხრივ, თავისი უზარმაზარი ფინანსური იმპერია აიძულებს, რომ პოლიტიკით ზედმეტად არ დაკავდეს, ეს მილიარდერისთვის, ძლიერ ქვეყნებშიც კი, ბევრი საფრთხის შემცველია და მეორეც, მას, შინაგანად არ აქვს ბუნება გახდეს ავტორიტარული ტიპის მმართველი, დიქტატორი და რაღაც რეჟიმი, იერარქია ააწყოს. ადრე, იგი, პირადად გავაფრთხილე, რომ მისი პოლიტიკიდან უცაბედი წასვლა, მმართველი ძალის ლეგიტიმაციის დეფიციტს გამოიწვევდა და ეს ბოლოს გამოჩნდა კიდეც, რაც საბოლოოდ, კოალიციის დაშლაში გადაიზარდა. ახლა, მმართველმა ძალამ ისევ ძლიერი სვლა გააკეთა, როცა არენაზე კვირიკაშვილი გამოიყვანა. „ქართული ოცნების“ ტრანსფორმაციის წარუმატებლობის შემთხვევაში არენაზე გამოვა ბრბოდ ქცეული ხალხი, რაც ქვეყნისთვის ძალიან სახიფათო იქნება. დავესესხები შექსპირს: „მე მომავალი ასეთი მსურს ამა ქვეყნისა, თავისუფალი ბრბოსგან, ისე როგორც მეფისგან“. მეფეებისგან გავთავისუფლდით, მაგრამ ახლა, მეორე უკიდურესობაში არ აღმოვჩნდეთ – დემოკრატიის ძალიან ფაქიზ, სახიფათო გზაზე, ბრბოს აღზევების პირობებში. აქ კი უკვე სახელმწიფოებრიობა ეჭვქვეშ დადგება, დაიწყება ტერიტორიული მთლიანობის შეუქცევადი რღვევა – 22%-ს სხვა რეგიონებიც მიემატება. პატივცემულო მეგობრებო, ახლა ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ არამარტო საქართველოსნაირი პატარა ქვეყნები არიან იოლად დასასჯელები. მაგალითად, თურქეთმა, ჩვენს თვალწინ ავტორიტარული ტენდენციების გამომჟღავნებისა და მთელი რიგი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არასწორად აღქმული ნაბიჯების გამო, უკვე მეორე სერიოზული გაფრთხილება მიიღო, რადგან მან, ტერორისტებთან დაკავშირებული კანონი არ შეცვალა. ამიტომ, როცა ჩვენ პროცესებში ვართ ჩართული, მასის ფსიქოლოგიის ნეგატიური დანაშრევების ტყვეობაში არ უნდა მოვექცეთ და არ უნდა დავიწყოთ ლაპარაკი იმაზე, რამდენით შემცირდა ან გაიზარდა საარსებო მინიმუმი. აი, ამ პრიზმაში უნდა შევხედოთ ბიძინა ივანიშვილის წერილს და მის ეკონომიკურ ნაწილს. ეკონომიკასთან მიმართებაში ვეთანხმები მას, მომწონს ძირითადი მაგისტრალური ხაზი – ინვესტიციები გაიზარდა, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტენდენცია გრძელდება. დაიწყო საუბარი ორნიშნა ეკონომიკურ ზრდაზე, თუმცა დაკონკრეტებული არაა ეს რა ფორმით და როდის მოხდება.

– ბატონო ვაჟა, აქვს თუ არა ქვეყანას ეკონომიკური კონცეფცია, რაც ალბათ, ეკონომიკის განვითარების მთავარი ფაქტორია. ცნობილია, არაერთი გეგმა, თუნდაც მარშალის, რითაც ქვეყნებმა წარმატებებს მიაღწიეს.

– თუ ქართველი ეკონომისტები კონცეფციას ვერ დადებენ, მაშინ შეიძლება უცხოელი ექსპერტების მოწვევა და მათი ხედვების ქაღალდზე გადატანა. ეს ძნელი არაა, უბრალოდ, ნებისმიერი კონცეფცია სიცოცხლისუნარიანი უნდა იყოს და მისი განხორციელება შეიძლებოდეს. ჩვენთან ეკონომიკა რომ ვერ ვითარდება, ამაში დამნაშავეის უმძიმესი საშინაო და საგარეო ფაქტორებია, რაშიც საქართველოს არსებობა უხდება. იმ ქვეყანაში ფულს არავინ ჩადებს, რომლის 22% რუსეთს აქვს ოკუპირებული, სადაც ორი კონფლიქტის კერაა. ამიტომ, არ შემოდის აქ, არავინ, არ მოუწვეთ გული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მალე მუშახელის პრობლემა გვექნება. კვალიფიციური მუშახელის პრობლემა უკვე გვაქვს, ახლა, როგორც კი ჩვენი ეკონომიკა გაზრდას დაიწყებს საერთოდ, მუშახელის პრობლემა დაგვემატება და მაშინ უკვე იძულებული ვიქნებით კარი სხვა ქვეყნის მოქალაქეებს გავუღოთ, რომლებიც აქ შექმნილ საწარმოებში ჩვენს თანამოქალაქეებზე გაცილებით უფრო იაფად იმუშავებენ. ეს დასაფიქრებელია. ჩვენ, ვერ წავალთ განვითარებულ ქვეყნებში – სასოფლო სამეურნეო სავარგულები ერის საარსებო სივრცეა ამიტომ, მისი დათმობა არ შეიძლება. ივანიშვილმა თქვა, მივხედოთ სოფელსო მიუხედავად იმისა, რომ უკუგება მცირეა. დიდი სახსრები ჩაიდო, რამაც ოდნავ გააუმჯობესა მდგომარეობა, მაგრამ დღევანდელი საქართველოს სოფელი უძირო ქვევრია, რა უნდა ჩაყარო რომ დაეტყოს. ხალხმა სული მოითქვა – ყურძენი გაიყიდა, აჭარაში ციტრუსი გასაღდა, რუსეთში მწვანილი შეუშვეს, მაგრამ ეს ყველაფერი პერსპექტივაზე მომართული არაა. ოპონენტები „ქართულ ოცნებას“ ეუბნებიან, თანამედროვე პირობებში რა დროს სოფლის მეურნეობააო. და მართლაც, მე ვამბობ, კი, სწორია, ქვეყანაში სოფლის მეურნეობა უნდა იყოს, მაგრამ იგი არაა პერსპექტივის მთავარი მომენტი. ფაბრიკა-ქარხნების ეკონომიკა დამთავრდა, ახლა, ახალი ტექნოლოგიების, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკაა. ამის დაფუძნებას უნდა ქვეყანაში სიმშვიდე, ტერიტორიული მთლიანობა, სამეზობლოში მშვიდობა და ბევრი ფული, რაც არ არის. ამას ვერც „ქართული ოცნება“ გააკეთებს, ვერც პაატა ბურჭულაძე, ვერც ალასანია და ვერც „ნაციონალები“ მთელი თავისი ქარდავებით და ადეიშვილებით უკან რომ მოაბრუნო. ამიტომ, ახლა პოლემიკა კირკიტზე კი არ უნდა იყოს აგებული, არამედ რა არის ჩვენი ეკონომიკის ღერძი, რა ამოცანა დგას – სოფელში რა უნდა ვქნათ, ასევე, ქვეყანას განათლების გარეშე მომავალი არ აქვს, მაგრამ თქვენ სადმე გაგიგიათ, რომ ქვეყანაში განათლების რეფორმა სტუდენტებმა ჩაატარონ?! – ეს სრულიად შეუძლებელია. ამიტომ, ხელისუფლებამ ინიციატივა უნდა გამოიჩინოს და სტუდენტებს უთხრას, თქვენ, ძირითადად, ისწავლეთ იმიტომ, რომ მომავალი თქვენია და ამ საქმეს რეფორმატორები მიხედავენ. „ქართულმა ოცნებამ“ არ იცის მედიის, პიარ-ტექნოლოგიების, ლობისტური საქმიანობის ფასი. საზოგადოების ყურამდე ისიც კი ვერ მიაქვთ, რომ კაცმა თქვა ნახევარ მილიარდს ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ჩავდებ და მერე სახელმწიფომ გადაიბაროსო. ჩვენ უნდა ვიფიქროთ მომავლის ეკონომიკაზე, ახალი ტექნოლოგიების ერაზე.

– ბატონო ვაჟა, წელან ფერმერი ახსენეთ, სხვა ქვეყნებში ფერმერსა და იმ ორგანიზაციებს შორის ვინც მათი პროდუქციის გასაღებას უზრუნველყოფს, ურთიერთობა დალაგებულია. აქ კი გავიძახით, საბაზრო ეკონომიკაა, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოსო. რით არიან ჩვენზე ნაკლები გერმენია, აშშ და სხვა ქვეყნები, სადაც სახელმწიფო პირდაპირ არეგულირებს ბიზნესსა და ეკონომიკას?

– ევროკავშირის ქვეყნებში სხვა გამოცდილება, ეკონომიკა და რესურსებია იმისათვის, რომ ეს ყველაფერი არეგულირონ. ალბათ, გერმანიაში, ნიდერლანდებში ხშირად გინახავთ ფერმერების საპროტესტო აქციები, აპროტესტებენ ფასების პოლიტიკას და ა.შ. იქ, ითვლება, რომ თუ შენ არ გაქვს სოფლის მეურნეობა, არ ხარ პურის, მეცხოველეობის პროდუქტის მწარმოებელი, იმ ქვეყანაში უკვე აღარ ცხოვრობ, ჰაერში ხარ გამოკიდებული. ის დონე რაც გერმანიაში და საფრანგეთშია კარგია, მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესოა ბალტიისპირეთის ქვეყნების, რუმინეთის, ბულგარეთის გამოცდილება, რაც ყოველთვის სახარბიელო არაა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ევროკავშირში შევიდნენ, უჭირთ ჰქონდეთ გამართული ეკონომიკა, სოციალური თვალსაზრისით ქვეყანაში მდგომარეობის მოწესრიგება. ბალტიისპირეთი ჩრდილოეთ სამეულმა – ნორვეგიამ, ფინეთმა, შვედეთმა აბორტაჟზე აიყვანა. ჩვენ, ასეთი აბორტაჟზე ამყვანი არავინ გვყავს.

მეორე მხრივ, როცა თქვენ ცდილობთ გლობალურ ეკონომიკურ საკითხებზე პასუხების მიღებას, კონკრეტიკისკენ მივდივარ. ამ ეტაპზე ბევრი რამის გარკვევა შეიძლება. მაგალითად, ქართული ბაზარი თურქული პროდუქტითაა გაჯერებული, მაგრამ ერთ-ერთმა ბიზნესმენმა პირად საუბარში მითხრა, რომ თავად იქ, ჩვენი ლიმონათის პარტია კი შეუშვეს, მაგ-

5 ბ3.

ინტერვიუ მწერალ ლაშა გვასალიასთან

3 გვ.

მაგრამ ვერაფერს დაგვაკლებენ, რადგან ქართველებისთვის ქართული ენა, ეს არის რუსთაველის ენა, თევდორე მღვდლის, იმ უბრალო კაცის ენა, ჩემი დედის და მამის მშობლიური ენა, ჩემი წინაპრების ენა და ამ გიჟებს, სახურავზე რომ დარბოდა სააკაშვილი, მის მიმდევრებს, რა მოელანდებათ, ეს მეორეხარისხოვანია.

იმიტომ მეცოდება ანზორ გვარამია, რომ მას, რადგან ქართველ მწერლად მოჰქონდა თავი, უნდა გამოსულიყო და დაეგმო მისი „უძღები“ შვილის საქციელი.

ამის ძალა ვერ გამოძებნა საკუთარ თავში და რა მწერლად უნდა იწოდებოდეს, მავანმა განსაჯოს.

— ბატონო ლაშა, კორცხელში დიდი რევანში განხორციელდა. რას იტყვით ამაზე?

— ნაციონალები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ კვლავ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში.

ფიქრობენ, რომ საზოგადოებას მოკლე მეხსიერება და მათსავით მოკლე ჭკუა აქვთ. მათ ეჩვენებათ, რომ საზოგადოებას დაავიწყდა მკვლელობები, ცემა, ღირსების შელახვა...

რაც შეეხება კორცხელის ინციდენტს.

ეს იყო წმინდა წყლის პროვოკაცია, სადაც ნათელი გახდა, რომ „ნაცმოძრაობას“ კვლავ ჰყავს ჩათესილი მავნე ადამიანები, რომლებსაც სიმშვიდე ნერვებს უშლით.

არავის ეგონოს, კაცების გამაუპატიურებლებს მისცა საზოგადოებამ ხმა?

იცით თუ არა, რომ სწორედ იმ ადგილიდან რამდენიმე მეტრში „ნაცმოძრაობას“ მოწყობილი ჰქონდა საწამებელი ოთახები, მიწურები და ბუნკერები?!

ჩემს თავსაც ვამტყუნებ, არ ვიყავი პროცესებში ჩართული. მოგეხსენებათ, მამა გარდამეცვალა და ვერ მოვახერხე აქტიურობა, მაგრამ ყველაფერი წინაა და ყველა დაინახავს, რას გავაკეთებთ, რას იზამს სამეგრელოს მოსახლეობა.

მინდა იცოდეთ, სამეგრელოს მოსახლეობამ ბოკერია, მელია, გუნავა, ხერხეულიძე, წიკლაური, ნადირაშვილი და სხვები პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა და ამის შესახებ ოფიციალურად ვაუწყებთ მალე საზოგადოებას.

იქ, სადაც გამოჩნდება ხერხეულიძე, მელია, ბოკერია, ნადირაშვილი, წიკლაური და დანი და ძმანი მისნი, არ შეიძლება პროვოკაცია არ მოხდეს, ესენი ამისთვის არიან ხელმოწიფულები.

რა უნდა ელაპარაკო თენგიზ გუნავას, ამ არამზადას, რომელიც გამოდის ტელევიზიით და ამბობს: კორცხელის კონფლიქტს ლევან შონია და ლაშა გვასალია ხელმძღვანელობდნენო. აი, ასეთი მართლები არიან ესენი. ასეთი ტყუილებით სურთ კვლავ ძალაუფლების ხელში ჩაგდება, მაგრამ არ მოხდება ეს! ტყუილად ნუ ოცნებობენ ამაზე.

მივმართავ „ნაცმოძრაობას“, თუ ვინმეს შერჩა ტვინი და გონი — ნუ დაუშვებენ ახალ უბედურებას, ნუ დაუშვებენ ქართველის ხელით ქართველთან წინააღმდეგობას, თორემ უკან ცუდად მოუბრუნდებათ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პრესსამსახურის განცხადება

ერთ-ერთმა მედიასაშუალებამ გამოაქვეყნა ე.წ. კვლევის შედეგები, რომელიც თითქოს „ქართულმა ოცნებამ“ პირველ ივნისს ჩაატარა. ვაცხადებთ, რომ მედიაში გამოქვეყნებულ ამ კვლევას არავითარი კავშირი არ აქვს არც „ქართულ ოცნებასთან“ და არც რეალობასთან. სამწუხაროდ, ამავე სააგენტომ აქამდეც გაავრცელა მსგავსი ტიპის ე.წ კვლევა. ეს არის მარტივი მანიპულაცია და პოლიტიკაში ჩვენი კონკრეტული ოპონენტი ხშირად მიმართავს ამ მეთოდებს. „ქართული ოცნება“ კვლევებს რეგულარულად ატარებს. არჩევნებამდე დაგეგმილია, სავარაუდოდ, კიდევ ორი კვლევის ჩატარება. შედეგებს კი საზოგადოება არჩევნების დასრულების შემდეგ იხილავს, როდესაც „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ გამარჯვებას მოიპოვებს.

4 გვ.

რამ ქართველ ბიზნესმენს უთხრეს, მეორედ არ შემოიტანოო. ეს უკვე ხელისუფლების დასარეგულირებელია. მაგრამ ის ვინც ცდილობს, რომ თურქეთთან ურთიერთობის დაძაბვა რუსეთთან დამეგობრების კონტექსტში წარმოაჩინოს, ეს მცდარია. იმიტომ, რომ ჩვენ ბევრი რამის გათვალისწინება მოგვიწევს. რა თქმა უნდა, რუსული ბაზარი გვჭირდება. თუ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები დასავლეთში რუსული ბაზრით სარგებლობის უფლებას და საშუალებას მოგვცემენ, 5-10 წლის განმავლობაში ხალხს დავაპურებთ და ახალი ეკონომიკის საფუძვლებს შევქმნით, რომელიც დაფუძნებული იქნება ახალ ტექნოლოგიებზე და მომავალზე იქნება ორიენტირებული. ეს ერთმანეთთან ძნელი დასაკავშირებელია, მაგრამ დასავლეთმა ასეთი არჩევანის წინაშე არ უნდა დაგვაყენოს, ამაზე მათ, ხელისუფლებიდან, არავინ ელაპარაკება. რა თქმა უნდა, რუსეთი ამას ჩვენზე პოლიტიკური ზეგავლენისთვის გამოიყენებს, მაგრამ რისთვის ჰყავს დასავლეთს აქ მისი მოკავშირე ხელისუფლება? საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება და პოლიტიკური ისტებლიშმენტი დასავლეთის მოკავშირეა. რისთვის გყავს ამდენი მეთვალყურე არასამთავრობო, რომელიც პროცესების განვითარებას აკვირდება და რაც მთავარია, ინტელექტუალების ძველი და ახალი ქართული კლასი პრო-დასავლურადაა განწყობილი. რა არის აქ შესაშინებელი? რა თქმა უნდა, რუსეთი ამის თავის სასარგებლოდ გამოყენებას შეეცდება, მაგრამ ამისთვის რუსეთთან ურთიერთობაში ბერლინის კედლის აღმართვაა საჭირო და ურთიერთობების გაწყვეტა?! ახლა, დიდ ტურისტულ სეზონს ელიან, რადგან რუსი ტურისტები ვეღარ მიდიან თურქეთში, ეგვიპტეში. შეიძლება, ეს სექტორი აქ შეივსოს. დიდი ეჭვი მაქვს, რომ ძალიან ბევრს ხელს აძლევს საქართველოში ტურისტული სეზონის ჩაშლა... როგორც საბიუჯეტო შემოსავლების სერიოზული წყარო, ტურიზმი ძალიან მნიშვნელოვანია. აქვე, უნდა ვთქვა შემდეგიც — თუ ქვეყანაში შემოსული უცხოელი ტურისტი და ვიზიტორი მიირთმევს თურქულ პომიდორს, კიტრს, ბრაზილიურ ქათამს, არგენტინულ საქონლის ხორცს, ამით, უკვე, ჩვენი ტურიზმი თურქულ, ბრაზილიურ, არგენტინულ ეკონომიკას აფინანსებს. ამიტომ, აქაც საჭიროა გარკვეული აქცენტების გადატანა. საქართველოში მეფრინველეობა-მეცხოველეობის დიდი სეგმენტი არაა, მაგრამ რეალურად, პერსპექტივა არის. დიახაც, ბევრი სასტუმროა საჭირო, რადგან ჩვენ პერსპექტივაში რეგიონული ცენტრი ვართ.

— როცა კონცეფციაზე, განვითარების გეგმის არარსებობაზე ვისაუბრეთ, როგორ ფიქრობთ, ამის შემაფერხებელი ფაქტორი ისიც ხომ არ არის, რომ ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს არ სურთ საქართველო განვითარდეს?

— არ მგონია, ასე იყოს. ყველას ხელს აძლევს საქართველო სტაბილური, ტერიტორიულად მთლიანი, დემოკრატიული და ფუნქციონირებადი ეკონომიკის ქვეყანა იყოს. ვფიქრობ, ეს ევროპაში და აშშ-ში კარგად ესმით. ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიების მიმტაცებლებს — რუსებს კი ეს არ ესმით. მათ რატომღაც ჰგონიათ, რომ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ-ოსეთის მეშვეობით საქართველოს დასუსტება, სიტუაციის არევა შეუძლიათ. საშუალება არ მაქვს რუს ანალიტიკოსებთან პირადი ურთიერთობის, მაგრამ „საერთო გაზეთის“ მეშვეობით მათ ვურჩევ — ასეთი სასიკვდილო საფრთხის წინაშე ნუ დააყენებენ რუსეთის მომავალს იმიტომ, რომ დანგრეული, მშიერ-მწყურვალი საქართველო რუსეთის დაშლის წინადღე არის. ეს პროცესი ჩრდილოეთ-კავკასიიდან დაიწყება, თათრეთიდან თუ შორეული აღმოსავლეთიდან, მნიშვნელობა არ აქვს. რატომ ვერ იაზრებენ, რომ ისინი პირველები უნდა ზრუნავდნენ, რათა საქართველო შეიკრას და მათდამი მეგობრულად განწყობილი ქვეყანა იყოს, ეს ჩემთვის გაუგებარია. ადრე თუ გვიან რუსები ამას გაიგებენ. რაც შეეხება დაპირისპირებას საერთაშორისო არენაზე, ჩვენ არჩევანი გაკეთებული გვავქს — ევროატლანტიკური სივრცე. ნატოს წევრობა თვითმიზანი არაა. ვეკითხები ყველას, თავგამოდებულ პროდასავლელებს, რომელთაც პირწავარდნილ პროდასავლელებს ვეძახი — რას მოგვცემს ჩვენყოველივე საქართველოს ტერიტორიული აღდგენის თვალსაზრისით? რას მოგვცემს ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით? ამაზე პასუხი არ მაქვს, პასუხს ვერავინ მცემს. არცერთი დასავლური კომპანია საქართველოში ინვესტიციებს არ ახორციელებს, ჩამოვლენ, ხელს ჩამოგართმევენ და მორჩა. ერთი „ენერგო პრო ჯორჯიას“ ინვესტიცია ხორციელდება და ისიც ჩემი ღრმა რწმენით, რუსული ინვესტიციაა. თუ შეიძლება ნატოში უაფხაზეთოდ და ე.წ. უსამხრეთ-ოსეთოდ შევიდეთ, მაშინ რა უნდა მოხდეს მომავალში — ველოდოთ რუსეთის დაშლას და ტერიტორიების დაბრუნებას თუ რუსეთსა და ნატოს შორის საომარი კონფლიქტის შედეგად დავიბრუნებთ ტერიტორიებს?! ასეთი გზით დაბრუნებული ტერიტორიები მე არ მინდა. ასე ეკონომიკაზე საუბარი მეორე პლანზე გადავა და ყველაფერი რაც იყო, დაინგრევა. სირიაში საკმაოდ აწყობილი ეკონომიკა იყო, მაგრამ სირიელების მიერ გლობალური მოთამაშეების ინტერესების გაუთვალისწინებლობამ ქვეყანა ნანგრევებად აქცია. ფრთხილად ვიყოთ, ჩვენც მსგავს რამეს არ გამოვკრათ ხელი.

თამარ შველიძე
555 23 28 24

სანიკიძე წავიდა, ჯეჯელავა მოვიდა, მაგრამ „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?“

სააკაშვილის „დატრენინგებული“ მასწავლებლები, განათლების ყოფილი და მოქმედი მინისტრები და კეთილი რჩევები „ქართული ოცნებისთვის“ წინასაარჩევნოდ

„მე „ქართულ ოცნებას“ თქვენი გაზეთის საშუალებით, არა ერთხელ, მეგობრულად ვურჩიე, რომ არაპოპულარული რეფორმებისა და ნაციონალების დამანგრეველი კურსის გაგრძელების შედეგებს წინასაარჩევნო პერიოდში მოიმკიდნენ. ეს დროც დადგა და წიწილები შემოდგომაზე დათვალონ. სანამ დროა, დარჩენილ თვეებში გააჩერონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა და მოუსპონ ნაციონალებს საპოპულისტო და სალაპარაკო თემა

3 ივნისს საქართველოს პრემიერ მინისტრმა საზოგადოებას განათლების მინისტრის პოსტიდან თამარ სანიკიძის გათავისუფლებისა და ამ თანამდებობაზე ალექსანდრე ჯეჯელავას დანიშვნის შესახებ აუწყა. ახალი მინისტრის წარდგენისას, გიორგი კვირიკაშვილმა აქცენტი მართვის სფეროში მის გამოცდილებაზე გააკეთა და აღნიშნა, რომ მას აქვს დიდი გამოცდილება როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების, ასევე ინოვაციების სფეროში და რაც მთავარია, იმ მიმართულებაში, რომელიც მთლიანად ეხმიანება სამინისტროს ოთხპუნქტიან პროგრამას.

რაც შეეხება განათლების ყოფილ მინისტრს, პრემიერ მინისტრის თქმით, სანიკიძე გუნდში რჩება და მისი ახალი მანდატის შესახებ, საზოგადოება უახლოეს ხანში შეიტყობს. მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობიდან თამარ სანიკიძის შესაძლო გათავისუფლების შესახებ ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, ეროვნული გამოცდების წინ განათლების მინისტრის გაშვებამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ერთი ვერსიით, თამარ სანიკიძე საუნივერსიტეტო კრიზისს შეეწირა. მეორე ვერსიით, მინისტრი მასწავლებელთა ტრენინგზე მიხეილ სააკაშვილის სკაიპით ჩართვას გადააყოლეს, მესამე ვერსიით, თამარ სანიკიძის თანამდებობიდან გაშვება მოახლოვებულ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება, ხოლო მეოთხე ვერსიით, მომხდარი საზოგადოებრივი მაუწყებლისა და რადიო „თავისუფლების“ ერთობლივ გადაცემას უკავშირდება, რომლის წამყვანმა საქართველოს ყოფილ პრემიერ მინისტრს კრიტიკული შეკითხვების მთელი წყება დაუსვა. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ სალომე ასათიანმა ბიძინა ივანიშვილს შესაძლებლობა არ მისცა, რომ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებულ წერილზე ესაუბრა და მთელი გადაცემა უმიზნო და არაფრის მომცემ პაექრობას მოანდომა. ასათიანს გაუხსენეს, რომ ის „მეცხრე არხის“ ყოფილი თანამშრომლისა და განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნატა ასათიანის დაა, რომ დედამისი– მომღერალი ირმა სოხაძე ბიძინა ივანიშვილის სტეპენდიანტია და სიძე ბექა ნაცვლიშვილი თბილისის საკრებულოს წევრი. მეოთხე ვერსიის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს ის ფაქტი, რომ თამარ სანიკიძისგან განსხვავებით, ნატა ასათიანი თანამდებობას ინარჩუნებს და სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს, რადგან ალექსანდრე ჯეჯელავა უწყებაში საკადრო ცვლილებების განხორციელებას არ აპირებს.

რეალურად, რა გახდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განხორციელებული საკადრო ცვლილების მიზეზი, რას მოუტანს ეს ცვლილება განათლების სისტემას, შესაძლებელია თუ არა ღრმა და ყოვლისმომცველი რეფოემების განხორციელება სამინისტროს ძველი კადრების პირობებში? ამ და სხვა თემებზე სტუდენტური მოძრაობის „აუდიტორია 115“ წევრს **ლევან ლორთქიფანიძეს** ვესაუბრეთ:

– სამწუხაროდ, იმედი გამიცრუვდა, იმიტომ, რომ მეგონა, განათლების მინისტრად ვიხილავდი ადამიანს, რომელსაც ევროპის პატარა ქვეყნების სამეცნიერო და საგანმანათლებლო სისტემებთან აქვს შეხება. ასეთი მაგალითი იმისთვის გვჭირდება, რომ ვნახოთ, როგორ მოახერხეს პატარა ქვეყნებმა საერთო ევროპულ სამეცნიერო და საგანმანათლებლო სისტემებში ინტეგრაცია. ამის ნაცვლად, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანამდებობაზე ვიხილეთ ტრენინგ-კურსის ხელმძღვანელი და იაფფასიანი, შარლატანური შოუების დამდგმელი. მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერება ეტყობა, ეს მაინც რაღაც ფსევდოსამეცნიერო თეორიებთან შეზავებული შოუა. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ შევხედავთ განათლებას. ვიღაცეებისთვის ის მხოლოდ შრომის ბაზრის დაკმაყოფილების საშუალებაა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, უნივერსიტეტები პროფსასწავლებლებად უნდა გადავაკეთოთ და მარტო მოსამსახურე პერსონალი უნდა გვყავდეს, (რომელსაც დიდ პატივს ვცემ). თუ მხოლოდ შრომის ბაზარზე ორიენტირებული არ ვართ და განათლებას თვითრეალიზებისა და ახლის შექმნაზე ორიენტირებულ საშუალებად მივიჩნევთ, მაშინ ასეთი საბაზრო და მენეჯმენტური მიდგომების ადამიანის ნაცვლად, გვჭირდება ნამდვილი მეცნიერი და შემოქმედი, რომელიც კიდევ ერთხელ ვერ მოვძებნეთ. ასეთი მიდგომის შედეგად, მივიღებთ განათლების სამინისტროს კარგად ვიზუალიზებულ, **Excel**-ის ფაილში აკრეფილ რებრენდინგს, მაგრამ ფუნდამენტალური რეფორმა და განათლება, როგორც პრიორიტეტი, ასეთ შარლატანურ დონეზე, ალბათ, შეუძლებელი და გამორიცხულია.

– **თამარ სანიკიძის თანამდებობიდან გაშვებას რას უკავშირებთ?**

– სანიკიძის გაშვებას პირდაპირ ვუკავშირებ იმას, რაც უნივერსიტეტში ხდება. ქალბატონი თამარი იყო აბსოლუტურად უუნარო მინისტრი, რომელმაც ვერ მოახერხა მხარეების ერთ მაგიდასთან შეკრებაც კი. მისი სიტყვა არ იყო ავტორიტეტი არც მეცნიერისთვის, არც მასწავლებლისთვის არც სტუდენტისთვის, შესაბამისად, მან უნივერსიტეტში ჩაშალა მოლაპარაკებები და ვერ მიიღო გადაწყვეტილება კანონის ცვლილებასთან დაკავშირებით. თამარ სანიკიძემ განათლების მინისტრის თანამდებობაზე ამდენი ხანი იმიტომ გაძლო, რომ მისი შეცვლის სურვილს ხან ალასანიას კოალიციიდან გასვლა დაემთხვა, ხან ღარიბაშვილის წასვლა, ხან კოალიციის დაშლა და ა.შ. მაგრამ უნივერსიტეტის კრიზისმა წერტილი დაუსვა ყველაფერს.

– **პრემიერ-მინისტრის თქმით, სანიკიძე შორს არ წასულა და მისი ახალი მანდატის შესახებ საზოგადოება უახლოეს ხანებში გაიგებს. შესაძლოა, ახალი მანდატი „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სია აღმოჩნდეს და უახლოეს მომავალში, ყოფილი მინისტრი პარლამენტის განათლების კომიტეტში ვიხილოთ.**

– ეს „ქართული ოცნების გადასაწყვეტია“. ისე, ზოგიერთ დეპუტატს, წლების განმავლობაში ხმა რომ არ ამოუღია და არანაირიგამოცდილება არა აქვს, თამარ სანიკიძე ნამდვილად აჯობებს. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, როგორი ერთგულება გამოავლინა ქალბატონმა თამარმა ძალაუფლების მფლობელის მიმართ.

– **რას გულისხმობთ?**

– თავიდან თითქოს ბატონი მარგველაშვილის ერთგული იყო, მაგრამ როგორც კი შანსი გაჩნდა, რომ სხვა ბატონის დაქვემდებარებაში გადავიდა. კარგი, ანუ რომ არ შეეწინააღმდეგება, ისეთი შემსრულებელი კი ყველას ჭირდება.

პროფესიული განათლების პროფესიული კავშირის თავმჯდომარე **დენის დავითაშვილი** განათლების ყოფილი მინისტრის საქმიანობას და მართვის სტილს მისი დანიშვნის პირველივე თვეებიდან აკრიტიკებდა, ამიტომ ბოლოდროინდელ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით, მისი პოზიციის გაგებით დავინტერესდით.

– მივესალმები გიორგი კვირიკაშვილის დაგვიანებულ, მაგრამ აუცილებელ გადაწყვეტილებას, რომლითაც დადასტურდა, რომ თამარ სანიკიძე წარუმატებელი მინისტრი იყო, რომელმაც განათლებისა და მეცნიერების სისტემაში რეფორმები ვერ განახორციელა. ფაქტობრივად, კვირიკაშვილმა გადარჩინა სანიკიძე, როცა ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობას ჩამოაშორა. დადასტურდა ისიც, რომ წარუმატებელ მინისტრს ერთი მხრივ გიორგი მარგველაშვილი და მეორე მხრივ ამერიკელები ლობირებდნენ. თუ არ მეშლება, ამ წელს თამარ სანიკიძეს უკვე ოთხი ვიზიტი ჰქონდა შეერთებულ შტატებში და

რომ არა მისი თანამდებობიდან გათავისუფლება, სამი დღის შემდეგ მისი მეხუთე ვიზიტიც შედგებოდა. მე ვიყავი პირველი, ვინც თქვენს გაზეთთან თქვა, რომ მას გაუშვებდნენ მინისტრის პოსტიდან, მაგრამ ჩასვამდნენ „ქართული ოცნების“ პარტიულ სიებში. ვხედავ, რომ ჩემი პროგნოზი მართლდება, თუმცა სხვა საკითხია რას შემატებს მმართველ პარტიას წარუმატებელი და უუნარო მინისტრი, რომელმაც ვერ მოახერხა დაეწერა კანონი პროფესიული და უმაღლესი განათლების შესახებ და ვერ შეძლო ბევრი სხვა რამ.

— ამბობენ, რომ თამარ სანიკიძე მასწავლებელთა ტრენინგზე ყოფილი პრეზიდენტის სკაიპით ჩართვას გადააყოლეს. ამაზე რა აზრის ხართ?

— თამარ სანიკიძეს პედაგოგებში არანაირი ავტორიტეტი რომ არ ჰქონდა, ჩემთვის დღესავით ნათელია, მაგრამ ტრენინგის გამო, პასუხისმგებლობას ვერ დავაკისრებ. ჩართვა სხვა ადამიანების ორგანიზებული იყო. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილის სკაიპში გამოჩენა პედაგოგებისთვისაც სიურპრიზი იყო, თორემ იმის მიუხედავად, რომელ პარტიას უჭერენ მხარს, ამ ტრენინგში მონაწილეობას არ დათანხმდებოდნენ.

— განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე ალექსანდრე ჯეჯელავას დანიშვნაზე რა აზრის ხართ?

— მინდა მჯეროდეს, რომ პრემიერმა მაღალი დონის მენეჯერი შეარჩია. მართვის აკადემიის ხელმძღვანელობის გარდა, ამ ადამიანს აქვს 20 წლიანი გამოცდილება ტრენინგებში, კომპიუტერული სისტემების ცოდნაში და პროფესიონალების მოძზადებაში. თუმცა იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ეტაპზე საკადრო ცვლილებებს არ აპირებს და მინისტრის მოადგილეები უმაღლესი დონის სპეციალისტებად მიაჩნია, ჩემი მოკრძალებული დასკვნა გავაკეთე და საქართველოს პრემიერ მინისტრისთვის გაგზავნილ მიმართვაში ჩამოვაყალიბე.

„ახალი მინისტრის მიერ პირველი კომენტარების მიხედვით, ის არ აპირებს საკადრო ცვლილებების განხორციელებას სამინისტროში. ეს კი გვაძლევს უფლებას, მოგმართოთ თქვენ, რომ განუმარტოთ ბატონ ჯეჯელავას ის, რომ სამინისტროში განხორციელებული საკადრო ცვლილება დაკავშირებულია იმასთან, რომ წლების განმავლობაში მინისტრმა და მისმა მოადგილეებმა ვერ განახორციელეს გასატარებელი რეფორმების ვერც კონცეფციის შემუშავება და ვერც ცალკეული დარგების მიხედვით, კანონმდებლობის შემუშავება და საქართველოს პარლამენტში მათი განხილვა-მიღება. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ ახალმა მინისტრმა თავად უნდა ჩამოაყალიბოს თავისი გუნდი, პირველ რიგში მხედველობაში მყავს მინისტრის მოადგილეები, რომლებიც მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეიმუშავებენ ჯერ განათლების ერთიანი რეფორმის კონცეფციას, წარუდგენენ მას მთავრობას და თქვენს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ განათლების სამინისტროს განახლებული შემადგენლობა შეიმუშავებს ცალკეული დარგების სათანადო დონის ფუნდამენტურ კანონ-პროექტებს.“ — წერია გიორგი კვირიკაშვილისთვის გაგზავნილ მიმართვაში.

თამარ სანიკიძის თანამდებობიდან წასვლას სრულიად განსხვავებულად აფასებს **მანანა ნიკოლაიშვილი**. ექსპერტი განმარტავს, რომ თამარ სანიკიძის „ახალი მანდატი“ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაა, რასაც თანამდებობიდან გათავისუფლებასთან და დაქვეითებასთან არაფერი აქვს საერთო. პირიქით, ეს თამარ სანიკიძის კარიერული წინსვლის შემდგომი ეტაპია — აცხადებს ექსპერტი.

— მოგეხსენებათ, რომ 8 ივნისს ოფიციალურად იწყება საარჩევნო კამპანია. დიდი ხანია ამბობენ და კულუარულადაც ვიცი, რომ თამარ სანიკიძე „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაში იქნება. თუ სანიკიძე პარლამენტში შეიყვანეს, მაშინ ეს მოხსნა, გადაყენება და დაქვეითება კი არა, კარიერული წინსვლის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა იქნება, რადგან საკანონმდებლო ხელისუფლება აღმასრულებელზე აღმატებულია. საქართველოს პარლამენტი წევრი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობაა. პარლამენტარს შეუძლია დაიბაროს და გამოიძახოს მთელი მთავრობა და მათ შორის, განათლების მინისტრი. ამიტომ, თანამდებობრივად, ეს არის დაწინაურება და არა თანამდებობიდან გაშვება.

— მასწავლებელთა ტრენინგზე მომზდარი არ შეიძლებოდა გამხდარიყო მინისტრის გაშვების მიზეზი?

— მე არავის ადვოკატად არ გამოვდგები, მაგრამ სანიკიძე რა შუაშია? რამინაშვილი რომ სახელმწიფო სამსახურში იყოს და სააკაშვილი სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ, ოფიციალურ ტრენინგზე ჩაერთო, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მაშინაც კი არ ჰქონდა უფლება, რომ მინისტრი სანიკიძე დაესაჯა და მით უმეტეს, ახლა, როცა რამინაშვილი ტრენინგს არასამთავრობო ორგანიზაციის ეგიდით ატარებს. კონკრეტულად ამ ტრენინგზე ვერაფერს გეტყვით, რადგან დეტალები არ ვიცი, მაგრამ ზოგადად, ნაციონალური მოძრაობა სააკაშვილის დახმარებით მასწავლებელთა ტრენინგებს ატარებს. ეს კიიმას ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტად ყოფნის პერიოდში, ამ მიმართულებით კარგად არ იქცეოდა,

ამჟამად ყოფილი პრეზიდენტი საქველმოქმედო საქმიანობას ახორციელებს. ამ დროს, „ქართული ოცნება“ რას აკეთებს? იმის ნაცვლად, რომ სააკაშვილის შემოღებული გამოცდები გააუქმოს, უფრო ართულებს. მმართველმა პარტიამ გადაიკიდა ყველა მოქმედი პედაგოგი, ამიტომ როგორც ექსპერტი ვურჩევ, სასწრაფოდ გააუქმონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა, თორემ განათლებიდან ერთ ხმას ვერ მიიღებენ.

— კი, მაგრამ ქართველ მასწავლებლებს დაავიწყდათ სააკაშვილის მანდატურების აქტების საფუძველზე სკოლებიდან გამორეკილი და ულუკმაპუროდ დარჩენილი ათიათასობით კოლეგა?

— ვიცი, რასაც ამბობთ, მაგრამ ამათმა უარესი სქემა გააკეთეს. სააკაშვილის დროს, მასწავლებლები გამოცდებზე ამხელა პროცენტით არ იჭრებოდნენ. ახლა უფრო მეტს ჭრიან და ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ მასწავლებელთა მთელ კორპუსს სკოლიდან გაყრიან. უზარმაზარ სახელფასო დანამატებს რომ იღებენ, ის თუ იციან, რომ მასწავლებლების უმეტესობა მცირე საათებზე მუშაობს და საცოდავ 150-200 ლარიან ხელფასზე ცხოვრობს? სააკაშვილი კიდევ ბევრჯერ ჩაერთვება და ბევრ ხმებსაც აიღებს, რადგან ეს პოლიტიკური ბრძოლაა და მას სალაპარაკო მისცეს. სააკაშვილმა იცის, როგორ აკეთოს პოლიტიკა და ამიტომ ერთვება.

— ისიც იცის, როგორ ხოცოს და აწამოს ადამიანები..

— ეს სხვა რამეა. დიახ, ციხეებში ადამიანებს აწამებდნენ, აუპატიურებდნენ, სჯიდნენ და მართალ ადამიანებს უთითხნიდნენ საქმეებს..

— მე რომ მასწავლებელი ვიყო, არაფრის ფასად არ მივიდოდი ასეთი ადამიანის ჩატარებულ ტრენინგებზე.

— ასე ნუ იტყვით.. მასწავლებლები ულუკმაპუროდ არიან დარჩენილები და ტრენინგებში ფულის გადახდის საშუალება არა აქვთ. თუმცა, კონკრეტულად ეს ტრენინგი უფასო იყო თუ არა, ვერ გეტყვით. შეიძლება ის მასწავლებლები სულაც თავისი ჯიბის ფულს იხდიდნენ. ამასთან, ყველამ არ იცოდა, ვინ ატარებდა ტრენინგს და ვინ აპირებდა ჩართვას. მე „ქართულ ოცნებას“ თქვენი გაზეთის საშუალებით, არა ერთხელ, მეგობრულად ვურჩიე, რომ არაპოპულარული რეფორმებისა და ნაციონალების დამანგრეველი კურსის გაგრძელების შედეგებს წინასაარჩევნო პერიოდში მოიმკიდნენ. ეს დროც დადგა და წიწილები შემოდგომაზე დათვალონ. სანამ დროა, დარჩენილ თვეებში გააჩერონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა და მოუსპონ ნაციონალებს საპოპულისტო და სალაპარაკო თემა. მინდა განათლების ახალ მინისტრს მეგობრულად და კეთილგანწყობით მივმართო: ბატონო ალექსანდრე, თუ სიტყვა გაუქმება არ მოგწონთ, შეაჩერეთ ეს სქემა და ახალი, გონივრული სქემა გავაკეთოთ, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამის გარდა, აუცილებლად გასატარებელია ღრმა რეფორმები უმაღლესი განათლების კანონში, თორემ სტუდენტთა პროტესტი გაგრძელდება. იცით რატომ არ კეთდება ეს ყველაფერი? იმიტომ, რომ არ არსებობს „ქართული ოცნების“ პოლიტიკური პარტიის ნება გაატაროს ეროვნული და კარგი რეფორმები განათლებისა და მეცნიერების სფეროში.. არც ერთი ხელისუფლების პირველ პირებს არ ეკითხებიან რა რეფორმები უნდა გატარდეს საქართველოში. ხშირად მეკითხებიან, რატომ არ მინდოდა არასოდეს განათლების მინისტრობა? იმიტომ, რომ არ მინდოდა, რომ ნგრევაში მიმეღო მონაწილეობა და ამხელა ცოდვა ამეკიდებინა. თუ გიფიქრიათ, რატომ არ უნდა ახალი განათლების მინისტრს კადრების შეცვლა? კარგი კადრებია და თითს ვერ დააკარებს?

— რას გულისხმობთ? შეცვლა უნდა და ვერ ცვლის?

— ვერც შეცვლის, რადგან არც ერთ მინისტრს არ მისცემენ ამის საშუალებას. ასეთი საკითხები რომ ჩვენს უფლებამოსილებაში შედიოდეს და რომ შეგვეძლოს, როგორ ფიქრობთ, ვანო კიღურაძე უმაღლესი სასწავლებლებიდან გამორეკილ კოლეგებს სამსახურში არ აღადგენდა? მათემატიკის ინსტიტუტს წართმეულ შენობას არ დაუბრუნებდა? კიდეც აღადგენდა და კიდეც დაუბრუნებდა, მაგრამ ამის უფლებას ჩვენი ქვეყნის გარეთ მყოფი ძალები არ მისცემენ. არ დაივჯეროთ, რომ საქართველოს მთავრობას ერთნაირსექესიანთა ქორწინების დააკანონება უნდა. არც ამდენი იდიოტური საგნის შემოღება უნდა სკოლებში, მაგრამ მათ არავინ არაფერს ეკითხება.

— თქვენი ნათქვამიდან გამოდის, რომ ქვეყანა იმ დონემდე განვითარდება, რამდენის უფლებასაც მოგვცემენ?

— რა თქმა უნდა და ეს ჩვენი არასწორი აზროვნების ბრალია. ჩვენ მივეცით საშუალება, რომ ასე გაეკეთებინათ. სრულიად არასწორადაა განსაზღვრული დიდი პოლიტიკის ვექტორები. იმის ფასად, რომ ჩვენი ტერიტორიები წაიღონ და ათასი უბედურება დაატრიალონ, არც რუსეთი გვჭირდება და არც ამერიკა. ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია— ღმერთისკენ უნდა შევტრიალდეთ. ღმერთს უნდა მივენდოთ და ქრისტიანულად მოაზროვნე, მორწმუნე ხელისუფლება უნდა მოვიყვანოთ ქვეყნის სათავეში. სხვანაირად არაფერი გვეშველება.

ნელი თორდია
571 35 36 88

მერაბ შათირიშვილი:

ჩვენ უნდა დავუბრუნოთ ადამიანებს ის განცდა, რაც 2012 წელს ჰქონდათ

– ბატონო მერაბ, მოახლოებული არჩევნების ფონზე, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას?

– კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლა გარდაუვალი იყო. მისი დაშლის მოლოდინი, თავად „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობას უნდა ჰქონოდათ და თავიდანვე უნდა გაემყარებინათ პოზიციები ისე, რომ დაშლის შემდეგ ნაკლებად დაზიანებულიყვნენ. „ქართული ოცნების“ კოალიციიდან გასული პარტიები. პოლიტ-გიენებს დავარქმევდი მე მათ, მერწმუნეთ პირველ დარტყმას მიაყენებენ ბიძინა ივანიშვილს, რადგან ძირითადი ხერხემალი ქართული ოცნების არის ბიძინა ივანიშვილი. ისინი დაუნდობლები იქნებიან იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც მკვდრეთით აღადგინა ისინი.

– ქართულ პოლიტიკურ წარსულს თუ გადავხედავთ, ყოველთვის ასე ხდება, ყოველთვის იმის მიმართ ვართ დაუნდობლებიო, ვინც საქართველოსთვის იბრძოდა და აკეთებდე მართალ საქმეს...

– ჩვენ გვახსოვს, რომ ზვიად გამსახურდია მოვიდა 90 პროცენტი აქტივით და თითქმის მთელმა საქართველომ დაუჭირა მხარი და შემდგომ რა მოხდა? სისხლი დაიღვარა და გავაძევეთ აქედან. მე შეიძლება პირდაპირ არ მიმიძღვის წვლილი, მაგრამ ეს ჩვენი მემკვიდრეობა და ეს ცოდვა ყველაზე გადმოდის. შემდეგ შევარდნაძე მოვიდა და ოღონდ არ წახვიდეო და დავუჩოქეთ. აი, როგორი ანომალიურ ერი ვართ! ეროვნული მოძრაობის ლიდერი, გმირი გავაძევეთ და მოვიყვანეთ ადამიანი, ცეკას ყოდილი მდივანი, რომელსაც მთელი ცხოვრება ებრძოდა ზვიად გამსახურდია და ეროვნული მოძრაობა იდეურად ...

ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს საქართველო გადაარჩინა კატასტროფას, მაგრამ ჩვენ ისეთი ზნის ერი ვართ, შეიძლება ყველაფერი ეს დავივიწყოთ. მე ბიძინა ივანიშვილს კი არ ვიცავ, უბრალოდ 2012 წლის მონაპოვარი უნდა შენარჩუნდეს, აი ამას ვიცავ. და შეიძლება ამ მონაპოვარის დაკარგვის საშიშროება სწორედ ქართული ოცნების დაუფიქრებლობისა და გულუბრყვილობის ბრალია.

ბიძინა ივანიშვილი დღეს არის აბსოლუტურად მტრულ გარემოცვაში... და ბევრი რამ, საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. იქ, განაწყენდა, რომ უგულავა პოლიტპატიმრის რაკურსში განიხილა შავგულიძემ და ეს აღნიშნა, მაგრამ ანალოგიურ კონტექსტში თავისი საბჭოს ახალმა წევრმა კოღუაშვილმა რომ გააკეთა განცხადება, ამას რა ვუყოთ? ასეთი კოღუაშვილებით რომ აჭრელდა „ქართული ოცნება“, რა ვქნათ, როგორ ვუშველოთ ამ ყველაფერს? რეგიონებში მრავლად ყავთ ნაციონალური მოძრაობის მამალი აქტივისტები ლიდერებად და ეს არის პოლიტიკური დივერსია. ბიძინა ივანიშვილმა, არ უნდა გაცვითოს თავისი ავტორიტეტი და ქართულ გარყვნილ პოლიტიკურ კაზინოში არ უნდა შევიდეს, იმიტომ რომ გაქნილ პოლიტიკურ შულერებთან, იქ შეიძლება საქართველო წააგოს.

თუნდაც ბურჭულაძის შემოსვლა პოლიტიკაში, იმას ნიშნავს რომ წყალი ამღვრეულია და ყველას ოქროს თევზის დაჭერა უნდა. საქართველოზე არავინ ფიქრობს და ეს წყლის ამღვრევა, რა, ჩემი ბრალია? ეს წყლის ამღვრევა ქართული ოცნების ბრალი არ არის? 2012 წლის განცდა დაკარგა ქართულმა ოცნებამ, 2012 წლის განცდა უნდა გაგრძელებულიყო.

– ბიძინა ივანიშვილი თავის ღია წერილში საუბრობს ამ თემებზე, რა გავიარეთ, სად ვართ და სად მივდივართ... სატელევიზიო ინტერვიუშიც იგივე თემებს უნდა შეხებოდა, მაგრამ სამწუხაროდ არ დააცალეს.

– ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა რამდენჯერმე ახსენა მიშა სააკაშვილი და რამდენჯერმე გააკეთა შედარება ნაციონალური მოძრაობის დროინდელ პოლიტიკურ მოვლენებთან – ეს ძალიან ცუდია. ისე უნდა წარმართო პოლიტიკური ცხოვრება რომ უკან გახედვა და ყოფილი უვარგისი თუ აგრესიული პარტიის ფონზე, თავის წარმოჩენა არ უნდა დაგჭირდეს.

თქვენ წარმოიდგინეთ, არჩევნებში, რომ ქართული ოცნება გავიდეს პირველ ადგილზე უმრავლესობით და ნაციონალურმა მოძრაობამ ისევ შეინარჩუნოს მთავარი ოპოზიციური ძალის პლატფორმა, საფეხური, ეს იმას ნიშნავს, რომ ის მეორედ ინარჩუნებს საალტერნატივო სახელისუფლებო პოლიტიკური ძალის ადგილს და რამდენჯერ შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდეს ადამიანი, მერე გადის პირველზე, ხო ასეა?ესე იგი ის ახლოსაა უფრო პირველ ადგილთან, ვიდრე მესამესთან. ამიტომ მესამე საფუხურზე მისი გადანაცვლება უნდა მოხდეს სწორედ ახლა, 2016 წლის არჩევნებში. მან თუ ახლა შეინარჩუნა მთავარი ოპოზიციური ძალის საფეხური, ეს იმას ნიშნავს რომ მას ყველა ცოდვა ჩამოეწერება, რაც არ უნდა ილაპარაკო უკვე მის ცუდზე, ხალხი აღარ მოგისმენს, იმიტომ, რომ თუ ასეთი ცუდი ძალა იყო, რატომ შეინარჩუნე, რატომ გააჩერე, რატომ ოპონირებდი მასთან?

– და თუ მაინც გავიდა ნაციონალური მოძრაობა მეორე საფეხურზე და შეინარჩუნა მთავარი ოპოზოციური ძალის სტატუსი?

– 2016 წლის არჩევნების შემდეგ თუ ნაციონალური მოძრაობა მეორე საფუხუზე გავიდა, მასთან კოალიციაში შემავალი პარტიების დეპუტატები გაერთიანდება და თუ მივიღეთ მძლავრი ლიბერალური ფრთა, ეგ არის უკვე სახელმწიფო გადატრიალების წინა პერიოდი, ეგ არის მოსალოდნელი პრეცედენტი და სამოქალაქო დაპირისპირების უნებლიე გეგმა, რომელსაც შეიძლება ვერ ავცდეთ და რა ვქნათ წავიდეთ სამოქალქო დაპირისპირებისკენ? გასაგებია, რომ არ ჩაგვაგდეს არაფრად, არ გვკითხეს არაფერი, მაგრამ, როგორ მოვიქცეთ ხალხმა, დავუშვათ სამოქალაქო დაპირისპირება?

– გამოსავალს რაში ხედავთ? რაღაც გზა ხომ უნდა არსებობდეს ამ მოსალოდნელი სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად?

– გამოსავალი მხოლდო ერთშია – ადამიანებს უნდა დავუბრუნოთ ის განცდა, რომელიც

2012 წელს ჰქონდათ, ის განცდა, რომლითაც გაიმარჯვა არჩევნებში ქართულმა ოცნებამ ხალხის დახმარებით. ჩვენ ვნახეთ ახლა გლდანში გამართულ არჩევნებზე მოვიდა 14 პროცენტი, ანუ 100 ადამიანიდან მოვიდა 14 ადამიანი. ასეთი გამარჯვება გვჭირდება? კარგი, დავუშვათ 14 და 16 პროცენტი კი არა, მოვიდეს 40 პროცენტი არჩევნებზე და იმ 60 პროცენტს რას ვუშვებით, ისინი არ არიან ჩვენი მოქალაქეები? აი, იმ 60 პროცენტს უნდა დავუბრუნოთ 2012 წლის მონაპოვარი, იმ 60 პროცენტს უნდა მივაწვდინოთ ხმა და ეს თითოეული ჩვენთაგანის ვალია. ჩვენ ახლა დავიწყეთ ახალი სახალხო პროექტი და პირადად მე, აბსულუტურად უანგაროდ, ის კი არადა ბოლო თეთრს ამოვიღებ ჯიბიდან და დავხარჯავ და აუცილებლად ჩავალ ყველა რეგიონში, შევხვდები ყველა სოფლის და რაიონის მოსახლეობას, იმიტომ კი არა, რომ რჩევა მივცე, ვის მისცენ კონკრეტულად ხმა და ვის არა, ამ ადამიანებს მინდა გავახსენო, რა გადავიტანეთ, რისგან გადაგვარჩინა ბიძინა ივანიშვილმა, რისთვის ვიბრძოდით 2012 წელს და რა არის კიდევ გასაკეთებელი.

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

„თოლორაია, მეუ ყუდეშა, ბაბა, გობალუ!“

მას შემდეგ, რაც ჩემი ინკოგნიტო წყაროს მიერკორცხელის ინცინდენტის შესახებ ზუგდიდიდან მოწოდებული ინფორმაცია „საერთო გაზეთის“ მკითხველებს გავაცანი, ჩემს ნომერზე უამრავი ზარი შემოვიდა.

ყველა ერთხმად აღიარებს, რომ მძიმე სიტუაციაა შექმნილი სამეგრელოში. „ნაციონალები“ ისევ აფუთფუთდნენ თურმე პარაზიტი ხოჭოებივით და ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელთანაც მოახერხეს „კოჰაბიტაციური“ კავშირების დამყარება. ჩემი ინფორმატორები კონკრეტულ სახელებსა და გვარებსაც ასახელებენ, მაგრამ მათ შორის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელს ***ედიშერ თოლორაიას*** *ყველაზე მეტად მოიხსენიებენ.*

როგორც იტყვიან, უცეცხლოდ კვამლი არ ჩნდება. ზუგდიდში მრავალნაირი ხმები დადის ედიშერ თოლორაიას შესახებ. „პლადოს“ ჯიპის და ლამაზი ქალბატონების ტრფიალის გარდა, თოლორაიას ხილვები რომ აქვს, ამის შესახებ თვითონაც აღიარა – სიზმრისეული გამოცხადება მქონდა, ერთი ლამაზი გოგონა მრჩევლად დამენიშნაო...

ჩემი ინფორმატორების ცნობით, სამეგრელოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე ბიზნესებში წილების, ტენდერებში „ატკატების“, ნეპოტიზმისა და სხვა „უწყინარი“ წვრილმან-მსხვილმანი „ცუღლუტობების“ გარდა მისი ერთი შეხედვით ბუნჩულა ჰაბიტუსის უკან ნაციონალებთან მჭიდროდ კოჰაბიტირებული პერსონა დგას თურმე.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისათვის“ ხელმძღვანელი ***ლალი ანთია*** *თავის ღია წერილში, რომელიც 26 მაისს გამოაქვეყნა, წერს:*

„საშიშია და პორტირებული, ე.ი. ნაცები - ე.წ. ნაც-ოცნება. არსებობს ჩანაწერები, რა დავალებები აქვთ აღებული სისხლიანი რეჟიმისგან და ეშინიათ გამომჟღავნების. მე პირადად ჩანაწერი არ მჭირდება, ისე ვიცი ყველა, დღეს თანამდებობის ყველა ის პირი, ვინც შემოაგზავნეს, ჩემს თვალწინ ხდებოდა ყველაფერი. ჩანერგილს მოჰყავს თანამდებობებზე ისევ ჩანერგილები.

თანამდებობებზე იყვნენ 2012 წლამდე, ნაცები იყვნენ თუ მათი მხარდამჭერები, ეს შეიძლება იმდენად არაა პრობლემა, რამდენად პრობლემაა საზოგადოებისთვის. ამ წუთამდე მოყავთ თანამდებობაზე ხალხი. ისინი „აღორძინებაში“ იყვნენ. პენსიონერების 14-ლარიან პენსიას 1 ლარი ჩამოაჭრეს და მიითვისეს. 2004 წელს მიშამ დააწინაურა და „სახალხო ბანკი“ ჩააბარა ***ბესო ჯეჯიას****. ჯეჯია იყო ახალი საპარლამენტო შტაბის წევრი 2012 წელს. ეს პიროვნება ზუგდიდის გამგებლის* ***ედიშერ თოლორაიას*** *განუყრელი მეგობარი გახლავთ. ერთად იყვნენ „აღორძინებაში“ და ანგარიშვალდებულია ბატონი თოლორაია და რა უნდა ქნას? რამდენიც გინდათ, იმდენის სახელი და გვარის დასახელება შემიძლია და მალე დავდებ სიას ჩანერგილი პიროვნებების. რატომ არიან ანგარიშვალდებული, თვითონ როგორ მოხვდა ედიშერ თოლორაია გამგებლად, მალე გამოაშკარავდება. თოლორაიასთან მე პირადად მაქვს თემა, როგორ შემოძვრა “ოცნებაში”, ვისი სახელით იყო 9-წლიანი რეჟიმის დროს? თოლორაიას თანამდებობა არ ჰქონდა. ერთი თვით ადრე წამოვიდა გუბერნიის სამსახურიდან თავისი განცხადების საფუძველზე. ასე იყო ნაცების გადაწყვეტილება და დავალება. შემოაგზავნეს და გამოგვეცხადა, როცა 2 თვის დაწყებული იყო კოალიციის შექმნა. როცა ბატონ ბიძინას მიშამ საქართველოს მოქალაქეობაზე უარი უთხრა და ხალხში ხმებს ვაგროვებდით და “ოცნება” ურიგდებოდა საზოგადოებას, თოლორაია წინააღმდეგობას გვიწევდა. არ მიუღია არც ერთხელ მონაწილეობა ჩვენს სამართლიან ბრძოლაში.*

კორცხელში არჩევნებზე არც კომისიაში, არც საარჩევნო სამუშაო ჯგუფში, 2011-2012 წელს თავგანწირულად, რისკის ფასად რომ უჯდებოდათ ყოველი დღე და ღამე, ისეთი არავინ იყო. ყველა ჩანერგილები, შემოგზავნილები, ყოფილი „აღორძინება“, ყოფილი ნაცები იდგნენ არჩევნების სათავეში.

ბატონო ბიძინა, თქვენი დიდი პატივისცემა, თქვენი დიდი იმედი აქვს საზოგადოების დიდ ნაწილს სამეგრელოში და ამიტომ აქვთ თქვენთან თხოვნა, პირადად თქვენ დაინტერესდეთ განსაკუთრებულად სამეგრელოთი. ნაცები, ვინც სამსახურში იყვნენ შტაბებში არიან, დანარჩენები კვლავ მოჰყავთ სამსახურში. საზოგადოებას ჩანერგილები უკლავენ იმედს, რადგან პროვოკაციულად ამბობენ, ზემოდან არის დავალებაო“.

ქალაქ ზუგდიდის გამგებელი ***ედიშერ თოლორაია*** *და საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი* ***ლაშა გოგია*** *თავს რომ „ოცნების“ მხარდამჭერებად და გულშემატკივრებად ასაღებენ, სინამდვილეში, ნაცების ფარული მომხრეები და მოკავშირეები არიან და საკაშვილის ნარჩენებთან ერთად იყოფენ ბიზნესის მოგებებსაც და საარჩევნოდ ნაცების მიერ დათრეულ ხმებსაც და ქულებსაც, მატყობინებენ სამეგრელოდან.*

თოლორაია მაინცა და მაინც არ გამოირჩევა საზოგადოებასთან ურთიერთობის სურვილით, რასაც ზოგიერთნი ზუგდიდში იმითაც ხსნიან, რომ თოლორაიამ ქართული არ იცის ხეირიანად და ამიტომაც არჩევს დუმილს. თუმცა, ეტყობა, მისი ფსიქოტიპის მქონე ადამიანებისთვის დამახასიათებელი სითავხედე აძლევს იმის საშუალებას, რომ, სადაც დასჭირდება, იქ თქვას: ჩემს უკან ესა და ეს დიდი კაცი დგასო.

ის ცალკე თემაა, თოლორაიას თქმით, ის დიდი კაცი რომ უკან დგას და თოლორაია წინ, მაგრამ კვლავ კორცხელის სამარცხვინო ინციდენტს მივუბრუნდეთ, რომელსაც, საქმეში ჩახედული ხალხი, სწორედაც ***ედიშერ თოლორაიას*** *და* ***ლაშა გოგიას*** *სახელებს უკავშირებს.*

ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარემ და „ქართული ოცნების“ ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ედიშერ თოლორაიამ და საარჩევნო შტაბის უფროსმა ლაშა გოგიამ გაოცნებებული ნაციონალი ***ამირან ლაგვილავა*** *წარადგინეს კორცხელში „ქართული ოცნების“ კანდიდატად.*

ვინ არის ამირან ლაგვილავა და რატომ გამოარჩიეს ის?

ამ ლეგიტიმურ კითხვაზე ზუსტი პასუხები თოლორაიას ექნება. თუმცა იგი ჟურნალისტებთან საუბრებისთვის დროს არ კარგავს – ხშირად არის მივლინებებში ჩინეთსა და დიდ ბრიტანეთში, ნაცებთანაც ბევრი აქვს საჭუკჭუკო და რამდენს გაწვდეს ერთი ადამიანი?..

რაც შეეხება ამირან ლაგვილავას, გასაგებია, ნაცებს სჭირდებოდათ ამისთანა სირცხვილნაჭამი ხალხი, კომპრომეტირებულები, ადვილად სამართავნი, მაგრამ „ქართულ ოცნებას“? „ქართულ ოცნებას“ რაში დასჭირდა ლაგვილავას გვერდით დაყენებაო?! – კითხულობს და სამართლიანადაც კითხულობს ხალხი.

ის ადამიანები, რომლებიც 2012 წლის არჩევნების დროს საარჩევნო საქმიანობაში იყვნენ ჩართული და უამრავი წინააღმდეგობა გადაიტანეს „ნაცმოძრაობის“ პროვოკაციებიდან გამომდინარე, სრულიად უგულებელყოფილნი არიან თურმე და სრულიად უცხო, საქმეში ჩაუხედავი ხალხი დაუყენებიათ გვერდით თოლორაიას და გოგიას.

22 მაისს „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარმა დეპუტატობის კანდიდატმა კორცხელში ***ვარადებულ ლაშხიამ*** *ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ გამოცემას და თქვა: „ქართული ოცნების“ დასასრული კორცხელიდან უნდა დაიწყოსო. „ქართული ოცნების“ არა, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ დასასრული ზუსტად სამეგრელოდან დაიწყებაო, იმუქრებიან მეგრელები. მანამდე კი, როგორც ამბობენ, თოლორაია გადადგომას აპირებს, თუმცა, არ მგონია, მან ეს ნაბიჯი საკუთარი ნებით გადადგას. ისე კი, მიმაჩნია, დროა და მისთვისაც უმჯობესი იქნებოდა.*

რაც შეეხება გუბერნიის ხელმძღვანელობას, ჩვენი წყარო აცხადებს, რომ გუბერნიის ხელმძღვანელობა ამ საქმესთან კავშირში არაა. თოლორაია არავის აკარებდა საარჩევნო საკითხებსო.

ზუგდიდში არაერთხელ ყოფნისას, რამდენჯერაც ვცადე, მაგრამ, ვერც ერთხელ ვერ მოვახერხე ედიშერ თოლორაიასთან შეხვედრა. ვერც ტელეფონით დავუკავშირდი, რადგან სატელეფონო ზარებს, როგორც წესი, ბატონი ედიშერი არ პასუხობს, ამიტომ იძულებული ვარ, „საერთო გაზეთის“ საშუალებით დავუსვა შეკითხვები:

– ბატონო ედიშერ, სწორია თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა სავსეა პორტირებული (და არაპორტირებული) ნაციონალებით?

– რატომ არ გეთმობათ ნაციონალები სახლში გასაშვებად?

– მათი გაშვებისგან იმიტომ ხომ არ იკავებთ თავს, რომ, თურმე თქვენზე ვიდეოჩანაწერები აქვთ ნაცებს, როგორ ათანხმებთ მათთან 2012 წლის არჩევნების წინ სხვადასხვა საკითხებს?

– ნეპოტიზმს ამჯერად თავი დავანებოთ. ის მიპასუხეთ, რა ბიზნესწილები გაქვთ სამეგრელოში და გაქვთ თუ არა ბიზნესები საკუთრივ ნაციონალებთან?

– აგვიხსენით, კონკრეტულად, რა ნიშნით გამოარჩიეთ ამირან (გონერ) ლაგვილავა „ოცნების“ კანდიდატად კორცხელში და რატომ ლობირებდით მას ასე თავგამოდებით?

– რატომ უკეთებთ იგნორირებას იმ ადამიანებს, რომლებიც „ქართული ოცნების“ გამარჯვებისთვის თავგანწირვით იბრძოდნენ და რატომ უწევთ ასე დიდ ანგარიშს ნაციონალებს, რომლებსაც, როგორც ამბობენ, დღესაც ახალაია მართავს ცხიდან?

– გრძნობთ თუ არა პასუხისმგებლობას კორცხელში მომხდარი ამბების გამო და, აქედან გამომდინარე, აპირებთ თუ არა გამგებლის პოსტიდან გადადგომას, რითაც ყველაზე დიდ სამსახურს გაუწევთ ზუგდიდსაც და „ქართულ ოცნებასაც“?

მოხარული ვიქნები, თუ ბატონი ედიშერი ან დამიკავშირდება და ყველაფერს ამიხსნის, ან კითხვებზე პასუხებს „საერთო გაზეთს“ გამოუგზავნის. სხვა შემთხვევაში, მომდევნო ნომერში თოლორაიას საქმიანობასთან დაკავშირებით ისეთ ფაქტებს დავდებ, რომლებზე პასუხის გაცემა ბატონ ედიშერს ნამდვილად გაუჭირდება.

გუშინ ერთმა პატიოსანმა ზუგდიდელმა დამირეკა და მთხოვა: თოლორაის ქართული არ ესმის და იქნებ მეგრულად უთხრათ – თოლორაია, მეუ ყუდეშა, ბაბა, გობალუო! (თოლორაია, წადი სახლში, ბაბა, გეყოს!)...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ვიღაცები ნატრობენ აჭარის სიკვდილს, მაგრამ აჭარა ცოცხალია, მის სიკვდილს არ დავუშვებთ!

გასულ კვირას „აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის“ ხელმძღვანელი, ბატონი ნიაზ ბოლქვაძე გვესტუმრა ბათუმიდან.

— ბატონო ნიაზ, მოგვიყევით, რა ამბებია, რა ხდება აჭარაში?!

— თურქები ამბობენ, აჭარა თურქეთის ნაწილია და დღეს ან ხვალ ისევ თურქეთს დაუბრუნდებაო, ვინც ამას ისმენს, ყველა წუხს, ეს როგორ გვაკადრაო. როგორ გვაკადრა და გაუდით და კადრულობენ.

კონკრეტული ნაბიჯებია გადასადგმელი და არა მხოლოდ უკმაყოფილების გამოხატვა.

ერთ-ერთ ასეთ ქმედით ნაბიჯად მიმაჩნია, ბათუმში დაიდგას ოსმალთა ბატონობისგან გათავისუფლების მემორიალი.

— მერე, რა გიშლით ხელს — მიმართეთ სათანადო ორგანოებს.

— მემორიალის პროექტი ვაჩვენეთ კათოლიკოს-პატრიარქს, მან აკურთხა პროექტი, თვით ადგილი, სადაც უნდა დაიდგას მემორიალი, ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ დალოცა, მიგვიწვია ბატონმა მერაბ ბერძენიშვილმა, განვიხილეთ და დავხვეწეთ მემორიალის პროექტი, მემორიალის თავზე ილია ჭავჭავაძის გამოსახულებაა, როგორც საქართველოს ერთიანობის იდეოლოგი, იქით-აქედან სელიმ ხიმშიაშვილი და მემედ აბაშიძე დგანან. ეს იდეაა გატარებული მემორიალში. შევაგროვეთ ფულიც შემოწირულობების სახით აჭარის მოსახლეობისგან და მზად გვაქვს დასადგმელად, თუმცა წავაწყდით ძალიან სერიოზულ პრობლემას.

მემორიალის დადგმაზე უარი გვითხრა აჭარის ხელმძღვანელობამ, შემოგვითვალეს — თუ მაინცდამაინც გინდათ დადგათ, ოსმალო დამპყრობლებისგან გათავისუფლების სახელს ნუ დაარქმევთო.

აბა, ვისი სახელობის იყოს, ჩინეთის თუ იაპონიის? ვის დავაბრალოთ ჩვენი სამასწლიანი ტანჯვა-წამება?

გარკვეული ხნის წინ ახალციხეში შეიქმნა მესხ მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი. ახალციხიც მერიაში შეიტანეს განცხადება, რომ იქაც აღიმართოს ოსმალთა ბატონობისგან მესხეთ-ჯავახეთის გათავისუფლების მემორიალი.

ქვა ბუნებრივი გრანიტისაა და ზედ აწერია — ოქროს ასოებით უნდა დაეწეროს — ოსმალთა ბატონობისგან განთავისუფლების და დედესამშობლოსთან დაბრუნების აღსანიშნავი მემორიალი.

ბათუმის ქალაქის მერმა შარშან 25 აგვისტოს მოგვილოცა საზეიმო ღონისძიებაზე მემორიალის პრეზენტაცია, გვეგონა, რომ ამ საქმეს წინ არაფერი დაუდგებოდა, მაგრამ თურქეთის კონსულმა დაიბარა თურმე ბატონი ერმაკოვი და სასტიკად აუკრძალა ამ თემაზე ლაპარაკიც კი. ამის შემდეგ ქალაქის მერიამ და საკრებულომ თავი შეიკავა და მემორიალის დადგმაზე გადაწყვეტილება ვერა და ვერ მივიღეთ.

ასეთი შინაარსის მემორიალი საქართველოში არსად არ დგას, ამიტომ, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია მისი დადგმა ახლა, როცა ასეთი ინტენსივობით მიმდინარეობს თურქეთის ინტერვენცია არა მხოლოდ აჭარში, არამედ მთელ საქართველოში.

აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირმა 25 აგვისტო აჭარის განთავისუფლების აღსანიშნავ დღედ დავაწესეთ. მით უფრო, წელს ოსმალთა ბატონობისგან გათავისუფლების 138 წლისთავია. აჭარის მთელ მოსახლეობას მოვიწვევთ, წაიკითხავენ მოხსენებებს, მთიანი აჭარიდან ჩამოსულ გლეხებს მიეცემათ საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება, გაიმართება კონცერტი, საზეიმო მსვლელობა.

— კი, მაგრამ, მე მგონი, აჭარაში არიან ადამიანები, რომლებიც სულაც არ მიიჩნევენ ოსმალთა ბატონობას მწარე უღლად. ახალი მეჩეთების აგებისთვის აქციებს აწყობენ, შვილებს თურქეთში უშვებენ სასულიერო სასწავლებლებში.

— კი, არიან ჩვენს საზოგადოებაში ადამიანები, რომლებიც, როგორც ჩანს, თურქეთის დავალებებას ასრულებენ, მაგრამ ისიც გაითვალისწინეთ, რომ მუსულმან აჭარელ კაცს მამულიშვილობაში არასდროს უკან არ დაუხევია. ასეა ახლაც. მეტსაც გეტყვით, აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის შეჩერებაში ქართველმა მუსლიმებმა მთავარი როლი ითამაშეს.

ქართველ მუსლიმანებში ისეთი დიდი პატრიოტიზმია, რომ ქართულად სწავლობენ ყურანს. ჯერ იმამი წაიკითხავს თურქულად, მერე ქართულად უთარგმნის. ეს ამბავი მისულა თურქეთის კონსულამდე. კონსულს დაუბარებია მუსლიმთა იმამი და თითი დაუქნევია, რას ჰქვია, ქართულად კითხულობთო. ე. ი. ქართულის ამოძირკვა უნდათ, რომ მის მაგივრად დამკვიდრდეს თურქული მუსულმანური ფანატიზმი.

— მოსახლეობა რას ამბობს ამაზე?

— მოსახლეობის ყურამდე ეს ამბავი არ მისულა. მე შემომჩივლეს მოლებმა.

— აზიზიეს მეჩეთთან დაკავშირებით ხმაური მიწყდა. აღარ აგებენ ამ მეჩეთს?!

— ამ ფაქტთან დაკავშირებით მე გამოვაქვეყნე ვრცელი სტატია ბათუმის პრესაში — „განგაში! თურქეთი აჭარა-მესხეთს გვედავება“, რის შემდეგაც მოვიდნენ და მითხრეს — უფრთხილდი თავს, შეიძლება მოგკლანო. მე ვუპასუხე: რაც ვთქვი, არის თუა არა სათქმელი? — კიო, — მითხრეს, ჰოდა, ვთქვათ, რაც სათქმელია და მივენდოთ ღმერთს-მეთქი. არასდროს გავჩუმებულვარ, როცა საბრძოლველი იყო. ამ ქვეყნის სადარაჯოზე უნდა ვიდგეთ, ესაა ჩვენი მოვალეობა.

ასე რომ ვფიქრობდი, იმიტომაც იყო 2011 წლის 26 მაისის აქციაზე ისეთ დღეში ჩამაგდეს, მორგში მოვხვდი, მკვდარი ვეგონე ყველას, მაგრამ მტრების ჯინაზე ცოცხალი ვარ. ასევე ნატრობენ ვიღაცები აჭარის სიკვდილს, მაგრამ აჭარა ცოცხალია, უკვდავია.

26 მაისის დარბევის მერე, ცემისგან და წამებისგან დაუძლურებული ცოტათი რომ მოვმჯობინდი, შევკრიბე პატრიოტი ხალხი ბათუმში, ცხონებული ვახტანგ ახვლედიანიც ჩვენთან იყო მაშინ, წავედით ქობულეთში და საამაყო აჭარელის — გულო კაიკაციშვილის იუბილე გადავიხადეთ. ვინც მხვდებოდა ქობულეთში, მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ: გასაგებია, თქვენი გზავნილი. გადაეცით ქართველებს, ქართული სული არ ჩამკვდარა აჭარაში-თქო!

ერთი სიტყვით, ჩემი მოკვლა იყო განზრახული 26 მაისს. სიტყვითაც გამოვედი მიტინგზე, სტატიები უკვე მქონდა გამოქვეყნებული. როგორც ჩანს, თვალთვალზე ვყავდი აყვანილი და მიუხედავად იმისა, ზხლობლები მთხოვდნენ სახლში წავსულიყავი, არ დავუჯერე არავის და ბოლომდე დავდექი ჩემი მეგობრების გვერდით. ვერ აღგიწერთ, რა საშინელება დატრიალდა. კინოებში რომ არის, ბორბალზე რომ აკრავენ ადამიანს, ისე შეგვიკრეს უკან ხელ-ფეხი. სიზმარში მეგონა თავი, გადარჩენას არც ველოდი და მახსოვს, სამჯერ ჩავაბარე აღსარება ღმერთს.

— ბატონო ნიაზ, თქვენი ნებართვით, კვლავ სულთან აზიზიეს სახელობის მეჩეთის თემას დავუბრუნდეთ, რამდენადაც ვიცი, თქვენი წვლილი დიდია იმაში, რომ მეჩეთის მშენებლობა შეფერხდა.

— ამ მეჩეთის მშენებლობაზე რომ მიდიოდა საუბრები, დიდი ვნებათაღელვა შეიქნა, ცხადია, ზოგი იწონებდა ამ ამბავს, ზოგი — წინააღმდეგი იყო. ერთ დღეს მეგობრები შევიკრიბეთ. დიდი ფიქრის მერე ჩემთვის ჩავილაპარაკე: „რა მისჭირდეს, მაშინ უნდა, გონებანი გონიერსა“-მეთქი. ეს რას ნიშნავსო, — მკითხეს. იმას, რომ თუ გონება გვაქვს, ახლა უნდა გამოვიყენოთ — შევკრიბოთ ისეთი ხალხი, მუსულმანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ აჭარაში დამპყრობლის სხელობის მეჩეთი არ უნდა იყოს და მათ გამოვათქმევინოთ პროტესტი-მეთქი. მივიღე ჩემი მოძღვრისგან კურთხევა, შევკრიბე ხალხი და გავაკეთებინეთ „ქართველ მუსლიმანთა მიმართვა“.

როცა დაინახეს, რომ თვით მუსულმანები აპროტესტებდნენ ამ მეჩეთის აშენებას, შეწყდა სპეკულირება ამ თემით.

თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ უდიდესი საფრთხის წინაშე ვდგავართ კვლავ. თურქულ მხარეს ბათუმის გარშემო ყველა სტრატეგიული პუნქტი აქვს დაკავებული. ის სიმაღლეები, რომლებიც ყოველთვის იყო ქართველ მხედართმთავართა თუ უცხო დამპყრობთა სტრატეგიული წერტილები.

— რა თვალსაზრისით იჭერენ ამ პუნქტებს?

— ვითომდა აქვთ ბიზნესები. მაგალითად, საბაგირო, სადაც არავინ იცის, რა ხდება. მეტი წარმოდგენისთვის გეტყვით, იმ სიმაღლეებიდან ქობულეთი, ფოთი, ხოფა ხელისგულივით მოჩანს. მოკლედ, მთელ ზღვისპირეთს აკონტროლებენ თურქები.

ადრე ასეთ სტრატეგიულ ადგილებზე საბჭოთა ჯარის ნაწილები იყვნენ გამაგრებულნი.

— ასლან აბაშიძის დროს?

— აბაშიძის დროს აჭარაში ერთი გოჯი მიწა არ გაყიდულა უცხოტომელზე.

„აჭარის მამულიშვილთა კავშირი“ რომ დაარსდა, ქვეყანაში ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო. ასლან აბაშიძის სახელის გაგონებაც არ უნდოდა ზოგიერთს, ისეთი პროპაგანდა გაავრცელა მიშა სააკაშვილმა

მაშინ. თუმცა ახლა სხვანაირად ფიქრობს ხალხი – ადრე თუ კამათობდნენ ასლანისტები და ანტიასლანისტები, ახლა თანხმობით ცხოვრობენ.

მოგეხსენებათ, ნაციონალების დროს გაშალა ფრთები თურქულმა ექსპანსიამ აჭარაში. იხსნებოდა ბარ-რესტორნები, სასტუმროები, სადაც აშკარა გარყვნილების ბუდეები იყო. დღეს ერიდებიან აშკარად ასეთ რამეებს, იატაკქვეშეთში გადაინაცვლეს, თუმცა ეს არ გვაძლევს საშუალებას, რომ მშვიდად ვიყოთ.

სამწუხარო ისაა, რომ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებიც თურქებს თავიანთი ინტერესების განხორციელებაში რატომღაც ეხმარებიან, ისე წარმოაჩენენ, თითქოს ჩვენ, ხალხს, არ გვიყვარს თურქეთი და თურქი

ხალხი, მე არაერთხელ მითქვამს და მსურს კიდევ ერთხელ აღვნიშნო: თურქეთთან ჩვენი მეგობრობა და მეზობლობა გარემოებებმა განაპირობეს. ამიტომ ზურგს არ ვაქცევთ, არც კონფრონტაცია გვსურს თურქეთთან, ჩვენ გვინდა მჭიდრო ურთიერთობა თურქეთის სახელმწიფოსთან, მაგრამ არა ჩვენი ეროვნული ინტერესების დაკნინების ხარჯზე.

– წინასაარჩევნო სიტუაცია როგორია აჭარაში?

– ყველაზე მთავარ და საკვანძო პოსტებზე გადმოპორტირებული ნაციონალები სხედან.

ამასთან დაკავშირებით ერთ სამწუხარო ამბავს მოგიყვებით.

ბათუმის შემოსასვლელში იაკობ გოგებაშვილის სახელობის ლამაზი ქუჩაა. სააკაშვილის დროს ამ ქუჩას ბაქოს ქუჩა დაარქვეს. თუმცა ქუჩის დასახელების ძველი ტრაფარეტის ჩამოხსნა ხალხის შიშით ვერ გაბედეს.

„ქართულმა ოცნებამ“ რომ გავიმარჯვეთ, ტრაფარეტი ხელისუფლებაში მოკალათებულმა ქამელეონებმა ჩამოხსნეს და დააწერეს – ბაქოს ქუჩა. ამ ქუჩაზეს, სხვათა შორის, „სოკარ-ჯორჯიას“ დიდი ოფისი დგას.

როგორ შეიძლება, ახლა, ამ ყველაფრის მოთმენა?!

უჭირს აჭარას, ეკონომიკური პრობლემებია თითქმის ყველა ოჯახში. ხალხი თურქეთში მიდის დამამცირებელი სამუშაოს შესასრულებლად მცირედი ანაზღაურებისთვის.

ჩვენი ორგანიზაციის წევრებიც არიან წასული, თუმცა მუდმივ კავშირში არიან ჩვენთან. თუ საჭიროება მოითხოვს, მაშინვე გადმოვლენ და ქართულ საქმეს დაუდგებიან გვერდით. ჩვენი ორგანიზაციის წევრები, 2008 წელს ცხინვალში ნაომარი ბიჭებიც არიან თურქეთში წასული სამუშაოდ. რომ მიდიოდნენ, გვითხრეს – არ იფიქროთ, დაგტოვეთ, თქვენს გვერდით გვიგულეთ, შეგვატყობინეთ და თქვენთან ვართო.

არჩევნებზე მკითხეთ. ყოველ არჩევნებს იმედით შეჰყურებს მოსახლეობა, მაგრამ პარტიების მიერ კანდიდატების შერჩევა მოსახლეობის აზრის გათვალისწინების გარეშე ხდება.

თვითმმართველობის არჩევნების დროს მოსახლეობის აქტივობა 35% იყო. შუალედურ არჩევნებში 14 თუ 15%. არჩევნებისთვის თავის არიდების გამო ჯარიმებზეც არის ლაპარაკი, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი. ჯარიმის შიშით რომ ადამიანი არჩევნებზე მივა, ის სწორ არჩევანს ვერ გააკეთებს, სინამდვილეში ხალხის არჩევანი რომ იყოს ესა თუ ის კანდიდატი, ან პარტია, ამისთვის საჭიროა პროცესებში მოსახლეობის უფრო აქტიური მონაწილეობა და ღირსეული კანდიდატების წარდგენა.

პარლამენტი, აჭარის უმაღლესი საბჭო, საკრებულოები, იმის მაგივრად, რომ ბრძენთა საკრებულო იყოს, მოლაყბეთა შეკრების ადგილებს ჰგავს.

– „ნაცმოარაობა“ აქტიურობს აჭარაში?

– აჭარაში „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავართ, მაგრამ შემდეგ „ქართული ოცნების“ სახელით ისეთი ხალხი დაინიშნა თანამდებობებზე, რომლებიც თავის დროზე ებრძოდნენ ჩვენს ინიციატივებს.

ამან დაუკარგა ნდობა „ქართულ ოცნებას“, თუმცა სხვა პოლიტიკური გაერთიანება არც მიგვაჩნია დღეს ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ისეთი, „ქართულ ოცნებაზე“ უკეთესი რომ იყოს. ხელისუფლებას მოვუწოდებ – მეტად იზრუნოს ხალხზე, ქვეყნის ინტერესებზე. რაც ჩვენ შეგვიძლია, ხალხს, გვერდით ვუდგავართ ჩვენს ქვეყანას.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„ნაცმოძრაობას“ ჩვენ, საზოგადოებამ უნდა დავუსვათ წერტილი...

„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოლიტრეპრესირებული დავით ბლენტი.

– ბატონო დავით, საზოგადოების აქტიური წევრი ბრძანდებით. რას იტყვით, რა ხდება დღეს ჩვენს ირგვლივ?

– არც ერთ ხელისუფალს არ მოსწონს აქტიური ასამოქალაქო საზოგადოება, თუმცა ახლა, ამდენი ბრძოლის შემდეგ გაჩერება, უბრალოდ, შეუძლებელია. „ნაცმოძრაობის“ პროვოკაციებს ჩვენ, საზოგადოებამ უნდა დავუსვათ წერტილი.

ყველამ ვიხილეთ, რაც მოხდა ამ დღეებში კორცხელში, სადაც ორი ნაციონალი აქტივისტი უპირისპირდებოდა ერთმანეთს – „ქართული ოცნების“ კანდიდატიც ნაციონალი იყო და ნაცების წარმომადგენელი ხომ, თავისთავად. კორცხელი ამხელა რეგიონის ერთ-ერთი პატარა სოფელია და იქ არჩეულ დეპუტატს, თითქოსდა, არავითარი გავლენა არ შეიძლება ჰქონდეს ქვეყანაში მოსალოდნელ მოვლენებზე, თუმცა „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ პასუხისმგებელი პირები არჩევნების დროს ჩადიან კორცხელში. ე. ი. მნიშვნელოვანია, ხომ?! მნიშვნელოვანი იყო, რა მოხდებოდა კორცხელში, ამიტომაც მოხდა იქ ის, რაც მოხდა.

მე, როგორც მიუკერძოებელი, ამ ინციდენტში ორივე მხარეს ვადანაშაულებ. ანუ „ქართული ოცნება“ ვერ ერკვევა სიტუაციაში და ნაცები ფლობენ მოვლენების ჩარხს?! რას ნიშნავს ეს? რისთვის ვიბრძოლეთ?

ფაქტობრივად, ორ ნაწილად ყოფენ ხალხს, მაგრამ საქმე

უფრო რთულადაა. რა თქმა უნდა, „ქართულ ოცნებას“ ჰყავს „ნაცმოძრაობაზე“ მეტი ამომრჩეველი, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ 2012 წლის შემდეგ ჩატარებულ არჩევნებზე საქართველოს მოსახლეობის 70% არ მივიდა. ეს უკვე ნიჰილიზმია და არაფერი კარგის მომტანი არაა ჩვენი ქვეყნისთვის.

„ქართულ ოცნებას“ სამართლიანობა უნდა აღედგინა. ეს აუცილებელი იყო. ისევ დაჩაგრულია ხალხი, რომლებსაც უკანონოდ ჩამოართვა „ნაცმოძრაობის“ მმართველობამ საკუთრება, ქონება, ბიზნესი, ხალხი, რომლებიც უდანაშაულოდ ისხდნენ ციხეებში და როცა პარლამენტმა 200 ადამიანს პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა, აქ შეწყდა ყველაფერი. ამ ადამიანების გაუბედურებაში ნაციონალი ნაძირლები იღებდნენ მონაწილეობას და არ დასჯილა არავინ.

26 მაისს რაც გააკეთა კრიმინალურმა ხროვამ, რომელსაც სათავეში მიხეილ სააკაშვილი ედგა, ასეთი რამ 1989 წელს სსრკ-ს ჯარს არ გაუკეთებია. იმ პროცესების მონაწილე მეც ვიყავი. კარგად მახსოვს, რუსებმა მაშინ გასასვლელი დაუტოვეს ხალხს, 26 მაისს კი ყველა კუთხით ალყა შემოგვარტყეს და ქალები, ახალგაზრდები, ასაკოვანი ხალხი მიზანმიმართულად დაასახიჩრეს და დახოცეს. 12 ადამიანზე მეტია 26 მაისის მსხვერპლი. ამას ზეპირად არ ვამბობ – პიონერთა სასახლეში შევაფარეთ თავი, დაგსვდევდნენ ცოფიანი მგლებივით, სიბნელეში ვიმალებოდით, სასახლეში რომ შემოიჭრნენ და ეგონათ, იქ არავინ იყო, ერთმანეთში ლაპარაკი დაიწყეს, „12 ტრუპი გვყავსო“. სხვის ნათქვამს არ ვამბობ, ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი.

ამის შესახებ პირდაპირ ეთერში დავუკავშირდი და ვუთხარი რადიო „თავისუფლებას“, რადიო „ობიექტივს“, რადიო „პალიტრას“, დავურეკე და შევატყობინე ჟურნალისტ ნინო ზურიაშვილს, კიდევ სხვა ჟურნალისტებს, მათაც იციან და ყველამ, ვისთვისაც საჭიროა ამის ცოდნა, რომ 26 მაისს ოთხი კი არა თორმეტი და, სავარაუდოდ, კიდევ მეტია დახოცილი. სსრკ-მა 9 აპრილის დანაშაული ვერ შეირჩინა, ამ ხელისუფლებასაც არ შერჩებოდა ეს, ვიღაცვიღაცებს ნაცებისთვის ხელი რომ არ დაეფარებინა. „პატრიოტთა ალიანსმაც“ შეაჩერა მაშინ ქუჩაში გამოსული ხალხი, ვითომ ორი-სამი დღის შემდეგ ავაგოროთ ახალი საპროტესტო ტალღაო, მაგრამ ბოლოს მოხდა ისე, რომ გვეგონა გადავაგდეთ ეს უსაშინელესი ძალა – „ნაცმოძრაობა“ და ხელთ შეგვრჩა „ნაცმოძრაობის“ ძველი დამფუძნებლები – ძმები ბერძენიშვილები, ხიდაშელი, ძიძიგური, შავიშვილი, ალასანია...

– შემოდგომა მოდის. არჩევნები ახლოვდება, რა მოლოდინები გაქვთ, რას ფიქრობთ, რას აპირებთ?

– ჯერჯერობით რაც ჩანს ისაა, რომ ქვეყნის მოყვარული ადამიანებისთვის გზის გადაკეტვის მცდელობები კვლავ გრძელდება.

სანამ ქართული ტელევიზიები იქნება „ნაცმოძრაობის“ კონტროლქვეშ, სასიკეთოს ვერაფერს მივაღწევთ. ყველაფრის გადაფარვა მიმდინარეობს საინფორმაციო სივრციდან.

მე ნამუშევარი ვარ ტელევიზიაში და ვიცი, როგორ უნდა მუშაობდეს ხალხის ტელევიზია. საუბარი მაქვს საზოგადოებრივ მაუწყებელზე. ის არის ხალხის მიერ დაფინანსებული ტელევიზია და ხალხს უნდა ემსახურებოდეს, არადა, საზოგადოებრივი მაუწყებელი დღეს, ფაქტობრივად, არის მკვდარი. სად მიდის ეს თანხები, კაციშვილმა არ იცის და ტელევიზია არაა ყურებადი. ვის ინტერესებშია ეს?! ვის ინტერესებშიც არ უნდა შედიოდეს მსგავსი მავნებლობა, ის არის ქვეყნის მტერი.

სააკაშვილმა მშვენივრად იცოდა ინფორმაციის შესაძლებლობების შესახებ.

კარგად გვახსოვს, სამარშრუტო ტაქსებშიც კი რადიოები გათიშინეს ხალხს. იმ 10-15 წუთსაც კი არ უნდოდა, რომ ადამიანს ინფორმაცია მიეღო, რაიმე გაეგო, ფიქრი დაეწყო... გაიხსენეთ, დააყადაღეს სატელიტური თეფშები, გათიშეს ტელემაუწყებლობა... ინტერაქტიული თოქ-შოუები გაჩერდა რადიო „უცნობზე“, „მაესტროზე“, „პალიტრაზე“...

თუმცა მშვენივრად ვიცით, რა ხდებოდა იმ 9 წლის განმავლობაში, მაინც ჰყავს მხარდამჭერები „ნაცმოძრაობას“. ამის მიზეზი რა არის?

ჩემნაირ ხალხს, მოქალაქეებს არ უთმობენ ეთერებს, არ იწვევენ დისკუსიებში რადიოში, ტელევიზიებში და ამას სპეციალურად აკეთებენ, საზოგადოება რომ არ გაიზარდოს, არ გათვითცნობიერდეს, არ გაძლიერდეს.

რუსეთი, რომელსაც ომი აქვს უკრაინასთან, თავის ტელევიზიებში ბენდერებს იწვევს პირდაპირ ეთერში.

გახსენი, ხელისუფლებავ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერი ქართული საზოგადოებისთვის და თქვენ გაიგებთ რეალურ ვითარებას, გაიგებთ სიმართლეს!

ირინა ღარჩია
568 97 61 60

დამოუკიდებლობის ჭრაგნელია

ქართველი ოკუპანტები საქართველოს წინააღმდეგ

დასაწყისი „სგ“ #19

90-იანი წლების პირველ ნახევარში სოკოებივით მომრავლებული კერძო ბანკები თუ სხვა ფინანსური ორგანიზაციები, მოსახლეობას უკანასკნელი კაპიკების მათთან „დაბანდების“ სანაცვლოდ „ოქროს მთებს“ პირდებოდნენ, მოკრებდნენ ფულს, რამდენიმე თვეში თავს გაკოტრებულად გამოაცხადებდნენ და მათ ხელმძღვანელობას სანთლით ვეღარ იპოვიდი. პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძის განცხადებით, როცა კერძო ბანკების („კაპიტალინვესტი“, „ოქროს საწმისი“ და სხვ.) გაკოტრებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა დავსვათ კითხვა, რატომ მოკლეს ავსტრიის დედაქალაქში ედუარდ შევარდნაძის პირადი წარმომადგენელი ევროპაში, დავით სანიკიძე. „საქმეში“ სანიკიძის გარდა, თურმე საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი ვინმე ჩიხლაძე და ცნობილი ე.წ. კანონიერი ქურდი ტარიელ ონიანიც ფიგურირებდნენ. ვერაფერს იტყვი, მართლაც საინტერესო სამკუთხედია სახელმწიფო მეთაურის წარმომადგენელი, ყოფილი „კაგებეშნიკი“ და „კანონიერი ქურდი“. მაშინდელ სამართალდამცავ სტრუქტურებს ოპერატიული ინფორმაციები ჰქონდათ, რომ ამ ბანკების გაკოტრების საქმეში, აქტიურად იყო ჩართული ხელისუფლება, რომელმაც ხალხისთვის მოპარული ფული საზღვარგარეთ „დააბინავა“. ხმები დადიოდა, რომ თითქოს 15 მილიონი აშშ დოლარი გაიტანეს, თუმცა რესპოდენტის ვარაუდით, „ექსპორტირებული“ თანხა გაცილებით მეტი იყო. შსს-ს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებს ერთი კვირით ადრე იცოდნენ, „მოტეხილი“ ფულის „ექსპორტი“ რომ იწყებდნენ. ეს ფული „ძმურად“ უნდა განაწილებულიყო, მაგრამ ხსენებული სამსახურის ხელთ არსებული ინფორმაციით, ტარიელ ონიანი, ანუ „შავი სამყარო“ მოტეხეს, რასაც დავით სანიკიძის მკვლელობა მოყვა. მაშინდელ პრესაში იწერებოდა, რომ დავით სანიკიძე ე.წ. მეტეხის საძმოს წევრმა აკაკო ჯავახაძემ შურისძიების მიზნით მოკლა, რადგან მას ეჭვი ჰქონდა, რომ მამამისი, რიჩარდ (რიჩო) ჯავახაძე, ყოფილმა მეგობარმა დავით სანიკიძემ მოკლა. რომელი ვერსია უფრო ზუსტია ვერ მოგახსენებთ, თუმცა ერთი მეორეს არ გამორიცხავს, ფაქტია, რომ სანიკიძის მკვლელობასთან დაკავშირებით ავსტრიის პოლიციამ აკაკო ჯავახაძესთან ერთად მომღერალ პაატა ბურჭულაძის ვაჟი შუქრი ბურჭულაძე და ტარიელ ონიანის ძმა გია ონიანიც დაპატიმრა. ბურჭულაძეს 22 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მან ათ წელზე მეტი გაატარა ავსტრიის ციხეში. რა ბედი ეწიათ ჯავახაძეს და გია ონიანს, ვერაფრს მოგახსენებთ, რადგან მათ შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ. დავით გაგნიძის განცხადებით, სანიკიძის მკვლელობასთან დაკავშირებით, ავსტრიის პოლიციამ ისრაელის უშიშროების სამსახურის და ამერიკის დაზვერვის ფედერალური სამსახურის წარმომადგენლებიც დაკითხა, მაგრამ ჩვენ ალბათ დაზუსტებით ვერასდროს გავიგებთ ამ დაკითხვების მოტივსა და შედეგს.

ედუარდ შევარდნაძე და ჯაბა იოსელიანი

დავით გაგნიძე 90-იანი წლების საქართველოში მიმდინარე პროცესებს, სახელმწიფო რანგში აყვანილ ბანდიტიზმად აფასებს, რადგან მოცემულ შემთხვევაში ამ დანაშაულს რიგითი კრიმინალები კი არა, ჰალსტუხიანი, განათლებული „მამულიშვილები“ სჩადიოდნენ „პატრონების“ დაკვეთით. ვინაიდან 1991-93 წლებში პოსტსაბჭოთა სივრცეში მოვლენები კომუნისტური პარტიისა და „კაგებეს“ გეგმის მიხედვით აღარ ვითარდებოდა, მათ დახმარებისთვის აშშ-სთვის მიუმართავთ. ამერიკელები მიხვდნენ, რომ ეს პროცესები ადრე თუ გვიან, მათაც დიდ თავსატეხს გაუჩენდა, ამიტომ რუსეთის დასაცავად „დაირაზმნენ“, მაგრამ სურდათ, ამ უკანასკნელს რაც შეიძლება დიდი ზარალი განეცადა. ამერიკის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ვერ გათვალა, რომ რუსეთი ომების შემდეგ უფრო ძლიერდებოდა, ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ამერიკის ხელმძღვანელობამ, ეტყობა „წინაპრების“ შეცდომებზე ჭკუა ვერ ისწავლა, რადგან დღესაც ფაქტობრივად ანალოგიურ მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი გაუაზრებელი პოლიტიკით და რუსეთი უკვე თვითონ კარნახობს პირობებს. რესპოდენტი 2003-2012 წლებს საქართველოს „შავი პერიოდს“ უწოდებს, „კაგებემ“ აშშ-ის დახმარებითა და ევროპის წაყრუებით, ნაციონალების სახით „შავი ჭირი“ მოგვივლინა, საქართველო მუდმივად მტრულ გარემოცვაში იყო, მაგრამ რაც თავისუფლებისა და დემოკრატიის ლოზუნგით ხელისუფლების სათავეში მოსულმა ნაძირალების ხროვამ (საკაშვილის თაოსნობით) ჩაიდინა, მართლაც უპრეცედენტო მოვლენა გახლდათ. ოდესმე ეს ყველაფერი ალბათ უფრო დეტალურად გაირკვევა და სათანადო შეფასებაც მიეცემა, დარწმუნებული ვარ ყველა შეთანხმდება, რომ ეს იყო ჯალათების ზეობის პერიოდი, რომელსაც მთელი უცხოური თანამეგობრობა უჭერდა მხარსო, აცხადებს დავით გაგნიძე, რომელიც მიხეილ საკაშვილს რუსეთისა და ამერიკის ერთობლივ პროექტად მიიჩნევს.

სახელმწიფო დონეზე აყვანილი ბანდიტიზმის შედეგად გაღარიბებული მოსახლეობის წინააღმდეგ, „კაგებესა“ და ამერიკული ცსს-ს (ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო) ერთობლივი „ფინანსური დასჯის“ გეგმის ბოლო, დასკვნითი ნაწილი გათამაშდა „ვარდების რევოლუციის“ სახით. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საქართველოს მოსახლეობის მასობრივი სწრაფი გაღატაკება, ამას მოყვა სახელმწიფოს, უფრო ზუსტად ნაცხელისუფლების მიერ განუზომლად დიდი, გაუმართლებელი კრედიტების აღება, რის გამოც საქართველო ორმაგი კაბალის ქვეშ მოექცა, ფინანსურად დასავლეთის, ხოლო პოლიტიკურად რუსეთის, ისე, რომ ხალხისთვის არაფერი უკითხავთ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ორჯერ მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში ნაძირალები, პირველად „ატამანი“ ე.წ. კანონიერი ქურდი ჯაბა იოსელიანი იყო, ხოლო მეორედ გაუმაძღარი „დედიკოს ბიჭი“ მიშა სააკაშვილი, რომელთა შორის მხოლოდ ის განსხვავება იყო, რომ პირველი ხალხის წინააღმდეგ თავის „ბარტყებს“ ავტომატებით დაარბენინებდა, მეორე კი ლოზუნგებითა და თავისივე მიღებული უსამართლო კანონებით. ორივეს მათი მამა-მარჩენალი ცნობილი თაღლითი, ინტრიგების დიდოსტატი ედუარდ შევარდნაძე იყო, რომელიც ყოველთვის საკუთარ ქვეყანას ანადგურებდა. რესპოდენტის განცხადებით, კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც პირწმინდად ანგრევს ქვეყანას, „შავი“ ფულის „გარეცხვაა“. ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში (1992-2003 წლები), საქართველოში 200 მილიარდი აშშ დოლარი „გათეთრდა“, არანაკლები იქნებოდა სააკაშვილის მმართველობისასაც. თურმე ამიტომ იხსნებოდა ყოველ ნაბიჯზე კაზინოები, რაც ფულის „გათეთრების“ ერთ-ერთი ძირითადი საშუალება ყოფილა. ბუნებრივია, ამ „გარეცხვების“ დროს, ადგილზე ბონუსებიც რჩებოდა, ჩემი ინფორმაციით „ბონუსი“ 5-10%-ს შეადგენდა. სწორედ უკანონო და აღურიცხავმა ფულის მასამ წალეკა საქართველო, გაანადგურა მისი ეკონომიკა, ძირითადად კი მისი მასაზრდობელი სოფლის მეურნეობა.

დავით გაგნიძის განცხადებით, იმ პერიოდში, როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დემურ დვალიშვილი გახლდათ, მავანთ ბანკიდან უზარმაზარი კრედიტები გაჰქონდათ, რაც დანიშნულებისამებრ არ გახარჯულა, შედეგად მივიღეთ ქართველ მდიდართა „კასტა“, ხოლო დვალიშვილმა თავი მოიკლა. იმავე პერიოდში გატარებულა ფულად-საკრედიტო ემისია, რამაც ფაქტობრივად დააქცია საქართველო. რესპოდენტის თქმით, დემურ დვალიშვილი ამ ყველაფერში სრულიად უდანაშაულო იყო. სხვათა შორის, მაშინ იმასაც ამბობდნენ, რომ დვალიშვილმა თავი კი არ მოიკლა, მოკლეს.

დავით გაგნიძე

დავით გაგნიძე: „ფულად-საკრედიტო ემისია რუსეთმა გაატარა და არა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, მას ამის უფლება არც ჰქონდა, რადგან რუბლის ემისია ჩატარდა. საქართველოს ხელისუფლების დანაშაული ისაა, რომ ჩვენ ისევ რუბლის ზონაში ვიყავით, დამოუკიდებლობას როცა აცხადებ, პირველ რიგში ეროვნული ვალუტა უნდა შემოიღო, ამათ კი ეროვნული კუპონი 1993 წელს გაუშვეს ბრუნვაში. ვიღაცის ფული რომ ტრიალებს შენს ქვეყანაში, იმდენი კი უნდა იცოდე, რომ ის ვიღაც ამას აუცილებლად გამოიყენებს, მით უმეტეს მტრულად განწყობილი სახელმწიფო და ეკონომიკას დაგინგრევს. ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი რომან გოცირიძე ახლახანს ერთ-ერთ ინტერვიუში სანდრო კავსაძის გატაცებასა და ოდეერების ინსტიტუტის არსებობაზე საუბრობდა და ყველაფერს ამას აბრალებდა. ამ დიდ პროფესიონალობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანმა, თუ იცოდა უწყებაში რომ ოდეერები ყავდა, რაც დამღუპველად მოქმედებდა, მაშინ რაღას აჩერებდა მათ სამსახურში. ის ოდეერები მარტო ინფორმაციას არ გადასცემდნენ, ინსტრუქციებსაც ღებულობდნენ, ხოლო საიდან იღებდნენ ესეც საკითხავია. გოცირიძე თუ ხედავდა, რომ აბსურდული ინსტრუქციები იყო, რაღას ასრულებდა, რა შუაში იყო აქ პოლიცია, რომ ბრძანებს, ოდეერებს პოლიცია აკონტროლებდაო. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ ოდეერი უშიშროების სამსახურის კადრია, რომელიც იმ პერიოდში სრულიად დამოუკიდებელი უწყება იყო. ეს სამსახური შსს-ს ნაციონალების დროს დაუქვემდებარეს. გოცირიძემ, ფაქტობრივად თვითლუსტრაცია მოახდინა, აღიარა, რომ ეროვნული ბანკი ოდეერებს ემორჩილებოდა, რომლებიც თავის მხრივ ვის ემორჩილებოდნენ კაცმა არ იცის. თუ ჩემს ქვეყანაზე უარყოფითად მოქმედებს, დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, ვის გადაეცემოდა ინფორმაციები და საიდან მოდიოდა ინსტრუქციები, ამერიკიდან თუ რუსეთიდან. კოლოსალურ კრედიტების

ტარიელ ონიანი

გაცემაშიც არაფერ შუაში იყო დემურ დვალიშვილი, რადგან მას ეროვნული ბანკის პრეზიდენტზე გაცილებით მაღალი თანამდებობის პირები ავალებდნენ და ბუნებრივია, ვერ შეეწინააღმდეგებოდა. ოდეერები დვალიშვილის პრეზიდენტობისასაც იყვნენ ეროვნულ ბანკში და ისიც იძულებული იყო დამორჩილებოდა მათ ინსტრუქციებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას თანამდებობაზე არავინ გააჩერებდა. მაშინ ასეთი მაღალი თანამდებობის პირები ჭირდებოდათ და დღესაც ასეთი მინისტრები გვყავს, რომლებიც ქვეყნის პრემიერ-მინისტრს კი არა, ვიღაცის ინსტრუქციებს ემორჩილებიან. ეს არის ჩვენი უბედურება. დემურ დვალიშვილი ხსენებულ კრედიტებთან დაკავშირებით (ვინ და რატომ გაიტანა), შსს-ს შენობაში დაიბარეს დასაკითხად, როგორც მაშინ სამინისტროში ამბობდნენ ჯერ მოწმედ უნდა დაკითხულიყო, მერე ეჭვმიტანილად ცნობასა და დაჭერას უპირებდნენო. საიდან აღმოაჩნდა დვალიშვილს ცეცხლსასროლი იარაღი, როცა გამორიცხული იყო შსს-ს შენობაში იარაღის შეტანა, მითუმეტეს, რომ ბატონი დემური პატიოსანი კაცი იყო და ის არ გარისკავდაი იქ იარაღის შეტანას. მაშ როგორ მოიკლა თავი? ეტყობა უთხრეს მოიკალიო და ისიც იძულებული გახდა, შეიძლება სულაც თვითონ მისცეს იარაღი. სხვა რა დასკვნა უნდა გამოიტანო? იმ პერიოდშიც შსს-ს აპარატში ვმუშაობდი, შეიძლება მისი მკვლელობა-თვითმკვლელობის ამბავი ვერც გაგვეგო, უბრალოდ კაბინეტის კარი ღია იყო და სროლის ხმა გავიგეთ. მერე ისიც ითქვა, რომ თითქოს დერეფანში მოიკლა თავი, რაც ძალიან მეეჭვება, თუ კაბინეტშიც არ იყო შესული, ანუ დაკითხული არ იყო, ვინ დაუშვებდა, რომ მას თავი მანამდე მოეკლა. ერთი სიტყვით, ურთიერთსაწინააღმდეგო ხმები ვრცელდებოდა. მოგვიანებით პრესაში დაიბეჭდა, რომ თითქოს დვალიშვილი დამნაშავე იყო, სპეციალურად ავრცელებდნენ ამ ხმებს, უდანაშაულო ადამიანზე უნდოდათ ჯოხის გადატეხა. სხვათა შორის, ე.წ. რეფორმატორების წარმომადგენლებსაც ჰქონდათ გატანილი დიდი ოდენობით კრედიტები, საუბრობდნენ 102 მილიონ რუბლსა თუ კუპონზე, რომელიც თურმე გატანისთანავე დოლარებზე გადაახურდავეს. ამის შემდეგ დაიწყო ქვეყანაში ჰიპერინფლაციური პროცესები, ამ „პატიოსანმა“ მსესხებელმა ვალი კი დაიბრუნა, მაგრამ ეს თანხა რეალობაში დაახლოებით 200 აშშ დოლარს უტოლდებოდაო.

დემურ დვალიშვილი

ჩვენი ხალხის გაუბედურებაში არანაკლები წვლილი მიუძღვით ე.წ. დამსაქმებელ ფირმებს, რომლებიც „ბროლის კოშკებს“ პირდებოდნენ უცხოეთში დასაქმების მსურველთ და ამ მოტივით უკანასკნელი კაპიკები გამოსწირეს. მათ უკანაც მაშინდელი ხელისუფლება იდგა. „დამსაქმებლები“ ტურისტული ფირმების ეგიდით მოქმედებდნენ, ხალხს უცხოეთში მოგზაურობასა და დასვენებასთან ერთად, დასაქმებასაც პირდებოდნენ, რაც თავიდანვე ბლეფი იყო. ისინი აშკარად კრიმინალურ საქმიანობას ეწეოდნენ, უმუშევრად დარჩენილ, გულუბრყვილო მოქალაქეებისგან მოაგროვებდნენ სერიოზულ თანხებს და მერე უკვალოდ ქრებოდნენ. იყო შემთხვევები, როცა დასაქმების მსურველები საზღვარგარეთ გაიყვანეს და იქ მიატოვეს, არადა ამ ხალხს უკან დასაბრუნებელი ფულიც კი არ ჰქონდა. სამართალდამცავებმა თავიდანვე ვიცოდით, რომ ეს ე.წ. დასაქმება ბლეფი იყო, რადგან ჩვენს ხელისუფლებას არცერთ უცხო ქვეყანასთან არ ჰქონდა გაფორმებული მოქალაქეთა შრომა-დასაქმების ხელშეკრულება, ანუ საქართველოში არავინ იცოდა რომელიმე ქვეყანას მართლაც თუ ჭირდებოდა სპეციალისტი ან უბრალო მუშახელი, რომლის „იმპორტსაც“ ხსენებული ფირმები ვითომდა ეწეოდნენ. ისეთ ქვეყნებშიც კი სთავაზობდნენ „დასაქმებას“, რომლებთანაც დიპლომატიური ურთიერთობაც კი არ გვქონდა. ცხადია, ამ ყველაფერმა პოლიციის, მით უმეტეს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის დაინტერესება გამოიწვია. ამ ფირმების ხელმძღვანელობას მოვთხოვეთ განემარტათ რის საფუძველზე სთავაზობდნენ საქართველოს მოქალაქეებს დასაქმებას (ბუნებრივია, შესაბამისი დოკუმენტაციაც მოვითხოვეთ), აღმოჩნდა, რომ ყველა ფირმა უშიშროების სამსახურთან იყო დაკავშირებული, ყველგან დაგვხვდა უშიშროების სამსახურის მოქმედი თუ ყოფილი თანამშრომელი. მოკლედ, „დამსაქმებლების“ ძირითადი ფუნქცია, უშიშროების სამსახურის ქოლგის ქვეშ მოსახლეობისთვის ფულის „შეწერა“ იყო, ხალხს უკანასკნელი დანაზოგი უსინდისოდ გამოსტყუეს. შეიძლება ვინმე შემომედავოს, თურქეთსა და საბერძნეთში ხომ დასაქმდა ხალხიო, ეს თვითდასაქმებული კონტიგენტია და ხსენებული ფირმები აქ არაფერ შუაშია. საქართველოს მოქალაქეების უმეტესობა ლუკმაპურის საშოვნელად რუსეთშია გადახვეწილი და არც მათ დახმარებია ვინმე სამუშაოს პოვნაში. დარწმუნებული ვარ შეგნებულად მოხდა საქართველოს მოსახლეობის გაღატაკება, რომ ისინი სამუშაოდ უცხოეთში წასულიყვნენ, აბორიგენი მოსახლეობისგან დაცლილიყო ქვეყანა. ქართველები, რომლებსაც ყველაზე მეტად უჭირდათ სამშობლოს დატოვება, დღეს საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად მთელს მსოფლიოში არიან მოდებული.

ჟვანია-სააკაშვილი და მათი გუნდი, რომლებიც თავს რეფორმატორებს უწოდებდნენ, „ვარდების რევოლუციამდეც“ დიდ ფულს „შოულობდნენ“. სააკაშვილის მმართველობისას ქვეყნის ბიუჯეტი მართლაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. ნაციონალებს ვეთანხმები, რომ შევარდნაძემ საქართველო კორუფციის ჭაობში ჩაძირა, პოლიტიკური ნებისა და შესაბამისი ადმინისტრირების პირობებში მისი მმართველობისასაც შეიძლებოდა მრავალ მილიარდიანი ბიუჯეტი გვქონოდა, მაგრამ იმაზე არაფერს ამბობენ, რომ სწორედ ჟვანია-სააკაშვილის ტანდემს მიუძღვოდა ლომის წილი, ის მილიარდები ბიუჯეტში რომ ვერ ხვდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე გახდა. ეს ე.წ. რეფორმატორები დიდ ძალაუფლებას ფლობდნენ, ბევრ რამეს განკარგავდნენ, შევარდნაძე კი მათ თვითნებობაზე თვალს ხუჭავდა. საბიუჯეტო თანხებთან დაკავშირებით, ჟვანია-სააკაშვილის ტანდემი უშუალოდ შევარდნაძის მითითებით მოქმედებდა თუ არა, დაზუსტებით ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია რვა მილიარდ ლარზე მეტი იკარგებოდა. ეს ტანდემი მაშინდელ ვაი-ბიზნესმენებს წილებში კი არ უჯდებოდა, თავხედურად უხტებოდა, მათ სატელევიზიო სასამართლოებს უწყობდნენ, ამდენი და ამდენი არ შეიტანეთ სახელმწიფო ბიუჯეტშიო, არ გეგონოთ ბიუჯეტისთვის იღწვოდნენ, ამ ფულს თავად „აწერდნენ“ და ოფშორულ ზონებში გაჰქონდათ. შემდეგ ეს ფული უკან ბრუნდებოდა ე.წ. გრანტის სახით, იქმნებოდა და მსუყედ ფინანსდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი „მოღვაწეობით“ ძირს უთხრიდნენ არამარტო შევარდნაძის ხელისუფლებას, არამედ მთელ საქართველოს. ხალხი ტყუილად კი არ ამბობდა, „ახალგაზრდა რეფორმატორების“, ხოლო შემდგომში ნაციონალებად წოდებულების გარეშე გრანტს ვერავინ მიიღებსო. დარწმუნებული ვარ ახლაც იგივე ხდება, ვფიქრობ, „ცნობილ“ ე.წ. უფლებადამცველთა ხმამაღალი განცხადებები, ამის აშკარა დასტურია. სრულიად სამართლიანია საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილის მოთხოვნა, რომ აუცილებლად უნდა გაირკვეს სამოქალაქო სექტორის დაფინანსების წყაროების წარმომავლობა. „ვარდების რევოლუციამდე“ თუ პარტიზანულად ხდებოდა „რეფორმატორთა“ მიერ თანხების მითვისება, უცხოეთში გატანა თუ „ადგილზე“ მოხმარება, 2003 წლის მიწურულიდან უკვე ოფიციალურად გაჰქონდათ ბიუჯეტიდან თანხები. აქ მარტო საბიუჯეტო თანხებზე არ არის საუბარი, ვგულისხმობ იმ ფულსაც, რაომელსაც ბიზნესმენებს „ახევდნენ“. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, შევარდნაძესთან დაახლოებულ ერთ-ერთ პერსონას, ბიუჯეტის სასარგებლოდ ოფიციალურად თითქოს 30 თუ 40 მილიონი გადაახდევინეს, სინამდვილეში კი მას თურმე 120 მილიონი „აახიეს“. ასეთი ფაქტები უამრავი იყო. გავიხსენოთ ნაციონალების ე.წ. შავი ფონდი, სადაც მავანთათვის „შეწერილი“ კოლოსალური თანხები მიედინებოდა, სად არის დღეს ეს ფული, შემთხვევით ისევ ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს ხომ არ ხმარდება? შსს-ში უამრავი ოპერატიული ინფორმაცია იყრიდა თავს, თუ როგორ ირიცხებოდა შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობისას უცხოურ ბანკებსა თუ ოფშორულ ზონებში საქართველოში მიტაცებული თანხები, ვის ანგარიშზე და რომელი ბანკის მეშვეობით, მაგრამ ეს ინფორმაციები სერიოზულ დამუშავებას მოითხოვს, ამიტომ დაკონკრეტებისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ.

მიხეილ სააკაშვილი

სააკაშვილისა და მისი გუნდის სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელი საქმიანობა მარტო ფინანსური მაქინაციებით არ შემოიფარგლებოდა. ეს ე.წ. რეფორმატორები ყველაფერს აკეთებდნენ შსს-ს, პროკურატურისა და უშიშროების სამინისტროს პარალიზება რომ მოეხდინათ. მიხეილ სააკაშვილის პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეობის პერიოდში, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის მომიზეზებით ცვლილება შეიტანეს, რომლის თანახმადაც მოკვლევის პროცედურა, რომელსაც ოპერატიული სამსახურები აწარმოებდნენ წარდგენილი პირის მიმართ, დაახლოებით ხუთ საათში უნდა დასრულებულიყო, იგი ეჭვმიტანილად უნდა ეცნოთ და დაეკავებინათ. თუ ამ ვადაში ვერ ჩაეტეოდი, პირი, რომელიც დარწმუნებით იცოდი რომ დამნაშავე იყო, უნდა გაგეთავისუფლებინა. ნებისმიერი პროფესიონალი „ოპერატივნიკი“ გეტყვით, რომ ეს ვადა არასაკმარისია. მოკვლევაში იგულისხმება პირისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა, პირადი ჩხრეკა, ასევე მისი საცხოვრებელ ბინისა თუ ოფისის (თუ ასეთი გააჩნდა) ჩხრეკა. დაკითხვასა და ბრალის წარდგენას საგამოძიებო სამსახური ახდენდა. ჩხრეკას ორივე შემთხვევაში ორი ნეიტრალური პირი უნდა დასწრებოდა, წარმოიდგინეთ, როდესაც ჯგუფურ დანაშაულთან გვქონდა საქმე და ორი თუ მეტი პირის მიმართ იყო ეს პროცედურები ჩასატარებელი, სად უნდა გვეპოვა ხუთ საათში ამდენი ნეიტრალური დამსწრე, მითუმეტეს, თუ ღამით ტარდებოდა ოპერაცია.

შუქრი ბურჭულაძე

(გაგრძელება იქნება)

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

გრიგოლ გაგნიძე:

ნიკა გვარამიას სიმპტომატური აგრესიულობა ეჭვს ბადებს, რომ ის ნარკოდამოკიდებულია

იმედს ვიტოვებთ, ჩატარდება სრული გამოძიება და „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები დაისჯებიან

გვესაუბრება ადვოკატი, იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის ხელმძღვანელი გრიგოლ გაგნიძე:

– ჩვენი ორგანიზაცია აქტიურად გახლდათ ჩართული 22 მაისის შუალედურ არჩევნებში დამკვირვებელ ორგანიზაციად და მიგვაჩნია, რომ კორცხელის ინციდენტი ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების პროვოკაცია იყო. როგორც ვნახეთ, შესაბამისი რეაგირება მოახდინა პროკურატურამ და ზუგდიდის სასამართლომ, მაგრამ, ჩემი აზრით, პროვოკატორებიც უნდა დასჯილიყვნენ. საეჭვოა, კამერები რატომ დასდევდნენ

სპორტსმენებს და მეორე მხარეს რატომ არ აშუქებდნენ. კორცხელის ინციდენტის თავიდანვე გავრცელებულ კადრებში გამოკვეთილია, თითქოს მარტო სპორტსმენები ურტყამდნენ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს. ბოკერია გამოარიდა რამდენიმე კაცმა და იგი ასფალტზე დაჯდა. კამერები რომ დაადგა თავზე, მერე ვიშვიშით (სააკაშვილივით) ჩაკუზული წამოდგა სხვების დახმარებით.

იმედს ვიტოვებთ, ჩატარდება სრული გამოძიება და ნაცმოძრაობის წარმომადგენლებიც დაისჯებიან.

ყველას ყელში ამოგვივიდა „ნაცმოძრაობის“ ნარჩენების იაფფასიანი პროვოკაციები. მელია, გვარამია და ბოკერია მეგობრებით, თავიანთი ჩვეულების მიხედვით, დაუნდობლად ებრძვიან როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისე მოსახლეობას და მათ აქვთ ამის მიზეზი, ისედაც სულმდაბლები, ძალაუფლების დაკარგვით, უფრო გაბოროტებული არიან. მათი ერთადერთი მიზანი დღეს არის ნებისმიერი ხერხით ხელისუფლებაში დაბრუნება. ხელისუფლება კი კიდევ ერთხელ მოექცა საერთაშორისო დამკვირვებლების ზეწოლის ქვეშ და დაისაჯნენ მარტო სპორტსმენები და არა ამ აყალმაყალის სულისჩამდგმელნი და მათი მომხრეები. მათ სურთ 2003-04 წლის ამბები გაიმეორონ. ამიტომ ხელისუფლება მაქსიმალურად ფრთხილად უნდა იყოს – ამ კრიმინალთა ბანდამ ახალი პროვოკაციები არ მოაწყონ.

მინდა რჩევა მივცე მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების დადებითად ჩატარების მოსურნეებს – გირჩევთ, ყველა უბნების პერიმეტრზე კამერებით იყავით მობილიზებულნი.

– კამერებით თვითონაც კარგად შეიარაღდებიან – „რუსთავი-2“-ის მიკროფონებით და კამერებით, საპროვოკაციოდ.

– „რუსთავი-2“ არის ნაციონალების ტელევიზია, ნიკოლოზ გვარამიამ კი იმდენი მოახერხა, რომ ჩვეულებრივად იქცა მიშა-2-ად. მიშას სცენარით მოქმედებს, იგივე რადიკალურ განცხადებებს ახმოვანებს. ამასთანავე, არის უკიდურესად თავხედი. ყველამ ვნახეთ პრემიერ-მინისტრს როგორ უთხრა: ეტყობა, ჩემი ფალოსის ზომა გაინტერესებსო.

ასეთ ადამიანს, საერთოდ, რა უნდა ელაპარაკო.

მე ვურჩევ ნიკოლოზ გვარამიას – ნარკოტესტისთვის თმის ღერი ჩააბაროს, რადგან მისი სიმპტომატური აგრესიულობა ეჭვებს ბადებს, რომ ის ნარკოდამოკიდებულია.

გვარამია ისეა გაშმაგებული, არ ინდობს არც მედიასაშუალებებს, არც სასამართლოს, არც პროკურატურას, არც ხელისუფლებას და მთავრობას...

ქექა, ქექა და მოსამართლე ნათია გუჯაბიძეს გამოუძებნა ბრალდება, თითქოს ის ყოფილიყოს თაღლითი. თუ ფაქტი არსებობდა, რომ ნათია გუჯაბიძე იყო თაღლითი, მინიმუმ, სამი-ოთხი წლის უკან და ამის შესახებ დღეს ამბობს, ეს არის მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ანუ თუ გუჯაბიძე დამნაშავეა, მაშინ ვინც სავარაუდო კორუფციული გარიგება ჩაიდინა, ისინიც უნდა დაისაჯონ. დამნაშავეა მაშინდელი სასამართლო ხელმძღვანელობაც, არ გამოვრიცხავ, შეიძლება, სავარაუდოდ, კორუფციული გარიგების დაფარვასაც აქვს ადგილი რაც მძიმე დანაშაულია, სხვებსაც უნდა მოეთხოვოს პასუხი.

ვფიქრობ, გვარამიას სხვა სენიც სჭირს – ის პროკურორობის ამპლუიდან თავის დაღწევას ვერ ახერხებს, არადა, კერძო ტელეკომპანიის ხელმძღვანელია.

ათასჯერ ნათქვამს გავიმეორებ და ვიტყვი – „რუსთავი-2“ ბლოკავს თავისუფალ სიტყვას. არაერთხელ მსურდა ამ ტელევიზიაში ჩემი აზრის დაფიქსირება, მაგრამ არც ერთხელ არ მომეცა ამის საშუალება. მათი ტელეკამერები გამირბიან, რადგან მშვენივრად იციან, ვიტყვი სიმართლეს და არა „ნაცმოძრაობის“ სახოტბო სიტყვებს.

– თქვენ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი ბრძანდებით. ორიოდე დღის წინ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო კომისიამ, რას გვეტყვით ამაზე?

– დიახ, სხდომა გაიმართა გასულ კვირას. სხდომას კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, პარლამენტარები, პარლამენტის თავმჯდომარე და თვით პრემიერ-მინისტრი, საერთაშორისო ორგანიზაციები და დიპლომატიური კორპუსიც ესწრებოდა. ამჯერად, ადამიანის უფლებათა სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებული სამუშაო ჯგუფის პრეზენტაცია გაიმართა. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის წარსული პრაქტიკის ანალიზი, სამომავლო პრევენციული რეკომენდაციები და ა.შ. სამომავლო გეგმებზე იყო მოხსენება. ძირითადი აქცენტები გაკეთდა წინა წლებში ჩადენილ დანაშაულებებზე, წარმოადგინეს ზოგადი სტატისტიკა და პრევენციული ღონისძიებები იმისთვის, რომ აღარ მოხდეს ჩვენს საზოგადოებაში მსგავსი პრეცედენტები. ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ წამება და არაადამიანური მოპყრობა უნდა ამოიძირკვოს. აქცენტები გაკეთდა იმაზე, რომ კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები ძალადობრივ მუხლებზე, იყო საუბარი სს კოდექსში ცვლილებების შესახებაც.

მე, პირადად, შემიძლია ვთქვა, რომ დღეს ციხეებში აღარ ხდება ძალადობრივი და არაადამიანური მოპყრობა.

არის გადაცდომები, მაგრამ ამას არ აქვს მასიური ხასიათი და ეს სახალხო დამცველის ანგარიშებშიც არის დაფიქსირებული.

ცვლილებები შევიდა არასრულწლოვანთა სამოქალაქო კოდექსშიც.

– ძირითადად?

– 2010 წლის მდგომარეობით, საქართველოში იყო 210 არასრულწლოვანი მსჯავრდებული. 2012 წლის ამნისტიით 50 მოზარდამდე შემცირდა.

ერთი თვის წინანდელი სტატისტიკით, სასჯელს იხდის 13 არასრულწლოვანი მსჯავრდებული, ანუ არასრულწლოვანთა შესახებ ახალმა კოდექსმა მნიშვნელოვნად შეამცირა მოზარდთა რაოდენობა ციხეებში.

პირველ შემთხვევაში, მძიმე დანაშაულზეც კი, სახელმწიფო სტრუქტურები – პროკურატურა და სასამართლო – არ იმეტებს მოზარდს ციხისთვის. გარკვეული მზრუნველობა ეკისრება არასრულწლოვანს სახელმწიფოსგან, ოჯახისგან და სოციალური სამსახურებისგან.

ეს უდიდესი მიღწევაა ჩვენს რეალობაში იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით მიღებულ კანონებს აღასრულებს შს სამინისტრო, პროკურატურა, სასამართლო და სხვა უწყებები, როგორც მოგეხსენებათ, მე გახლავართ სასჯელაღსრულების სამინისტროს საკონსულტაციო ჯგუფის წევრი და ვიცი, რომ ბევრი ახალი სოციალური პროექტები ხორციელდება ამ სისტემაში პატიმრების მიმართ.

ირინა დარჩია
568 97 61 60

როგორ შეიძლება, ციხის ბუნტის მომწყობი, რვა ადამიანის მკვლელი ბოკერია სასჯელს არ იხდიდეს და თავისუფლად დანავარდობდეს

როგორც „საერთო გაზეთის“ მკითხველებმა მამა ბასილთან ინტერვიუებიდან იციან, ბასილი მკალავიშვილი დღედაღამ მშრომელი, უფლის მადიდებელი მოძღვარია.

ის ხუთი ეკლესიის აღმშენებელი გახლავთ და როგორც ამბობენ, ყოველგვარ საეკლესიო რიტუალს უანგაროდ ასრულებს.

ზოგიერთი მოძღვარი კი, რომლებიც თავს იმით იმშვიდებენ, ქართული ეკლესიის წევრები ვართ, განკვეთილი მკალავიშვილისგან განსხვავებითო, ძვირადღირებული ავტომანქანებით დაგრიალებენ და ხალხი მათ ათასგვარ ცოდვას მიაწერს...

გთავაზობთ ინტერვიუს მოძღვართან, რომელსაც ათეული წლებია უკომპრომისო ბრძოლა აქვს გამოცხადებული ღვთისმგმობელი იეღოველთა სექტის წინააღმდეგ.

მამა ბასილი მკალავიშვილი, მოგეხსენებათ, ქართული ეკლესიიდან განკვეთილია და საბერძნეთის სინოდის დაქვემდებარებაშია. რატომ? რა დააშავა ასეთი? კითხვა, ჯერჯერობით, უპასუხოდ რჩება. ამჯერად კი გთავაზობთ ინტერვიუს.

— მამა ბასილ, როგორც გავიგეთ, საბერძნეთში ბრძანებულხართ. რა მიზნით გაემგზავრეთ?

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი.

ბევრჯერ აღმინიშნავს ჩემს ინტერვიუებში და ახლაც გავიმეორებ, დროებით ვემორჩილები საბერძნეთის ძველ მესტილეთა წმიდა სინოდს, რომლის თავმჯდომარეც ამჟამად არის მთავარეპისკოპოსი კალენიკე. გამცნებთ, რომ საბერძნეთის ოფიციალური ეკლესია ახალი სტილის მიმდევარია. ფაქტობრივად, ყველა საეკლესიო ღღესასწაულებს კათოლიკეების მსგავსად აღასრულებენ. ამათგან განსხვავებით, ძველი სტილის მიმდევრები საბერძნეთში გაერთიანებულნი არიან და ერთად აღასრულებენ ღვთის მსახურებას ისე, როგორც ჭეშმარიტია და მართლმადიდებლური. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ის არის უტყუარი არგუმენტი და ფაქტი, რომ მართლმადიდებელთა აღდგომის წინა ღღეს უფალი გვიგზავნის სასწაულებრივ ცეცხლს, რომლის მოწმეც არის მთელი მსოფლიო.

რაც შეეხება ჩემ საბერძნეთში ყოფნას, ძლივს მოვახერხე იქ გამგზავრება, რამეთუ საპატრიარქოს მკაცრად ჰყავს გაფრთხილებული საბერძნეთის საელჩო, უარი მეთქვას საბერძნეთში წასვლაზე. ამის გამო იძულებული გავხდი ჩავსულიყავი გერმანიაში, სადაც ცხოვრობს პროფესიით ექიმი, ჩემი გერმანელი ნათლული. მისი მიწვევით და დაფინანსებით ჩავფრინდი გერმანიაში, შემდეგ კი საბერძნეთში გავემგზავრე. საბერძნეთში ძველ მესტილეთა შეკრებაზე ვიმსჯელეთ ე. წ. მე-8 მსოფლიო კრებაზე, რომელიც იმართება წელს საბერძნეთში კუნძულ კრეტაზე 16-28 ივნისს, სადაც დაგეგმილია დაამტკიცონ კანონები, რომელიც ითვალისწინებს ახალ სტილზე გადასვლას, ერთსქესიანთა ქორწინებას და სხვა უმსგავსობებს, რაც მიუღებელია ჭეშმარიტ მართლმადიდებელთათვის, ეწინააღმდეგება უფლის მცნებებს და რითაც ხელმძღვანელობს ჭეშმარიტი ეკლესია.

— ცოტა ხნის წინ შუალედურ არჩევნებში, კორცხელში, ბოკერია-მელია-გუნავამ, „ნაცმოძრაობის“ პატრიარქებმა, მუშტიკრივი გამართეს. თქვენ კარგად უწყით ბოკერიას ქვასროლიობის შესახებ.

— როგორ შეიძლება, ციხის ბუნტის მომწყობი, რვა ადამიანის მკვლელი ბოკერია სასჯელს არ იხდიდეს და თავისუფლად დანავარდობდეს.

ჩემი პატიმრობისას, ციხის ბუნტის დროს, მე-5 საპყრობილეში სპეცრაზმი რომ შემოიჭრა, იქ იყო ბოკერია და ახალაია. ბოკერიას, ნიღაბი ეკეთა, ახალაია უნიღბოდ იყო. ერთმა პატიმარმა ხმით იცნო ბოკერია, ეტაკა, ჩამოაცალა ნიღაბი და უთხრა: შენ ხარ, გიგაო? 7 ტყვია ესროლეს იმ ბიჭს ჩემს თვალწინ.

ის, რაც კორცხელში მოხდა, სწორედ ქვასროლია ბოკერიას მოწყობილი პროვოკაცია იყო. მას ბავშვობიდანვე აქვს სისხლში გამჯდარი სიყალბე, ღალატი, გამაღიზიანებელი, გამომწვევი ქმედება. მე, პირადად, „ოცნების“ ადვოკატად ვერ გამოვდგები, მაგრამ მათ ხმამაღლა შევახსენებ: თქვე კაი დედმამიშვილნო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გადახედეთ წარსულში ბოკერიას ქცევებს, ქვით ხელში როგორ ესხმოდა თავს მართლმადიდებლებს და იცავდა იეღოველთა სექტის წარმომადგენლებს, მათ უფლებებს. ბოკერია არის ერის მოღალატე, რომლის მზერა დასავლეთისკენ, ოკეანის გაღმა არის მიმართული, რათა სამშობლოს, სარწმუნოების ღალატის საფასურად გრანტები მიიღოს, ის სატანისგან არის მოვლენილი, რამეთუ ყოველთვის იმ ადგილას გაჩნდება, სადაც მართლმადიდებელთა მტრები არიან, რათა გვერდით დაუდგეს მამობილ სოროსს და მას ასიამოვნოს.

მოგიყვანთ ერთ-ერთ ფაქტს. 1997 წელს (როცა ერი დუმდა და გულხელდაკრეფილი შეჰყურებდა, როგორ ძლიერდებოდა იეღოველთა სექტა), გლდანის სასამართლოში პროცესი მიმდინარეობდა ჩვენსა და იეღოველებს შორის. პროცესს მრევლის 300 წარმომადგენელი ესწრებოდა. სასამართლოში იეღოველები არ გამოცხადებულან. მქონდა ინფორმაცია, რომ იეღოველები პროცესისთვის ემზადებოდნენ. მათი შეკრების ადგილიც ვიცოდი. პროცესზე იყვნენ მათი ადვოკატები. სასამართლოს მიმდინარეობას 50-მდე პოლიციელი იცავდა. როცა სასამართლო დამთავრდა, ჩემი მრევლი სახლებში გავუშვი, პოლიციაც წავიდა, რადგან თითქოს დაპირისპირების საფრთხე არ არსებობდა. ჩვეულებრივად, მე, ყველაზე ბოლოს მოვდიოდი. ჩემთან ერთად იყო მრევლის 30-მდე წარმომადგენელი. უცბად რას ვხედავთ, სასამართლოს შენობის მიმდებარედ, ნაძვებიდან, იეღოველები გამოდიოდნენ, დაახლოებით, 200 კაცი. მათ წინ მოუძღოდათ გიგა ბოკერია ქვებით ხელში და დავით პაიჭაძე. ეს ორი ამაზრზენი პიროვნება არაფრით განსხვავდება ერთიმეორისგან. ისინი დაგვესხნენ თავს. ჩვენც, რა თქმა უნდა, სამაგიერო მივაგეთ. ის რა მართლმადიდებელია, ერთ 10 იეღოველს არა ჯობდეს.

ბოკერია ქვების სროლით ვერაფერს გახდა, არ გაჭრა მისმა პროვოკაციამ. მას ყოველთვის მზაკვრული გეგმა აქვს — ჯერ ვინმეს ეცემინება, შემდეგ კი ჩივის თავის მამობილ სოროსთან, ვითომ იეღოველთა სექტას ჩაგრავენ. ისიც არ დააყოვნებს და გრანტებს უგზავნის. აი, ამ ბინძური გზით უყიდა თავის ცოლს ტელევიზია. ცბიერი, მატყუარა ქართველთა სარწმუნოების მოძულე, პროვოკატორი, ენეტანია, ერის გამყიდველი — ეს არის ბოკერია.

მივმართავ კახი კალაძეს. როცა თქვენ ბრალს გდებენ, გამტყუნებენ, რატომ მიუთითებთ მხოლოდ იმაზე, რომ ის პროვოკატორია, ის ქვასროლიაც არის. შეგიძლიათ უჩვენოთ კადრები, როგორ ესხმის თავს მართლმადიდებლებს ორივე ხელში ქვით. ბოლოს იმდენი გააკეთა, სტრასბურგში გვიჩივლა.

— მე არ ვიცოდი, თურმე მეუფე პეტრე (ცაავა) საკაშვილის მოძღვარი ყოფილა. თავის მოსასვენებელ ოთახში დღემდე მიშას სურათი უკიდიაო. კერპთაყვანისმცემელი ყოფილა მეუფე პეტრე, თანაც აღსარების გამთქმელი...

— ჩემო კარგო, ბრძენს უთქვამს, რაც ბერი, ის ერიო. პირსისხლიანი საკაშვილი საქართველოდან რომ გავიდა, დატოვა მსტოვრები, როგორც ერში, ასევე ეკლესიაშიც. საერო პირს არ ეპატიება უზნეო საქციელი, მით უმეტეს, ღვთისმსახურისთვის ყოვლად მიუტევებელია სჯულის კანონის დარღვევა. ცოდვა გამხელილი სჯობს, სამწუხაროდ, საქართველოს ეკლესია დღეს არ დგას იმ დონეზე, წარუძღვეს ერს. გამბედაობა არ ყოფნით მათზე არსებული კომპრომატების გამო, რათა იყვნენ შეუვალნი, კატეგორიულნი და მომთხოვნი. რაც არ უნდა მძიმე მდგომარეობა იყოს, პოზიციას ცალსახად აფიქსირებენ მოვალეობის მოხდის მიზნით, რის გამოც საშინელი რეალობის წინაშე დავდექით. თავიდანვე ვამხელდი უღირს სამღვდელოებას, განსაკუთრებით, მაღალი იერარქიის სასულიერო პირებს: გრიგოლ ბერბიჭაშვილს, კალისტრატე მარგალიტაშვილს, პეტრე ცაავას და სხვებს. ეს ადამიანები, უხამსი საქციელით ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც წყლის წვეთები. იერარქი ბიზნესმენი, მომხვეჭელი, მრუში, ლოთი, ნარკომანი, ვერცხლისმოყვარე, დაუნდობელი. პეტრე ცაავა სულიერი მოძღვარი ახალაიასი, სანდრა რულოვსის და, თავისთავად, ჯალათი საკაშვილის. როგორც შემატყობინეს, ჩადის თურქეთში და ხვდება საკაშვილს, სასულიერო პირი ნაციონალი, რომელიც აღსარებას იბარებს, მერე დამსმენი ხდება. იერარქი, რომელსაც „ჯიპები“ არ ყოფნის და 60 000-ევროიანი ეტლი უყენია, სპეციალური ცხენსაშენი აქვს, არ იკლებს არანაირ მატერიალურ, ხორციელ სიამოვნებას. ეს ხდება მაშინ, როცა მშიერი ხალხი ნაგვის ბუნკერებში იქექება, არის უდიდესი დანაშაული ღვთისა და ერსი წინაშე.

ხალხნო, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. ეკლესია უზნეოთა, ამორალთა ბუდედ გადაიქცა. განმკითხავი არავინ არის. ნუთუ, ვერ აცნობიერებენ, როგორი სასჯელი ელოდებათ? ნუთუ, ვერ ხვდებიან ის სასულიერო პირნი, რომელთაც გული შესტკივათ ერზე, ვის გვერდით დგანან?! ესენი სასწრაფოდ უნდა განეშორონ ეკლესიის წიაღს. თავიანთი საქციელით ღვთისმგმობელი უღირსი იერარქები ვერ ხვდებიან, რომ სიბილწის მორევში ვეფლობით? ეს ყოველივე ნაციონალების ხრიკებია, ამერიკიდან შემოგდებული კოჰაბიტაციის შედეგია. ეს უკიდეგანო, არნახული, განუმეორებელი ღალატია ტრადიციების, ოჯახის სიწმიდის, ზნეობის, წინაპართა ხსოვნის და, რაც მთავარია, სისხლით მოტანილი სარწმუნოებისა. ისინი ღირსნი არ არიან, დააბიჯებდნენ ზვარაკად შეწირულთა სისხლით გაპოხიერებულ მიწაზე. ისინი კვლავ მოღალატე საკაშვილს მისტირიან, რათა კვლავ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში და ბოლომდე ამოძირკვონ ქართული გენი, კვლავ დაამყარონ ფაშისტური რეჟიმი, თუმცა ამ მზაკვრებს არ ეღირსებათ მიზნების განხორციელება, რადგან ღმერთი არს ჩვენთან!

უფალმა დაგლოცოთ.

ირინა დარჩია
568 97 61 60

გუბაზამეტყველებული

გუბაზი რა კაცია და გუბაზი ის კაცია, იმ ხელს რომ კბენს, რომელმაც დასახრჩობად განწირული წყლიდან ამოიყვანა და ნავში ჩასვა...

რა თქმა უნდა, ადამიანები იცვლიან ხოლმე აზრს, ეზიარებიან ახალ იდეოლოგიებს და ეს ბუნებრივია... უცნაური მხოლოდ ის გახლავთ, რომ როდესაც გუბაზ სანიკიძე ქართულ ოცნებასთან ერთად წინასაარჩევნო დაპირებებს არიგებდა, (ვის ხარჯზე, მაგრამ მაინც), როდესაც ბიძინა ივანიშვილის დახმარებით პარლამენტში მოხვდა, უკვე მაშინაც კი აგინებდა ივანიშვილს... ოღონდ, აგინებდა ფარულად, კადრს და თვალს მიღმა, თორემ კაცურად და პირში რომ ეთქვა, რასაც ფიქრობდა, ვაი, თუ პარლამენტს გარეთ დარჩენილიყო? ვაი, თუ ვეღარ გამდიდრებულიყო? აკი, მისი ოცნება მილიონერობაა?

„გელოდი, ჩვენ ფული უნდა ვიშოვნოთ რა. პოლიტიკა იქნება, თუ არ იქნება, მაყუთი უნდა ვიშოვოთ. რაც ყაზახეთში გავა რამე, ჩვენგან უნდა გავიდეს, ხილი იქნება, სასმელი, თუ რაც იქნება. არაფერი არ მინდა, არც პრეზიდენტობა და არც არაფერი, მაგის დ.. მოვ...ან! ფული უნდა ვიშოვო რა, მილიონერი უნდა გავხდე!“, – ამონარიდი გუბაზ სანიკიძის ფარული სატელეფონო ჩანაწერიდან, 2012 წელი.

ეჰ, ამისთვის გინდოდა პარლამენტარობა, ბატონო გუბაზ? ჩაგიწვა, ეტყობა, ყაზახეთის ბიზნესი, ვერ გახდი მილიონერი... პრეზიდენტობა არ სდომებია ბიჭს და რას აძალებთ, გაუშვით, წავიდეს ხილი მოიყვანოს, ყურძენი დაწუროს, ყაზახეთში გაიტანოს და გამდიდრდეს...

მე ბატონი გუბაზის მტერი კი არა ვარ, ღმერთმა დამიფაროს, უბრალოდ ჟურნალისტი ვარ და ვალდებული ვარ კარგი მეხსიერება მქონდეს, მე ის ჩანაწერიც მახსოვს, სადაც სანიკიძე ვალერი ხაბურძანიას რუსეთის ციხეში მჯდომი ქართველი ქურდის გამოშვებაზე ევაჭრება.., თუ საქმე მოგვარდება, მითხარი, რომ იმ საქმეზე ბიჭია და გავიგებო... ეჰ, გოგოა, გოგო...

არც რუსული კონტაქტები მიკვირს, რადგან 1980-იან წლებში თუ ვინმე მოღვაწეობდა უცხოეთში, ყველა დავერბორკებული იყო, ყველაზე ჰქონდა კაგებეს ინფორმაცია და შესაბამისად ყველა აწვდიდა კაგებეს ინფორმაციას, 1987-1988 წლებში დამასკოში არც გუბაზ სანიკიძეს გაუშვებდნენ ლამაზი თვალების გამო, იმ გუბაზ სანიკიძეს, რომელსაც არც პოლიტიკა აინტერესებს, არც პრეზიდენტობა, არც ქვეყანა, მთავარია იშოვოს მილიონი... კაგებე პიონერის ყელსახვევი არ იყო, რომ მოგეხსნა და გადაგეგდო, არც კომკავშირის ბილეთი იყო კაგებე, რომ დაგეხია და დაგეწვა...

გუბაზ სანიკიძის პოლიტიკოსობა რა ვთქვი, მაგრამ ისტორიკოსად მაინც ვარგოდა მეგონა...

ბიძინა ივანიშვილი წერილში ქართველი ხალხის გულწრფელ ტოლერანტობაზე საუბრობდა და სხვა მაგალითებთან ერთად თქვა, რომ თბილისში ყველა რელიგიის (ქრისტიანობა, ისლამი, იუდაიზმი, ზოოასტრიზმი) ტაძრებს შევხვდებითო...

გაგიჟდა ამაზე დიდი აღმოსავლეთმცოდნე, სად არის თბილისში ზოროასტრული ტაძარიო, საიდან მოიტანაო...

ტერმინმა დააბნია ეტყობა - ზოროასტრიზმი, იგივე ცეცხლთაყვანისმცემლობა, ატროშანი, მაზდეანობა.... ათეშგა - ზოროასტული ტაძარი, მდებარეობს ქალაქ თბილისში, კლდისუბანში (გომის ქუჩა #3) ნაგებობაში მოხვედრა შესაძლებელია გომის პირველი ჩიხიდან. ამ ადგილას უძველესი დროიდან იდგა ცეცხლთაყვანისმცემელთა საკერპე. ათეშგა კი სპარსული სიტყვიდან „ატეშგაჰ“ მოდის, რაც ცეცხლის ადგილს ნიშნავს. 2007-2009 წწ. განხორციელდა ათეშგას გაწმენდა-აღდგენა, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა მისასვლელ კიბეს. ატმოსფერული მოვლენებისგან დაცვის მიზნით შენობა გადაიხურა.

სვანეთში დღემდე შემორჩენილია ზოროასტრიზმის კვალი... თუნდაც ბორჟღალა, თავის დროზე ზოროასტრული ტაძარი იყო...

2015 წლის აგვისტოში CNN-ი აქვეყნებს სტატიას სათაურით: „9 მიზეზი იმისთვის, რომ საქართველოს ეწვიოთ“, პირველივე პუნქტში ვკითხულობთ: „ქალაქის ძველ უბანში ქართული და სომხური ტაძრები, მეჩეთები, სინაგოგები და ზოროასტრული ტაძრის ნანგრევებიც კი შეგხვდებათ“.

ისტორია არ გცოდნია, გუბაზ ბატონო, მაგრამ ისე, ზოროასტრული ტაძრის ყოფნა-არ ყოფნა

ზოროასტრული ტაძარი თბილისში - ათაშგა

რომ არ იყო მთავარი პუნქტი ივანიშვილის წერილში, აი, მაგდენს მართლა უნდა ხვდებოდე, რადგან, რომ არა ეს ტოლერანტობა, ახლა თავადაც იცი, სად უნდა იჯდე...

შინაარსობრივ ანალიზს ვერც გუბაზმა მოაბა თავი, ისე, იბოდიალა თავისთვის ძველბიჭურად, ისაო, ესაო, გემოვნება არა აქვს ივანიშვილსო, (მე რომ გვერდში დამიყენა მაშინ ქონდა გემოვნებაო, ახლა აღარ აქვსო), ბიძინა არაფორმალური მმართველია დღეს საქათველოსიო, (არადა, ამ ოთხი წლის მანძილზე თუ რამე უთქვამს, სულ იმას აღნიშნავდა, არც ერთ პოლიტიკურ მოვლენას ბიძინა ივანიშვილს არ ვუთანხმებთ და საქართველოში არ არის არაფორმალური მმართველიო. ჰო კიდევ, ეს წერილი ცუდი თამადას სადღეგრძელოს ჰგავდაო, უნიჭო კაცის დაწერილიაო, კაცის რა, კაცებისო, იმიტომ, რომ აშკარად რამდენიმეს დაწერილიაო...

ასე, ერთი წაკითხვით თუ ხვდები, რა ვისი დაწერილია, ასე, ერთი მოსმენით თუ არჩევ ცუდ და კარგ თამადას, რატომ იჯექი პარლამენტში გასუსული მთელი ოთხი წელი? რატომ აქამდე არ გამოდიოდი ხალხთან სასაუბროდ?

ეჰ, არც ამ კითხვაზე მიპასუხებთ, ბატონო გუბაზ, მაგრამ გაგიკვირდებათ და, მე ვიცი, ამ კითხვაზე პასუხი... იმიტომ, რომ იმედი გქონდათ, იქნება და, დაავიწყდესო ბიძინას, იქნება და, აღარ გაახსენდეს, რომ ვაგინებდიო, იქნება და წინასარჩევნოდ გამიხსნას ყაზახეთის გზა, რომ სასმელი და ხილი გავიტანო, ან მზა ფორმულა მომცეს, როგორ გავხდე მილიონერი ან პირდაპირ მილიონი მომცესო...

არ ვიცი, რა ახსოვს და რა უნდა ახსოვდეს ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ ხალხს არ დავიწყნია შენი ღალატი, ხალხს ახსოვს, როგორ გააშლევინე კარვები, როგორ გადაიტყავე ენა ტყუილი დაპირებებით, როგორ ამოიგდე ბეჭი ნაციონალების „ლანძღვით“ და მერე გაიპარე და ეს „ლანძღვაც“ კი გაყიდე... არ ვიცი, რამდენი გადაგიხადეს მაშინ ხალხის ღალატში, ალბათ, მილიონი არა... ალბათ, არმად ნაშოვნი ფული ისევ არმად მოგხმარდა.. ალბათ, შემოგაკლდა ისევ (პარლამენტარიც ვერ იქნები, ხვდები) და ახლაც ლანძღვით ცდილობ მილიონამდე გზის გაკაფვას, მაგრამ ამჯერად არ გამოგივა, რადგან ამჯერად, ამ უსაფუძვლო, თავის გადასარჩენად გამოგონილ ტყუილ ლანძღვაში, არავინ არაფერს გადაგიხდის – მართალ კაცს ვერ შეაშინებ და იმიტომ!

„ქართულ ოცნებას“ უმეტესად იდეოლოგიურ სიჭრელეს უჩივიან... რა საჭირო იყოო ჩამყაყებული პოლიტიკოსების წარმოჩენა და გემბანზე აყვანაო - ამბობენ... და ვეთანხმებოდი... ახლა ვფიქრობ, რომ საჭირო იყო... ნაციონალები ყველანი „თეთრები“ იყვნენ ამ გაშავებული ქვეყნის ფონზე, ოცნებაში კი ყველანაირ ადამიანს შეხვდები, შავსაც და თეთრსაც და ეს, ალბათ, კარგია... ნაციონალების დროს ყველა ნაციონალს ერთი სახე ჰქონდა, ახლა სხვადასხვა სახეებს ვხედავთ და თქვენნაირების ფონზე, უკეთ ჩანს, ვინ საქმეს აკეთებს და ვინ კიდევ მეორე და მესამე კი არა, ბოლო შანსის გამოყენებასაც ვერ ახერხებს...

...დაბოლოს, ჩვენს კარგ მოთამადე და პურისმჭამელ ქუთაისელ გუბაზ სანიკიძეს, რომელსაც თავისი ქუთაისი ერთხელაც არ გახსენებია (თავის გასამართლებლად განაცხადა: აპრობირებული მეთოდია უცხოეთში, სულ არ არის საჭირო, იცოდეს ქალაქმა, ვინ არის მისი მაჟორიტარი დეპუტატიო). ჰოდა, ამ ჩვენს ქუთაისელ ჯელს, ძილი უყვარდა ნამეტნავად პარლამენტის სხდომებზე და თავს ასე იმშვიდებდა: „ჩემზე მაგარ ბიჭებსაც სძინებიათ უადგილო ადგილასო“...

ეჰ, შეეშვით ამ მაგარ ბიჭებს, ბატონო გუბაზ და დამიჯერე, „უადგილო ადგილას“ ჩაძინებას კიდევ არა უშავს, „უადგილო ადგილას“ გამოღვიძებაა ბევრად უარესი...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

რა ხდება მაშინ, როცა დასაჭერს არ დაიჭერ?

ძვირფასო მკითხველო! სააკაშვილისდროინდელი სასამართლო, რომ მისი და კუბლაშვილის ყურმოჭრილი მონა და დავალებების უსიტყვო შემსრულებელი იყო, ეს არახალია და ქვეყანამ იცის. მათმა მიღებულმა უკანონო გადაწყვეტილებებმა რომ სიცოცხლე გამიმწარა და დღემდე ვერაფრით მომიხერხებია იმ დამღუპველი შედეგების გამოსწორება, ესეც ფაქტია, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მაშინაც იყო რამდენიმე მოსამართლე, რომლებისთვისაც მოსამართლის მანტია ღირსებას წარმოადგენდა და მისთვის ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ უღალატია. ასეთები კი სწორედ ნათია გუჯაბიძე, ნატალია ნაზღაიძე და ზოია კვარაცხელია იყვნენ. თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სააკაშვილის სასამართლოს მიერ ჯვარცმულმა, გაზეთ „კვირის ქრონიკის“ (#14, 08-14 აპრილი, 2013 წ.) საშუალებით ღია წერილით მივმართე მაშინდელი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ბ-ნ კოტე კუბლაშვილს, სადაც იგი „მარსიდან ჩამოსულად“ მოვიხსენიე. ახლა იმ წერილიდან მცირე ამონარიდს მოვიყვან და ამის შემდეგ თქვენ თვითონ განსაზღვრეთ, ვინ მართალია და ვინ — მტყუანი.

...„ბ-ნო კოტე, რომ გაიძახით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აუცილებლად მე უნდა ვიყო და ამ საბჭოში წევრების წარდგენის უფლებაც მე უნდა მქონდესო, თქვენს ამ მოსაზრებას ვერაფრით გავიზიარებ. ახლახან თქვენ ისეთი კანდიდატურა წარადგინეთ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, მე თუ მკითხავთ, საერთოდ აგიკრძალავდი არა მარტო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობას, არამედ ამ საბჭოში წევრის წარდგენის უფლებასაც კი. მხედველობაში მყავს ქ-ნი ილონა თოდუა, ეს არაკომპეტენტური და უვიცი ვითომ მოსამართლე, რომელსაც ელემენტარული პროფესიული ღირსებაც კი არ გააჩნია, თავისი პროფენსიონალიზმიდან გამომდინარე, უარი ეთქვა შემოთავაზებაზე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წევრად წარადგინეთ. ამასთან, მთელი დამაჯერებლობით დაამატეთ: ქვეყანაში უამრავი ღირსეული მოსამართლეა, მაგრამ მათ შორის ყველაზე გამორჩეული ეს ქალბატონი გახლავთო.

ბ-ნო კოტე, თუ მოინდომებთ, ადვილად მოძებნით საქმე #54274 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 ნოემბრის განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ, რომლის მთავარი შემოქმედი პირი მოსამართლე ინოლა თოდუაა. სასარჩელო განცხადების თანახმად სასამართლოს წარვუდგინე: მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი და ფოტოსურათები. თუ როგორ დგას ექსკავატორი და ბულდოზერი ჩემს კერძო საკუთრებაში მქონე მიწის ნაკვეთზე და აწარმოებენ მიწის სამუშაოებს. ვითხოვდი, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე მოძალადე მშენებლებს შეეჩერებინათ უკანონო მშენებლობა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ქ-ნი ინოლა დაუსაბუთებლობის მოტივით უარს მეუბნება სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მეტი რა დასაბუთება უნდა წარმედგინა, ვერაფრით გამიგია. როგორც ჩანს, ქ-ნ ინოლას აზროვნების ჰორიზონტი მეტს ვერ გასწვდა, მეტი დამაჯერებლობისა და ამ საკითხში მისი ბოლომდე დარწმუნებისათვის, ეტყობა, ექსკავატორზე უნდა შევმხტარიყავი და სურათი ისე გადამეღო. ეს ისეთი აბსურდული და შოკისმომგვრელი გადაწყვეტილება იყო, რომ ცხელ გულზე გადავწყვიტე მისი სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრება. მიუხედავად ადვოკატის რჩევისა, გასაჩივრებას აზრი არ აქვს, ამ უსამართლო სასამართლოში მაინც ვერაფერს მიაღწევ და 50 ლარი ტყუილად უნდა დაკარგოო (მაშინ ჩემი ადვოკატი ახლანდელი პრეზიდენტის მრჩეველი ბ-ნი კახა კოჟორიძე იყო), მაინც არ დავუჯერე და გავასაჩივრე. ვიფიქრე, ბოლო-ბოლო, ერთი კვირა ვიშიმშილებ და იმ 50 ლარს ასე დავზოგავ, სასამართლოს უსამართლობაში კი საბოლოოდ დავრწმუნდები მეთქი. როგორც შემდგომში შევიტყვე, გასაჩივრებული განჩინება ჯერ იქვე, მისნაირი მოსამართლისთვის, ვინმე სოფო მაჭავარიანისათვის გადაუციათ, რომელმაც, რა თქმა უნდა, დაქალობას, ტყავის არდახევასა და მუნდირის ღირსებას არ უღალატა და განჩინება ძალაში დატოვა. მხოლოდ ამის შემდეგ გადააგზავნეს ის სააპელაციო სასამართლოში.

ჩემდა გასაკვირად, მოხდა სასწაული და სააპელაციო სასამართლომ გააუქმა „ღირსეულ მოსამართლეთაგან გამორჩეული მოსამართლის“ ქ-ნ ინოლა თოდუასა და მისი დაქალის მიერ მიღებული არაკომპეტენტური და სამარცხვინო გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2008 წ. 21 იანვრის განჩინებით საქმე #2ბ/2328-07 დააკმაყოფილა ჩემი სარჩელი. რითაც სამშენებლო კომპანიას ჩემს კერძო საკუთრებაში მქონე მიწის ნაკვეთზე მშენებლობის გაგრძელება აუკრძალა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თავიანთი მოვალეობის უმწიკვლო შესრულებისათვის მადლობა გადაუხადო სააპელაციო სასამართლოს ამ წესიერ და პატიოსან მოსამართლეებს: ნათია გუჯაბიძეს, ზოია კვარაცხელიას და ნატალია ნაზღაიძეს“.

ძვირფასო მკითხველო, ამ ამონარიდის წაკითხვის შემდეგ თქვენთვის, ალბათ, ყველაფერი გასაგებია. ხოლო სააკაშვილი, კუბლაშვილი და მელია რომ ყველაფერს უკუღმა აკეთებდნენ, ამ მაგალითიდანაც ნათლად ჩანს. ნაცვლად იმისა, რომ დაესაჯა უკანონო განაჩენის გამომტანი ვაიმოსამართლე თოდუა და წაეხალისებინა გუჯაბიძე, ნაზღაიძე და კვარაცხელია, კუბლაშვილმა დააწინაურა უკანონო განაჩენის გამომტანი, ფაქტიურად დამნაშავე, მაგრამ თავისი მონა-მოსამართლე და მისი დავალებების უპირობო შემსრულებელი ქ-ნი თოდუა.

ბ-ნო ნიკა, ამ მოსამართლეებმა სააკაშვილისა და კუბლაშვილის წნეხის პირობებშიდაც კი მოახერხეს, რომ სამართლიანი გადაწყვეტილება მიეღოთ და ახლა, როცა თქვენგან განსხვავებით, ხელისუფლების მხრიდან სასამართლოზე არავითარი წნეხი და ზეწოლა არ მიმდინარეობს, ეჭვი არ მეპარება, რომ ისინი, როგორც ყოველთვის, ახლაც სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებენ. სწორედ ამის გეშინიათ და იმიტომაა, რომ ასე გამწარებული იბრძვით და ყველაფერს კადრულობთ, მათ შორის დემაგოგიასა და ცილისწამებასაც აღარ ერიდებით, რომ ხალხს თვალებში ნაცარი შეაყაროთ და სასამართლოს თქვენი სასარგებლო უკანონო გადაწყვეტილება მიაღებინოთ.

P.S. რომ მეგონა, ბ-ნი გვარამიას ზეწოლა სასამართლოზე ამით დამთავრდა-მეთქი, თურმე ჯერ სადა ხარ. სასამართლოს შემდგომ სხდომებზე გვარამიამ საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და ყოველგვარი მორიდების გარეშე, ამ ტროკის იდეებით გაჟღენთილმა გვამმა, განწირული კაცის სულისკვეთებით იმდენი ბოღმა, ბალღამი, სიბინძურე, ცილისწამებისა და სიცრუის კორიანტელი დააყენა, რომ პირდაპირ გაგიკვირდება კაცს. აღარავის ინდობს, რა ეპიტეთებით ამკობს და როგორ შეურაცხყოფს ყოფილ და მომქმედ პრემიერებს, იუსტიციის მინისტრს. როგორ იმუქრება და სასჯელის ზომებსაც წინასწარ უსაზღვრავს ოპონენტებს. როცა ასეთი თავხედური ქცევისა და სასამართლოს უპატივცემულობის გამო სასამართლოს დარბაზიდან გამოაძევეს, ახლა უკვე ნაციონალების რუპორ „რუსთავი-2“-ის გადაცემაში, გაბუნიასთან გადაინაცვლა და იქედან დაიწყო შეურაცხყოფების ფრქვევა და მუქარა. ვინ არის ეს კაცი, რომელიც თავისი დასავლელი ამფსონების მხარდაჭერით გაგულისებული, აღარავის ინდობს და პირდაპირ ციხეში მიერეკება მისთვის მიუღებელ ოპონენტებს? ნუთუ ეს არის ის დემოკრატია, რომელსაც ასე დაჟინებით გვასწავლიან დასავლელი მეგობრები? ეს იმის ბრალი ხომ არ არის, მილიონი თუ მილლიონნახევარი აშშ-ის დოლარის ქრთამად აღების, თუ რაღაც სხვა მაქინაციებით უკანონოდ მითვისებისათვის ეჭვმიტანილი გვარამია თავის დროზე რომ არ დააკავა ჩვენმა უნიათო პროკურატურამ და ახლა, ეს დანაშაულში ეჭვმიტანილი კაცი აქეთ უპირებს პროკურატურისა და სასამართლოს მოხელეებს დაპატიმრებას. ძვირფასო პროკურატურა, ჩვენ რომ გვეგონა, ეს კაცი მილიონნახევარი აშშ-ის დოლარის მითვისებაშია ეჭვმიტანილიო, თურმე ეს თანხა ბევრად მეტი ყოფილა და როგორც ახლა ირკვევა, იგი 5 მილიონს წარმოადგენს, რაც მან თვითონვე დაადასტურა იმავე გაბუნიას გადაცემაში. მიხედეთ ამ ამბავს, ბატონო პროკურორებო, სანამ მართლა მას არ დაუჭერიხართ. ისე, ჩვენში დარჩეს და, მეტის ღირსი ხართ, სამართლიანობის აღდგენას რომ არ მიხედეთ და ეს დემაგოგი ტროცკისტები და ქვეყნის წურბელები არ დასაჯეთ, რომლებიც დღემდე ასე დაუსჯელად დათარეშობენ და თავიანთი ქმედებებით ხალხის სამართლიან გულისწყრომას იწვევენ.

ომარ გოცაძე
555 33 55 36

ძლიერი რეგიონები

ასპინძა

უძველესი მესხური ვაზის ჯიშების გაშენების ისტორიული პროცესი

სამცხე-ჯავახეთში, ასპინძის რაიონში, მესხური ტერასების ტერიტორიაზე, აღდგენილი „ხიზაბავრის მესხური ტერასების“ ტერიტორიაზე უძველესი მესხური ვაზის ჯიშების გაშენების ისტორიული პროცესი იწყება. ვაზის პირველი ნერგები საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, მესხური ტერასების პროექტის დამფუძნებლებმა - მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ, „ვარძიის ტერასების“ დირექტორმა გიორგი ნათენაძემ და ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ ჩაყარეს.

სამცხე-ჯავახეთის და მთლიანად საქართველოს ფეხზე წამოდგომის დასაწყისი, - ასე შეაფასა საქართველოს მთავრობის მეთაურმა მესხურ ტერასებზე უნიკალური ჯიშის ვაზის გაშენების პროცესის დაწყება.

„ძალიან ძნელია, აღწერო ის ემოცია, რომელიც ახლა მე გამაჩნია. ძალიან დიდი საქმე გაკეთდა. ძალიან მიხარია, რომ ჩვენ ეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო მივიწყებული, აღვადგინეთ. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მამუკა ხაზარაძეს, ბადრი ჯაფარიძეს, გიორგი ნათენაძეს, მეუფე თეოდორეს, საქართველოს ეკლესიას თანადგომისთვის“, - განაცხადა პრემიერმა და განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მესხური ტერასების აღდგენის პროცესში დასაქმებულებსა და სხვადასხვა პროფილის ხელოსნებს.

პრემიერის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტით რეგიონში აღდგა უძველესი ხელობები, მათ შორის ქვაზე მუშაობა, რაც რეგიონს გააცოცხლებს და მას მეტი სტუმარი ეყოლება.

„ძალიან ბევრი ადამიანი უკვე დაინტერესებულია ამ პროექტით. თუ არ ვცდები, 27 ისტორიული მესხური ჯიშის ვაზი გაშენდა ამ ტერიტორიაზე და მინდა, ასევე დიდი მადლობა გადავუხადო ფონდ „ქართუს“, რომელმაც დაახლოებით 20 მილიონი ლარის ღირებულების ჯიღაურას საჯიშე მეურნეობა გადასცა უსასყიდლოდ სახელმწიფოს. ამ მეურნეობაში აღდგენილი და შენარჩუნებულია 460-ზე მეტი ისტორიული ქართული ყურძნის ჯიში, ასევე უცხოური ჯიშებიც და ეს არის უდიდესი, საშვილიშვილო საქმე. ძალიან გახარებული ვარ, ეს არის ადგილი, სადაც თამარ მეფემ ფეხშიშველმა გაიარა იმისთვის, რომ ელოცა ქვეყნის გამარჯვებისთვის და ვაზი, რომელიც დღეს ირგვება, არის თამარ მეფის ჯიშის ვაზი. ეს სიმბოლურია და შემთხვევითი არ არის. ეს არის საქართველოს აღორძინების ძალიან მკაფიო ნიშანი. კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ წარმატებებს“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

რეაბილიტირებულ ტერასებზე 17 იშვიათი ჯიშის მესხური ვაზი დაირგვება, რაც რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიულად მნიშვნელოვანი მიმართულების აღორძინებას შეუწყობს ხელს. მესხური ტერასები მთლიანობაში 23 ჰექტარ მიწის ფართობზე გაშენდება, ხოლო ჯამური ინვესტიციის მოცულობა ნახევარ მილიონ ლარამდეა.

მესხური ტერასების პროექტის წარდგენის შემდეგ, ვარძიის მიმდებარე უძველესი სოფლის, უნიკალური ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - ჭაჭკარის რეაბილიტაციის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც

ვანი

სახელმწიფო და კერძო სექტორის ერთობლივი ინიციატივით ხორციელდება.

„აწარმოე საქართველოში“ ბაღდათში

2014 წლის ივნისიდან დაიწყო ახალი სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომლის მიზანია წარმოების განვითარება და წახალისება.

ამ პროგრამის ფარგლებში 2015 წლის 15 მარტიდან საქართველოს რეგიონებში დაწყებულია მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის განხორციელება, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ხელს უწყობს საკუთარი ახალი საწარმოების შექმნაში, არსებული საწარმოს გაფართოებაში ან გადაიარაღებაში.

დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ მოიპოვონ თანადაფინანსება იდეის განსახორციელებლად. 2016 წლის 24 მაისის მდგომარეობით მთელი საქართველოს მასშტაბით დაფინანსებულია 1137 ბიზნესპროექტი, რაც დაახლოებით 1800-მდე ბენეფიციარს გულისხმობს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში დაფინანსებულია 15 ბიზნეს-პროექტი, სულ 26 ბენეფიციარი.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კიდევ ერთი ეტაპი. დასრულებულია პირველი ტური, მიმდინარეობს ბიზნეს-გეგმის მეორე ტური, რომელიც 31 მაისს დასრულდება და ბიზნესიდეების კონკურსის პოტენციური გამარჯვებულები გამოიკვეთება, ამის შემდეგ ბენეფიციარებს მიეცემათ შესაძლებლობა, მოიპოვონ თანადაფინანსება.

ვანს განახლებული არქეოლოგიური მუზეუმი ექნება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ვანის არქეოლოგიური მუზეუმისა და ნაქალაქარის ტერიტორიის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

ამ მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის ღირებულება 14,5 მილიონი ლარია და ის მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მიმდინარეობს.

ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს 1985 წლის შემდეგ არ ჩატარებია რეაბილიტაცია. დაგეგმილი სამუშაოების ფარგლებში კი ის საერთაშორისო სტანდარტებს გაუთანაბრდება და რეგიონში ყველაზე გამორჩეული მუზეუმი იქნება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას ვანში და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

მარტვილში საგაზაფხულო სამუშაოები დასრულდა

მარტვილის მუნიციპალიტეტში ხვნის სამუშაოები დასრულდა. სულ დამუშავებულია 7416 ჰა მიწის ნაკვეთი. „2016 წლის მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში დამუშავდა 5652 ჰა, პროგრამის გარეშე კი - 1764 ჰა. ამ დროისათვის დათესილი ფართობების რაოდენობა შეადგენს 5294 ჰა-ს.

ხელვაჩაურში 5 საბავშვო ბაღი შენდება

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ ხელვაჩაურის მინიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მოინახულა. ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის შენობის რეაბილიტაცია რამდენიმე კვირის წინ დაიწყო დაწლის ბოლომდე დასრულდება. ამჟამად მიმდინარეობს შენობაზე ძველი სახურავის დემონტაჟი და მიმდებარეტერიტორიის დასუფთავება.

კულტურის ცენტრის მონახულების შემდეგ არჩილ ხაბაძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად ახალსოფლის ბაღში ჩატარებულ სამუშაოებს გაეცნო. ბაღის ახალაშენებული ორსართულიანი კაპიტალური შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ელექტროენერგითა და წყალმომარაგებით. სოფლის სკოლასთან ახლომდებარე ბაღი მოსახლეობის თხოვნით აშენდა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ასაშენებლადმუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 693 920 ლარი გაიხარჯა. ბაღი 180 ბავშვზეა გათვლილი და ადაპტირებულია შ.შ.მ პი-

ძლიერი საქართველოსთვის

რებისთვის. სამუშაოები დასრულებულია და მიმდინარეობს ინვენტარიზაცია თანამედროვე სტანდარტებისშესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 2012 წლამდე სულ 9 ბაღი ფუნქციონირებდა. 3 წლის მანძილზე მუნიციპალიტეტში დამატებით 5 საბავშვო ბაღი აშენდა და 4 ბაღს ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

„აჭარაში 2013-2015 წლებში აშენდა 35 საბავშვო ბაღი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 52 ბაღს, მიმდინარეობს 17 ბაღის მშენებლობა და 8 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. რაც შეეხება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს, ამჟამად საბავშვო ბაღისმშენებლობა მიმდინარეობს ოთხ სოფელში: ფერიაში, მახინჯაურში, კირნათში და ქედქედში“ - განაცხადა არჩილ ხაბაძემ.

დმანისი

ზუგდიდი

ქობულეთში შიდა სასოფლო გზების კეთილმოწყობის სამუშაოები გრძელდება

ალამბარი-ტაკიძეების გზის მონაკვეთი სოფელ ალამბარი-ტაკიძეების საავტომობილო გზაზე ასფალტის საფარი პირველად დაიგო. სამუშაოები 2300 მეტრი სიგრძის გრუნტის გზის მოასფალტებას ითვალისწინებს. სამუშაოებს, რომლის საერთო ღირებულება ტენდერის მიხედვით 471 027 ლარია, შპს „მეგაკონტრაქშენი“ ასრულებს. სამუშაოები მომავალი თვის ბოლომდე უნდა დასრულდეს. ამ დროისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოასფალტებულია 8 470 მეტრი სიგრძის გზა 6 მიმართულებით და დარჩენილია 7 მიმართულება, სადაც საფარი 20 513 მეტრზე უნდა დაიგოს. ა.ა.რ საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2016 წლის გეგმის მიხედვით, ოთხი ათეული ობიექტის კეთილმოსაწყობად 22 738 160 ლარია გამოყოფილი. დაგეგმილია 11 ახალი ხიდის მშენებლობა და 17 ხიდის რეაბილიტაცია. 151 ახალი საყრდენი კედლის და 4 დამცავი ზღუდარის მშენებლობა. სამელიორაციო სისტემების არხების რეკონსტრუქციისთვის კი 706 880 ლარია გამოყოფილი.

ქობულეთში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა შენდება

პროექტის ფარგლებში აშენდება გამწმენდი ავზი, საოპერატორო შენობა. მოწესრიგდება მიწისქვეშა კომუნიკაციები. გამწვანდება და კეთილმოეწყობა მიმდებარე ტერიტორია. მშენებლობის დასრულების შემდეგ ჩამდინარე წყლები პერმანენტულად გაიწმინდება, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ქალაქის არსებულ წყალსატევებსა და ზღვაში დაბინძურებული წყლის მოხვედრას და ქობულეთის მოსახლეობასა და ტურისტებს მრავალი წლის განმავლობაში არსებულ პრობლემას მოუგვარებს.

სამუშაოების ღირებულება 5,867,300 ლარია. პროექტს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ჰოლანდიის მთავრობისა და აჭარის მთავრობის თანადაფინანსებით მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს.

ტექნოპარკი სამეგრელოში

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ინიციატივით ზუგდიდის სხვადასხვა სასწავლებელების 150-მა სტუდენტმა თბილისის ტექნოპარკი დაათვალიერა. სტუდენტებმა ტექნოპარკში ინოვაციებზე საჯარო ლექციას მოუსმინეს. რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტებს გუბერნატორმა მიმართა და ამცნო, რომ ზუგდიდის ტექნოპარკი ფუნქციონირებას ძალიან მალე შეძლებს.

ზუგდიდის ტექნოპარკმა თანამშრომლებზე ვაკანსია უკვე გამოაცხადა, მიმდინარე თვის ბოლოს კი ტექნოპარკის მოწყობის სამუშაოები დაიწყება.

სტუდენტების მიერ ტექნოპარკის დათვალიერება სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის ადმინისტრაციის, ზუგდიდის მერიისა და გამგეობის მხარდაჭერით მოხდა. ტექნოპარკის დათვალიერებას გუბერნატორი სტუდენტებს მათთან შეხვედრის დროს დაპირდა.

დმანისი – პანტიანის ტბის მიმდებარედ დასასვენებელი კომპლექსი მოეწყობა

ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ინიციატივით დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ პანტიანში, პანტიანის ტბაზე განხორციელდა უცხოური ინვესტიცია, რაც გულისხმობს პანტიანის ტბის საკურორტო ზონად გადაქცევას. ინვესტორს გადაეცა 5 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. პირველ ეტაპზე დამონტაჟდება თანამედროვე, ევროსტანდარტების შესაბამისი 50 კოტეჯი, აშენდება რესტორნები, სპა, საუნა, სპორტული მოედნები და საკონფერენციო დარბაზები. პირველი დამსვენებლების მიღებას პანტიანის კომპლექსი 2016 წლის ზამთარში შეძლებს, ხოლო სრული დატვირთვით 2017 წლის ივნისიდან ამუშავდება.

ქობულეთი

პარტია „ცენტრისტების“ თავმჯდომარის თემურ ხაჩიშვილის განცხადება

ქვეყანაში არსებული მდგომარეობა არავის უტოვებს უფლებას პასიური დარჩეს მიმდინარე მოვლენების მიმართ.

მივიღე გადაწყვეტილება მონაწილეობა მივიღო 8 ოქტომბრის არჩევნებში.

აი, რამდენიმე ფაქტორი, რამაც განაპირობა ჩემი გადაწყვეტილება.

პირველი: ფაქტობრივად, უკვე დაანონსებულია სახელმწიფო გადატრიალება.

ქვეყანა დგას ახალი ფაშისტური რეჟიმის დამყარების საშიშროების წინაშე!

საკმაოდ სერიოზული ძალები ამზადებენ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებას!

„ნაციონალური მოძრაობა“ ემზადება არა არჩევნებისთვის, არამედ ძალადობრივი გზით ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად!

ბიძინა ივანიშვილმა მთელ საქართველოსთან ერთად დაამარცხა „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმი, მაგრამ ხელისუფლებამ გამარჯვების განმტკიცების ნაცვლად წამოიწყო გაუგებარი პოლიტიკური პროცესი სახელად – კოაბიტაცია.

დღეს ქვეყნის სტაბილურობის და სიმშვიდის გარანტი არის ერთი კაცი, ბატონი ბიძინა ივანიშვილი. ამიტომაცაა, რომ მთელი აგრესია „ნაციონალური მოძრაობის“ და მათი სატელიტების მიმართულია ამ ერთი კაცისაკენ.

მათ ერთხელ უკვე გაიმარჯვეს საქართველოში.

საკმარისია!

არ უნდა დავუშვათ ფაშისტური რეჟიმის რესტავრაცია!

ჩვენ შევიკვრებით ერთ დიდ ძალად და 8 ოქტომბერი იქნება არა ფაშიზმის აღდგენის, არამედ ქართველი ხალხის, საქართველოს საზოგადოების გამარჯვების თარიღი.

ნუ გვავიწყდება, რომ ჩვენ ყველა, ქალიც, კაციც, მოხუციც და ახალგაზრდაც საქართველოს ჯარისკაცები ვართ!

შევიკრათ ერთ მუშტად და მივუჩინოთ საქართველოს მტრებს, ნეოფაშისტებს, ხაზინის ვირთხებს, კუთვნილი ადგილი! პასიურობა უნდა დასრულდეს!

ჩვენ ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ საქართველო ჩვენი დასაცავია!

დაიმახსოვრეთ ჩვენს ორგანიზაციაში გაწევრიანების რამოდენიმე პრინციპი:

-ჩვენთან ნუ მოვლენ ადამიანები, ვინც ბატონი ბიძინას მტრები ხართ!

მიბრძანდით „ნაციონალებთან“ ან მათ სატელიტებთან!

ვიმეორებ, საქართველოს მოსახლეობამ, ქართველმა ხალხმა არ უნდა დაუშვას ახალი დიქტატურის დამყარება ქვეყანაში!

ეს იქნება საბოლოო დასამარება საქართველოსი!

ქართველი ხალხის გადასაწყვეტია 8 ოქტომბერი იქცევა დიდგორად, ბაზალეთად თუ კრწანისად!

მოგიწოდებთ გაერთიანებისაკენ!

ჩვენ უფრო მეტნი ვართ, ჩვენ ვართ ძალა, რომელსაც ქვეყნის გადარჩენა ძალუძს!

„საქართველო წმინდანების სამჭედლოა!“

ბერი პაისი წერდა: „სულიერი ადამიანი მთლიანად ტკივილია, მას სტკივა ის, რაც ხდება მსოფლიოში, მას სტკივა თვით ადამიანი და მის მომავალს განიცდის. თუმცა, ამ ტკივილის სანაცვლოდ საღმრთო და მანუგეშებელი მადლი ენიჭება“.

ამ ინტერვიუში სწორედ ასეთ საღმრთო მადლით გაბრწყინებულ განსაკუთრებულ ადამიანებზე ვისაუბრებთ.

„საერთო გაზეთის“ სტუმარია პროფესორი მზია სულაძე.

— ძალზე რთულია, ჩემნაირი ჩვეულებრივი ადამიანისაგან, წმიდანებზე და მით უფრო, მათ ღვაწლზე საუბარი. ეს ერთგვარი კადნიერებაცაა, მაგრამ, არც დუმილი ეგება. შევეცდები ჩემი მწირი გამოცდილებისა და შესძლებლობების ფარგლებში ვისაუბრო ამ უაღრესად ფაქიზ და საპასუხისმგებლო თემაზე. მით უფრო, რომ გზამკვლევად მამა გიორგი ბასილაძის შესანიშნავი წიგნი გვაქვს.

წმიდანებს მთელი ცხოვრება სულიერ ბრძოლაში აქვთ გატარებული და გამოცდილი მეომრები არიან. მათ, კარგად უწყიან ჯოჯოხეთის მკვიდრთა სულიერი ძალა და მზაკვრობა. უხილავ ბრძოლებში გამოწრთობილნი თანაუგრძნობენ და შეეწევიან ყველას, ვინც მათ მოუხმობს. ისინი მაცხოვრის მადლმოსილებით მოპოვებული სულიერი ძალით, ფარულად მუშაობენ ადამიანის სულზე, წმენდენ და ათავისუფლებენ მათი დამღუპველი ბოროტი ძალებისაგან, ღვთაებრივი მადლითა და ენერგიით აღავსებენ ადამიანებს.

— წმიდანების განსაკუთრებული გამოვლენაა სალოსობა. ვინ არიან სალოსები, რით განირჩევიან დანარჩენი წმინდანებისგან?

— სალოსი ბერძნული სიტყვაა და ქართულად სულელს ნიშნავს. სალოსური მოღვაწეობა მეოთხე საუკუნეში დაიწყო ეგვიპტეში. ეკლესიის ისტორიაში ცნობილია წმინდა ნეტართა და ქრისტესათვის სულელთა მთელი დასი: წმიდა ანდრია, წმიდა დანიელი, წმიდა სვიმეონ ასური, პროკოფი და იოანე მოსკოველები, ისიდორე როსტოველი და ქსენია პეტერბურგელი, ორლოველი ხუცესი ათანასე საიკო... ახლო წარსულში ასეთი მამა ქართველებსაც გვყავდა — ბერი გაბრიელი (ურგებაძე), რომელმაც კომუნისტურ ეპოქაში სალოსის მძიმე ჯვარი იტვირთა. სალოსები ,დღესაც, მოღვაწეობენ საქართველოში.

სალოსი ეწოდება ადამიანს, რომელიც ღმრთის სადიდებლად თავისი ნებით ღებულობს სულელის სახეს. ეს, ერთგვარი ნიჭია, ადვილი არაა იყო ქრისტესათვის სულელი. იგი ადამიანური სისუსტეების მკაცრი უარყოფაა, როგორც ფიზიკურად — სხეულით, ასევე ფსიქიკით და ეგოცენტრიზმით. სალოსური ღვაწლი სამართლიანად ითვლება მოღვაწეობის ერთ—ერთ უმძიმეს ფორმად. სალოსობა ღმერთის დიდებისთვის გაღებული უდიდესი მსხვერპლია.

ისინი იღწვიან მსოფლიოს გადასარჩენად, უპირისპრდებიან კოსმიური ბოროტების შავნელ ველს. სალოსებში თითქოს, მთელი სამყაროა თავმოყრილი, აღმოსავლეთიც და დასავლეთიც, ჩრდილოეთიც და სამხრეთიც. მათ ყველაფერი იციან და არც იციან. ისინი მითებისა და ზღაპრების პერსონაჟებივით იდუმალებით არიან მოცული. სალოსი,ამაო წუთისოფელში ცოცხალი იგავია. ძალიან ძნელია, სალოსთან გაარჩიო გენიალურობა სიშტერისაგან, ღვთივგაბრძობილობა მასხარისაგან, მაწანწალისა თუ ღატაკისაგან. ისინი უკიდურესად თავისუფლები არიან. სალოსები საზოგადოებას შოკურ თერაპიას უტარებენ.

— „საქართველო წმინდანთა სამჭედლოა“-თქვა გიორგი ბასილაძემ. „წმინდანთა ჯაჭვი საქართველოში უწყვეტიაო“, — ბრძანა მამა გაბრიელმა, და დღეს, საქართველოს, მათთან ერთად, მფარველობენ ცოცხალი წმინდანები: მეუფე ილარიონ სამხარაძე, მამა ნიკოლოზ /მარქარაშვილი/, იოანე ოლარი, ლეონტი ჟვანია...

რას იტყვით მეუფე ილარიონ სამხარაძეზე, რომელიც ამას წინათ „პროფილში“ იხილა ტელემაყურებელმა.

— მე-15 ფსალმუნში უფალი წინასწარმეტყველი დავითის პირით ბრძანებს: „წმიდათა რომელნი არიან ქუეყანასა მისსა, საკრველ-ყო უფალმან ყოველივე ნებაა მისი მათ შორის“. მეუფე ილარიონ სამხარაძე სწორედ ამ რანგის წმიდათა დასის ღირსეული წევრია. იგი უდიდესი სულიერი ძალის წმიდანია. მას ძალიან მძიმე ჯვარი ერგო და ურთულესი ცხოვრების გზა განვლო. გარიყულის ფიცრული ქოხიდან იგი მარტოდმარტო მიუყვებოდა უფლისკენ მიმავალ გოლგოთის ეკლიან ბილიკს და ჯვარცმული, დამცირებული და შეურაცხყოფილი ქრისტეს ხილულ ხატად იქცა ცრუ, დაუნდობელ წუთისოფელში. მან მრავალი განსაცდელი გადაიტანა. მეუფისთვის უცხო არ არის თანამებრძოლების ღალატი, იმედების გაცრუება, ახლობელთა ბოღმა, დამცირების შხამი და იუდას გესლიანი ამბორი. КГБ-ს და საპატრიარქოს ერთობლივად დადგმული ფარსის მხილებისა და სიცრუის ორგიაში მონაწილეობის არმიღების გამო, პატრიარქ დავითV განკარგულებით, საპატრიარქოს ქორეპისკოპოსს, ბოდბის ეპარქიის ეპისკოპოსს ილარიონ სამხარაძეს აძევებენ საპატრიარქოდან, უკრძალავენ მღვდელთმსახურებას და პენსიაზე უშვებენ. ღვთის განგებით, მას მღვდელმთავრის საპატიო წოდება ვერ ჩამოართვეს. არამც და არამც, არ დაცხრა ბედთან ჭიდილი. მეუფეს, როგორც საშიშ პირს თბილისის საგიჟეში ათავსებენ, სადაც, ძლიერი ფსიქოტროპული წამლებით ცდილობდნენ მის განადგურებას. ცინიზმს საზღვარი არა აქვს და საგიჟეში პატრიარქი საუფლო დღესასწაულის მისალოც ბარათს უგზავნის წარწერით: „ეპისკოპოსს ილარიონ სამხარაძეს“. უფლის წყალობით, მეუფე ამ უმძიმეს განსაცდელს გადურჩა. და არა ოდენ გადაურჩა, არამედ, მხნედ გააგრძელა ბრძოლა და პატიოსნად მიიკვლევს წუთისოფლის უღრანს... დევნა არც ახლა დამთავრებულა: უპატიოდ მოპყრობა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, აბუჩად აგდება, ცინიკური დამოკიდებულება, კვლავ, გრძელდება... აქამდე თუ ფარულად მიმდინარეობდა ბრძოლა, დღეს, ღია ხასიათი მიიღო და მედია სივრცეშიც გადაინაცვლა... ბოროტი გესლს ანთხევინებს შეპყრობილებს, რადგან, დიდი ძალა აქვს მეუფეს და ალბათ, ეშინიათ... მისი დევნა-შევიწროების გამო, ყველას მოეთხოვება პასუხი უფლისაგან.

— რა გზა გაიარა მეუფემ, სანამ სასულიერო მოღვაწეობას შეუდგებოდა?

— საქართველოს საპატრიარქოში მეუფე, განათლების ხარისხით, გახლდათ ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა. მან წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტი. ასევე, წარჩინებით, დაამთავრა ზაგორსკის სასულიერო აკადემია და მოსკოვშივე აკურთხა რუსეთის პატრიარქმა პიმენმა ეპისკოპოსად.

70-იანი წლების მეორე ნახევარში, საბჭოთა კავშირიდან, ლონდონში ქრისტიანული ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიის წევრებად მიიწვიეს ზვიად გამსახურდია და ეპისკოპოსი ილარიონ სამხარაძე.

საგულისხმოა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სულ 14 კაცი იყო მიიწვეული და აქედან ორი ქართველი გახლდათ.

მეუფის ღვაწლსა და სწავლებას ვერავინ მიაჩუმათებს და მიჩქმალავს.

— მეუფეს ანაფორაზე შემორტყმული აქვს ხანჯალი, ხომ ვერ გვეტყვით, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ამას?

— ხანჯალი არის მეუფის მებრძოლი სულის სიმბოლური გამოხატულება.იგი არის ქრისტეს მებრძოლი ეკლესიის ერთგული მეომარი. იგი წარმატებით იბრძვის ხილულ და უხილავი მტრების წინააღმდეგ.

2008 წელს, ომის დროს, სავარაუდოდ,11-12 აგვისტოს, როცა გორის ჰოსპიტალი დაიცალა, გამარჯვებული რუსის ჯარი ტანკებით შევიდა ქალაქში და კომენდანტის საათი გამოცხადდა, როცა ქალაქი დაცლილი იყო ქართველებისგან, მაშინ ორი დიდი ქართველი მამა, საქართველოს მთავრობისაგან ღვთისანაბარად მიტოვებული გორისა და მისი შემოგარენის მოსახლეობის გასამხნევებლად, ფეხით ჩავიდნენ ქალაქში. ქუთაისიდან წამოსული არქიმანდრიტი გიორგი ბასილაძე დასავლეთის მხრიდან, ხოლო, გარიყულადან გამოსული მეუფე ილარიონი კი აღმოსავლეთის მხრიდან, ერთდროულად შევიდნენ მტრის მიერ ოკუპირებულ ქალაქში.

შევიდნენ და რუსმა ჯარისკაცებმა ხმამაღალი შეძახილებით: „Старец идет! Старец идет!“ — დაუჩოქეს მეუფე ილარიონს და მამა გიორგის.

მას შემდეგ არც ერთი ტყვია არ გავარდნილა ქალაქში.

მეუფე ილარიონ სამხარაძე

მეუფესთან ურთიერთობის თითოეული დეტალი არის შტრიხკოდი, რომლსაც მუდმივად ხსნი და კითხულობ. იგი საოცარ სიბრძნეს იგავური ენით, ალეგორიული ფრაზებით, იუმორით ნიღბავს და ნართაულად გესაუბრება. მისი თითოეული სიტყვა დასაფიქრებელი და საგულდაგულოდ გასააზრებელია. იგი რეტგენივით ხედავს ყველაფერს. იცის მასთან მისული ადამიანის წარსული, ჩადენილი სიკეთე და ცოდვები, ხედავს მის შინაგან სამყაროს, სულსა და გულს, მომავალს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, სიზმრებსაც კი.

მახსენდება „კაზანტიპის“ ფესტივალი, სადაც არაორდინალური, სალოსური მოქმედებით, მათი თანამოაზრე მასხარის როლის შესრულებით, დაფნის გვირგინების დარიგებით, ანაკლიის ქუჩების სიმღერა-გალობით შემოვლითა და ნიკიტა მარშინიუკის საერთაშორისო წმინდანად აღიარებით, საერთოდ, ჩაშალა ეს ფესტივალი, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, მთელ მსოფლიოში. მათ ყველგან სერიოზული ფინანსური პრობლემები შეექმნათ.

— „პროფილში“ მეუფის მიწვევა, მისივე დაშვებით მოხდა?

— მეუფე ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საინფორმაციო სივრცეს. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული წუხდა: ქართველებმა საინფორმაციო ომი წავაგეთ და სავალალო შედეგებსაც ვიმკით. იგი დღესაც, უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ დანიშნულებას ანიჭებს საინფორმაციო სივრცეში სიმართლისათვის უკოპრომისო ბრძოლას. ორი მტკივნეული ანტითეზის სიმართლისა და სიცრუის ომი მედიასივრცეშიც მიმდინარეობს და კარდინალური მნიშვნელობა აქვს თუ ვინ მოიგებს მას.

„პროფილში“ მეუფის გამოსვლა, სწორედ, ამ მიზანს ემსახურებოდა. მან სულიერ ბრძოლაში მოიგო საინფორმაციო ომი. ახლა კი, დროის საკითხია, როდის მოხდება ფიზიკურად მედეასივრცეში საბოლოო გამარჯვების მოპოვება. უკვე, ძალიან ბევრი რამ შეიცვლება. ამას თვალნათლივ ,დაინახავს საქართველოსა და მსოფლიოს მოსახლეობაც.

მეუფემ მოსესა და აარონის მსგავსად დააგდო კვერთხი ტელეწამყვანის წინ და წონასწორობიდან გამოიყვანა ეგზალტირებული ჟურნალისტი თავის თანამოაზრეებთან ერთად. ანუ, მეუფის კვერთხმა სტუდიაში იგივე მისია შეასრულა, რაც აარონის კვერთხმა ფარაონის სამეფო კარზე. მეუფის კვერთხის სტუდიაში ტელეწამყვანის წინ დაგდებამ საინფორმაციო სივრცეში აღასრულა ზუსტად ისეთივე სასწაული, რაც მოსესა და აარონის კვერთხმა ფარაონის კარზე, ეგვიპტის ტყვეობიდან ებრაელთა გამოსახსნელად.

ამ სასწაულით მათაც გაუსასტიკდათ გული და როგორც ჩანს, ფარაონის მსგავსად მრავალ წინააღმდეგობასაც გასწევენ მომავალში. მაგრამ ეგვიპტელთა მსგავსადვე ,შთათქავს მათ ორად გაპობილი ზღვის ტალღები უახლოეს მომავალში.

ამ ბიბლიურ ეპიზოდში ერთი საინტერესო პასაჟია, სადაც მოსე ეგვიპტელთა მრავალრიცხოვანი ჯარით შეძრწუნებულ ხალხს ამშვიდებს და ეუბნება: „უფალი იბრძოლებს თქვენთვის, თქვენ მშვიდად იყავით.“

დიახ, უფალი შეეწევა ქართველ ხალხს მომავალ ბრძოლებში, ისე როგორც არაერთგზის მომხდარი საქართველოს ისტორიაში და მისი რისხვა ცეცხლის სვეტებად დაატყდება თავს მის მტრებს, ქართველთა ძლევამოსილი გამარჯვების საწინდარად!

— მეუფეს ირონიით და დაცინვით უყურებენ, გიჟად მოიხსენიებენ, მის გვერდით მყოფთ, კი ფანატიკოსებად და სექტის წევრებს ეძახიან...

— სკეპტიკოსების დასაშომინებლად მოვიშველიებ მამა გაბრიელისა და მამა ნიკოლოზის სულიერი შვილის მალხაზ ჯინორიას მოგონებას:



გასალები, რომელსაც მეუფე ილარიონი ატარებს

მამა იოანე ოლარი

„მამა გაბრიელი წმიდანია და თუ მის სიტყვებს უჯერებთ, მაშინ ისიც გაიგეთ რომ ამბობდა: „მე რომ არ ვიქნები, შეიძლება რჩევისათვის მეუფე ილარიონთან მიხვიდეთო, მისი საქციელი კი მოსაწონია ღვთისგანო. როგორ ფიქრობთ მამა გაბრიელს ეშლებოდა?“

— დიახ, მამა გაბრიელმა ისიც, ხომ თქვა: „მე ვუგებ ილარიონს და ილარიონი მიგებს მე“.

ხომ ვერ აგვიხსნით, რას ნიშნავს გულზე რომ გასაღები ჰკიდია, პანაღიასთან ერთად?

— ეს გასაღები, ვფიქრობ, სიმბოლური სახეა ზეციური ჭეშმარიტი სამოთხის გასაღებისა და გარკვეული მისტიკური ძალაც უნდა ჰქონდეს. ოღონდ ,კვერთხივით მხოლოდ მეუფის ხელში. სხვასთან ეს ძალა არ გამოვლინდება.

— გთხოვთ, გვესაუბროთ წმინდა მამის, მეუფე ილარიონის შეკვეთით დაწერილი ხატის შესახებ.

— კანონიკური თვალსაზრისით ამ ხატის არსებობა აბსოლუტურად გაუმართლებელია. მაგრამ ამ ხატს დიდი მისტიკური დატვირთვა აქვს და ჩვენი ეპოქისათვის უაღრესად აქტუალურია. ეს სწორედ ის ხატია, რომელიც გლობალისტებთან ომში შეგვეწევა და სწორი ტაქტიკური სვლებისა და გამარჯვების საიდუმლოს გვაზიარებს. ხატზე გამოსახულმა სამივე პოლიტიკურმა ფიგურამ სტალინის მეთაურობით უდიდესი როლი ითამაშა კაცობრიობის ისტორიაში და გლობალისტების კაცთმოძულე პროექტი ჩაშლეს. ჩერჩილმა და რუზველტმა ნებსით თუ უნებლიედ გლობალისტების მიერ პროვოცირებულ ომში ზუსტად ის როლი შეასრულეს რაც სტალინმა განუსაზღვრა მათ. „სტალინი იყო გენიოსი, რომელმაც თავისი მტერი საკუთარი მტერის ხელით გაანადგურა.“- მწარედ აღიარა ჩერჩილმა.

ეს ხატი მეტაფიზიკური იდუმალებითაა მოცული. იგი გვიმჟღავნებს სულიერი ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის დიდი საიდუმლოს, რომელიც ფიზიკურ სივრცეში ავლენს ძლევამოსილ ძალასა და ენერგიას.

შარავანდედი მეუფე ილარიონის გარშემო

ხატზე გამოხატული სამი პიროვნება მისტიკურად ქმნის სულიერი ბრძოლის საკმაოდ ცნობილ გეომეტრიულ ფიგურას (იარაღს), სადაც სამკუთხედის წვერიდან მოყვასი-სტალინი ფუძის მარჯვენა (მტერი-რუზველტის) და მარცხენა (მოღალატე-ჩერჩილის)

მამა ნიკოლოზ მაქარაშვილი

კუთხეებს აკონტროლებდა. ორივე ებრძოდა სტალინს. მაგრამ სტალინმა უმაღლესი რანგის მასონები აიძულა ემოქმედათ მისი შემუშავებული სტატეგიის მიხედვით და მათი დახმარებით სასტიკად დაამარცხა მათივე მოკავშირეები — მასონები. ხატის დაწერის მიზანი რუზველტისა და ჩერჩილის „გაქანებული ბოროტეულების“ (მამა გიორგი ბასილაძე უწოდებდა) მიმართ თაყვანისცემა და ლოცვის აღვლენა კი არ არის, არამედ მისი მისტიური საზრისის სულიერი ხედვით შეიცნობა და გამოყენებაა. მით უფრო, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ კაცობრიობა ისევ დადგა გლობალიზმის რეალური საფრთხის წინაშე. 90-იანი წლებიდან იგივე პრობლემა მწვავედ დგას საქართველოს წინაშეც. სწორედ ესაა ამ ხატის დაწერის საბაბი.

— უფრო კონკრეტულად, რა საშუალებებს იყენებდა სტალინი გლობალისტების წინააღმდეგ?

— სტალინმა შეიმუშავა გლობალიტებთან ბრძოლის წარმატებული ტაქტიკა და ტექნოლოგია, შეძლო მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში თავისი თამაშის წესების შემოტანა და მართვის სადავეების ხელში აღება. შექმნა ალტერნატიული მსოფლიო ბაზარი და შეარყია დოლარის პოზიცია. ჩამოაყალიბა მძლავრი სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელმაც 60 წლის მანძილზე (ვიდრე გორბაჩოვ-შევარდნაძის ტანდემმა 1989 წლის 2-3 დეკემბერს მალტაში არ გაყიდეს) უპირისპირდებოდა და აფერხებდა გლობალისტების ნეოიმპერიის — ერთიანი მსოფლიო ხელისუფლების შექმნის პროექტს.

სტალინმა შეძლო გლობალისტური პირამიდის საფუძვლების შერყევა და შეაჩერა გლობალისტური გოდოლის მშენებლობა არა იმიტომ, რომ იყო ძლიერი მონსტრი, როგორც ეს სურთ წარმოაჩინონ დასავლეთელ იდეოლოგებს, პოლიტიკოსებსა და მათ სულგაყიდულ ბრმა მიმდევრებს. არამედ იმიტომ, რომ იგი იყო ჯვარცმული ქრისტეს უბადლო მსახური.

დიახ, იგი მორწმუნე გახლდათ და ყველაფერს წმიდა სამების ნებით, ბრძანებითა და ძალით აღასრულებდა. სტალინს ჰყავდა სულიერი მოძღვარი, ბერი იერონი, რომელიც ციმბირში მოღვაწეობდა.

— ციმბირში ხშირად ჩადიოდა, თურმე, ბერთან. იმასაც ამბობენ, სწორედ მისი კურთხევით შეაღწია სტალინმა სოციალისტურ სისტემაში.

— მე-20 საუკუნის დასაწყისში ბერი იერონი ახალი ათონის მონასტერში მოღვაწეობდა. ამ დროს, მოღვაწე ბერებმა, კაცობრიობისათვის მოახლოებული გლობალისტური საშიშროების თავიდან ასაცილებლად, მოიწვიეს საიდუმლო კრება, სადაც განიხილავდნენ თუ როგორ დაპირისპირებოდნენ გლობალისტურ რეაქციულ ძალას. მათ გადაწყვიტეს შეერჩიათ კანდიდატი ვინც შეძლებდა მათ სისტემაში შეღწევას და წარმატებით ბრძოლას მართლმადიდებლობისა და კაცობრიობის გადასარჩენად. ბერ იერონს, რომელიც სტალინის მოძღვარი იყო გამოცხადებით ეუწყა, რომ ამ საქმისათვის შესაფერისი, ღვთივკურთხეული კანდიდატი იყო მისი სულიერი შვილი. ათონელი მამაებისა და თავად იერონის კურთხევით, სტალინი შევიდა ბოლშევიკურ პარტიაში და აქტიურად ჩაება პოლიტიკურ ცხოვრებაში. სტალინი მთელი სიცოცხლის მანძილზე მისგან ღებულობდა რჩევებს და მოქმედებდა მისი კურთხევის მიხედვით.

— მამა გიორგი/ბასილაძე/ ბრძანებს, „თუ ბოროტს შეუძლია მიიღოს კეთილის სახე, რატომ არ შეუძლია კეთილმა მიიღოს ბოროტის სახეო“ და შეაღწია ბოროტის სახით სისტემაში და იღვაწა, როგორც მართლმადიდებელმა?

— სტალინის მთელი მოღვაწეობა არა რიგითი მართლმადიდებელის, არამედ დიდი წმინდანის ღვაწლის ტოლფასია. მან მე-20 საუკუნეში კაცობრიობა იხსნა ანტიქრისტეს მეუფებისაგან. უყოყმანოდ შეწირა შვილის სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობას და პირნათლად ჩაბარა აბრაამის გამოცდა. სტალინმა ჭეშმარიტად დაამტკიცა, რომ მისთვის უმთავრესი იყო ღმერთი. დღეს, უკვე, ყველასთვის ცნობილია, რომ მას კაბინეტში ფარულად ჰქონდა ხატები და ლოცვებს აღავლენდა. საგულისხმოა, ომის დროს, ღვთისმშობლის ხატების ლენინგრადის, მოსკოვისა და სტალინგრადისათვის ქალაქის გარშემო ლოცვით შემოტარების ისტორიაც. სტალინი არა მარტო თვითონ იყო მორწმუნე, არამედ თავის საიმედო თანამებრძოლებსაც აზიარებდა ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებს. ამასთან დაკავშირებით, გავიხსენებ გენერალ მიხეილ თევდორაძის მოგონებას, სადაც იგი აღწერს სტალინთან ერთერთი საქმიანი შეხვედრის ბოლოს, როგორ აჩუქა მას სახრება და უთხრა: -„ეს წმიდა ოთხთავია, სახარება. სპეციალურად ჩემთვის დავაბეჭდინე. გქონდეს, წაიკითხე და შემდეგ ვისაუბროთ“... წმიდა წიგნს წითელი ფანქრით ქართულენოვანი წარწერა ამშვენებდა: „გენერალ თევდორაძეს — გენერალისიმუს სტალინისგან. ღმერთის რაობის გასაცნობად“ (გენერალ მიხეილ თევდორაძის ჩანაწერები). სტალინი იყო ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სახელმწიფო მოღვაწე: „რეფორმები გარდაუვალია — წერდა ის — მაგრამ ყველაფერს თავის დრო აქვს. ეს უნდა იყოს ორგანული რეფორმები... იმ ტრადიციებზე დაფუძნებული, რომელიც თანდათანობით აღადგენს მართმადიდებლურ თვითშეგნებას.“ ეს განაცხადი არა მგონია სხვაგვარი ინტერპრეტაციის საბაბს იძლეოდეს. აქვე დავამატებ, არავითარი „სტალინური რეპრესიები“ არ ყოფილა. სინამდვილეში იყო ომი, რომელიც დაიწყო „რევოლუციის“ წლებიდან, გლობალისტების მიერ ინსპირირებული. იგი დასრულდა 1939 წელს სტალინის მომხრეთა გამარჯვებით და მოყვა ომის ინსპირირება გერმანელებთან.

სტალინი

— გლობალიზაციის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლით სტალინმა დიდი სამსახური გაუწია თავის მართლმადიდებლურ სამშობლოსაც, ოპონენტები კი, განუწყვეტელად იმეორებენ ერთიდაიგივეს: რა გააკეთა სტალინმა საქართველოსთვის?

— ძალიან ბევრი რამ, კერძოდ

— 1943 წელს სტალინის ბრძანებით აღადგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია;

— 1943 წელს საქართველოს პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ თბილისში აკურთხა რუსეთის პატრიარქი ალექსი I;

— სტალინის დე გოლთან დაკავშირების შემდეგ, 1945 წლის 11 აპრილს საფრანგეთში არსებული ქართული საგანძური ექვთიმე თაყაიშვილმა სამშობლოში დააბრუნა;

— სტალინის ბრძანებით ააშენეს ქ.რუსთავი, საქართველოს მძიმე მრეწველობის ცენტრი, რომელიც 1948 წლიდან უკვე ქალაქად იხსენიება;

— სტალინის ბრძანებით აშენდა მეტალურგიული ქარხანა ქ.რუსთავში;

— სტალინის დროს ჭიათურა მსოფლიოში პირველი ქალაქი იყო, სადაც ყველაზე მეტი საბაგირო გზა იყო გაყვანილი (დღესაცაა სტალინის მოზაიკები საბაგიროებზე);

— სტალინის ბრძანებით აშენდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა;

— სტალინის ბრძანებით გაკეთდა „თბილისის ზღვა“ (1947წ), აშენდა რიონჰესი (1927), ზაჰესი (1927), აწჰესი (1941 წელი), სამგორის სარწყავი სისტემა (1947-51 წწ) და სხვა;

— სტალინის ბრძანებით აშენდა თბილისის საავიაციო ქარხანა;

— სტალინის ბრძანებით აშენდა ქუთაისის ავტომშენებელი ქარხანა;

— სტალინის ბრძანებით მიენიჭა ანსამბლ სუხიშვილებს პირველი ხარისხის პრემია;

— სტალინის ბრძანებით აღადგინეს რეპრესირებული ილია ჭავჭავაძის სახელი;

— სტალინის ბრძანებით გახსნეს მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა 1935 წელს „მუშტაიდის ბაღში“;

— სტალინის ბრძანებით გადაიღეს ეროვნული კინემატოგრაფიის ერთერთი შედევრი „გიორგი საკაძე“, გადაღების დამთავრებისთანავე (1943) ფილმის ასლები ჯუღაშვილმა თეირანის კონფერენციაზე პირადად დაურიგა შეხვედრის მონაწილეებს;

— სტალინის ბრძანებით ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“, შალვა ნუცუბიძის თარგმანში თავად შეიტანა კორექტირება, ხოლო 1402-ე სტროფი სტალინმა თავად გადათარგმნა;

— სტალინის ბრძანებით 1951 წელს თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა დაიწყო;

— ქლუხორის და ახალხევის რაიონები სტალინის დამსახურებით 1944 წლიდან მის გარდაცვალებამდე საქართველოს ტერიტორიებში შედიოდა;

— ომის დროს ასპინძისა და ახალციხის რაიონების სოფლებიდან თურქული ორიენტაციის მოსახლეობა შუა აზიაში გადაასახლა;

— ჩაშალა ოპერაცია „ედელვაისი“, რომელიც ფაშისტების მიერ კავკასიის დაპყრობას გულისხმობდა;

— 1933-1934 წლებში მთელ საბჭოთა კავშირში კანონით აკრძალა აბორტი და ჰომოსექსუალიზმი. ვფიქრობ, საკმარისია, თუმცა ეს არ გახლავთ სრული ნუსხა სტალინის მიერ საქართველოსათვის გაკეთებული საქმეებისა.

დასასრულს ბოდიშს ვუხდი საზოგადოებას, რომ გავკადნიერდი და გავბედე ძალიან საინტერესო, მაგრამ სპეციფიკურად რთულ საკითხებზე საუბარი.

მზისო ნავროზაშვილი

გიორგი გურჯიევი -ცოტა რამ „თეთრი ეშმაკის“ შესახებ

ცნობილი ეზოთერიკოსი გიორგი გურჯიევი, რომელსაც ადამიანების სულის მექანიკოსსაც ეძახდნენ, ადამიანებს ორ ჯგუფად ყოფდა – მმართველებად და მართვადებად. ეს დაყოფა ეფუძნებოდა საკუთარი ემოციონალურ-ფსიქიკური გამოვლინებების გაცნობიერებულად მართვას ან მასზე კონტროლის სრულებით არქონას. მისი აზრით, ადამიანთა უმრავლესობა მთლიანად მართვად ფენას განეკუთვნება, რომელიც სიცოცხლეს მხოლოდ გარეგან გამღიზიანებლებზე მექანიკურ-ემოციონალურ რეაგირებაში ატარებს. ამიტომაც მუდმივი შინაგანი დამკვირვებელის, ანუ საკუთარი თავის მუდმივი ხსოვნის გარეშე ადამიანი არ არსებობს. ის მხოლოდ მექანიზმია, რომელიც შეიძლება როგორც დაპროგრამდეს, ასევე მოხდეს მისი დეპროგრამირება ნებისმიერი მიმართულებით.

ადამიანი მანქანად დარჩება იმდენი ხანი, რამდენიც ამის გაცნობიერებისთვის დასჭირდება. როდესაც იგი სულ მცირედით მაინც დაეჭვდება თუ რაოდენ მართვადია, რაოდენ დამორჩილებული, როგორც მისი შინაგანი სამყაროს მიერ, ასევე მის ირგვლივ განვითარებული მოვლენებით, მხოლოდ მაშინ შეიძლება გაღვივდეს ის ნაპერწკალი, რითაც მოახერხებს ამ გაუცნობიერებელი მექნიკურობის წრიდან თავის დაღწევას. გიორგი გურჯიევი: „პირველ რიგში, აუცილებელია ჩვენში შევისწავლოთ ეს მექანიკურობა, ხოლო როდესაც მანქანა იწყებს საკუთარ თავზე დაკვირვებას, ის უკვე მანქანა აღარ არის. ყოველ შემთხვევაში, ისეთივე მანქანა, როგორიც ამ მომენტამდე იყო. აქედან იწყება პასუხისმგებლობის აღება საკუთარ მოქმედებებზე“ წინააღმდეგ შემთხვევაში კი „ადამიანი სამუდამოდ იქნება მონა და სათამაშო მასზე მოქმედი სხვადასხვა შიდა თუ გარე ძალისა“.

მის სისტემაში პრაქტიკული მხარე უკავია ადამიანისთვის უსიამოვნო და რთული სიტუაციებისგან თავის არ არიდებას და როგორც ის უწოდებდა, ამ ყველაფრის სამუშაოდ ქცევას, ანუ სიტუაციების გავლას დამკვირვებლის შენარჩუნებით. თუ ადამიანი ცხოვრობს ყოველგვარი შინაგანი ბრძოლის გარეშე, მიდის იქ, საითკენაც ქარი დაუბერავს და თუ მისგან სრულიად დამოუკიდებელი ემოციები ექაჩებიან, ის ვერასოდეს შეიცვლება“, - ამბობდა იგი.

მისტიკოსი ამბობდა, რომ რელიგიები და უძველესი ტრადიციები ერთ დროს დიდ ცოდნას ინახავდა, მაგრამ ადამიანებმა ზოგჯერ თავიანთი პატივმოყვარეობის გამო, ზოგჯერ კი უნებლიედ, დაამახინჯეს და არსი დაუკარგეს, ამიტომ მათ აღარ ჰქონდათ ის ძალა, რაც უწინ. ადამიანის გონებაც თანდათან დაქვეითდა და აღარ შესწევდა უნარი, გაერჩია კარგი და ცუდი, ჩასწვდომოდა ჭეშმარიტებას. ამის ნათელი შედეგი იყო 1914-18 წლებში მიმდინარე I მსოფლიო ომი.

მისი თანამედროვეების აღწერით, მისტიკოსი ფრიად ცბიერი და საშიში ადამიანი იყო. მისი ქარიზმა ვერავის დატოვებდა გულგრილს. ჰქონდა ადამიანის დაჰიპნოზებისა და მისტიფიკაციის საოცარი უნარი. მასთან საუბრისას ყველა კარგავდა დროის შეგრძნებას. ბევრ მათგანს ეგონა, რომ საუბარი სულ ახლახან დაიწყეს, არადა უკვე რამდენიმე საათი იყო გასული. როცა ევროპელ ინტელიგენტებს მათივე ისტორიიდან რამდენიმე საუკუნის წინანდელ საინტერესო ამბებს უყვებოდა, ისეთ წვრილმანებს ახსენებდა, რომ ტოვებდა შეგრძნებას, თითქოს ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი. ადამიანებთან კონტაქტისას სიფაქიზეს ავლენდა, ყველას სხვადასხვანაირად ესაუბრებოდა. სადაც კი ჩადიოდა, ყველას თავიანთ მშობლიურ ენაზე უსაუბრებოდა, არასდროს სჭირდებოდა თარჯიმანი.

ცნობილი მისტიკოსისა და მედიუმის გიორგი გურჯიევის წარმომავლობა და ბიოგრაფიული მონაცემების ნაწილი დაზუსტებით არაა ცნობილი. რადგან გულმოდგინედ ნიღბავდა თავის ბიოგრაფიას. დაბადების თარიღად ასახელებენ 1866-დან 1877-მდე წლებს. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, ის დაბადებული იყო 1877 წლის 28 ნოემბერს, თუმცა მისი ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, ამას უტყუარ ფაქტად ვერ მივიღებთ. აზრთა სხვადასხვაობაა მის ბიოგრაფებს შორისაც. მაგალითად, ჯეიმს მური 1866 წელს მიიჩნევს უფრო შესაფერისად, უილიამ პეტერსონი – 1872-ს. ოჯახის შესახებ ტრადიციულად მიჩნეულია, რომ პონტოელი ბერძენი მამისა და სომეხი დედის ოჯახში დაიბადა. თუმცა ცნობილია, რომ საქართველოში მცხოვრები მუსლიმები ქართველებს „გურჯებს“ ეძახიან, ამიტომ გვარის გამო მის ქართულ ფესვებზეც არის საფუძვლიანი ეჭვები.

დევიდ ალან ჰულსი წიგნში „ენციკლოპედირი მეგზური წმინდა ენებისკენ“ საუბრობს ქართული ენის შესახებ და იქვე ამატებს: ქართულ დამწერლობაში ძირითადად ორი სტილია გავრცელებული: ხუცური, რომელიც მრგვალი ფორმებით გამოირჩევა და მხედრული. მხედრული დამწერლობა ძალიან ჰგავს იმ საიდუმლო ანბანს, რომელსაც გურჯიევი იყენებდა წერისას. შეიძლება სწორედ ეს დამწერლობა დაგვეხმაროს, გავშიფროთ მისი სიმბოლოები ე.წ. „ენაგრამები“, რომლებსაც ნაშრომებში რთავდა.

გურჯიევი საუბრობს ძალიან სწავლული ტონით, თავის დებულებებს ასურათებს უამრავი ანდაზითა და გამოთქმებით და „ძველი დროიდან მოხმობილი“ პერსონაჟებით რომელთა კვალიც ხშირად არსად არ ჩანს.

ხან ბრძენკაცის და ხანაც გიჟის მანერების გამომყენებელი გურჯიევი შლის და აბუნდოვანებს. იგი გაიზარდა ყარსში და მსოფლიოს მრავალი ადგილი მოიარა – ცენტრალური აზია, ეგვიპტე, ევროპა.. 1912 წელს რუსეთში დაბრუნდა და თქვა: „დავიწყე რუსეთით და დავასრულე რუსეთით“. 1912 წელს მოსკოვში მას უკვე გამოუჩნდა მოწაფეები. ამავე წელს იქორწინა პოლონელ ჯულია ოსტროვსკაზე და გადავიდა სანკტ-პეტერბურგში. მის მოწაფეებში ირიცხებოდა ფილოსოფოსი პიოტრ უსპენსკი. 1916 წელს კი უკვე 30 მიმდევარი ჰყავდა.

1917 წელს სომხეთში, ალექსანდროპოლში დაბრუნდა. ბოლშევიკური რევოლუციის პერიოდში თავის სწავლებებს ავრცელებდა ესენტუკში, ტუაფსეში, მაიკოპში, სოჭაში, ფოთში. 1919 წელს გურჯიევი ყველაზე დაახლოებულ მოწაფეებთან ერთად თბილისში ჩამოვიდა. აქვე გახსნა „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტი“, რომელსაც შემდგომში „მეოთხე გზა“ ეწოდა. მალე მას ოჯახის წევრებმა ჩააკითხეს და შეატყობინეს, რომ თურქებმა მამამისი დაჭრეს, დედა და რამდენიმე ნათესავი კი ტიფმა იმსხვერპლა. 1920 წელს სიტუაცია აირია და ჯერ ბათუმში, შემდეგ კი სტამბულში გადაინაცვლა. აქ მოწაფეებთან ერთად გაეცნო დერვიშების ადათ-წესებს, დაინტერესდა სუფისტური ცერემონიით „სამა“ . სტამბულშივე შეხვდა ბრიტანელ მეცნიერს, მკვლევარსა და მწერალს ჯონ ბენეტს, რომელიც მალევე გახდა მისი მიმდევარი..

1924 წელს პარიზიდან ბრუნდებოდა, როცა ავარიაში მოყვა და მძიმედ დაშავდა, ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს. არის ვარაუდი, რომ ავარია, თავიდან მოსაშორებლად, სტალინმა მოუწყო. რადგან ყოფილი მეგობარი აქტიურად იყო ჩართული მის მტრებთან „დაფარული ცოდნის“ ძიება–რეალიზაციაში. საკუთარი ცოდნის დახმარებით, მას ექიმი არც დასჭირვებია, ისე გამოჯანმრთელდა. ამავე წელს დაიწყო წერა წიგნისა „ვერა და ყველაფერი“. 1925 წელს მისი ცოლი კიბოთი დაავადდა. სამწუხაროდ, ვერც რადიოთერაპიამ უშველა და ვერც გურჯიევის მკურნალობამ და 1926 წლის ივნისში გარდაიცვალა. ფრიც პიტერსის წიგნი „გურჯიევი ამერიკაში“ გვამცნობს, რომ მისტიკოსი 1925-26 წლებში აქტიურად სტუმრობდა ნიუ-იორკს და თავისი ქონება დაახლოებით 1 მილიონი დოლარით გაზარდა.



გიორგი გურჯიევი თავის წიგნში „სამყაროს მიუკერძოებელი კრიტიკა, ანუ ბელცებუბის ნაამბობი თავის შვილიშვილ ჰასინისადმი“, გვაწვდის უაღრესად საინტერესო, სრულიად ახალ ცნობას თავისი წარმოშობის შესახებ – რომ ის არის თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის დისწული. ამავე ნაშრომში გურჯიევი საუბრობს თბილისში გატარებული ახალგაზრდობის შესახებ. აღწერს ძველი თბილისის მაშინდელ მდგომარეობას, მის მკვიდრთა ცხოვრების ეპიზოდებს...

გურჯიევის პარიზელი და თბილისელი ნაცნობები ერთხმად ამბობენ, რომ იგი ქართულად ლაპარაკობდა და ის ქართველია... უცხოელები მას უმთავრესად მოიხსენიებდნენ, როგორც „კავკასიელს“.

23 ბ.

კასიუს კლეი

გარდაიცვალა ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი კრივში მოჰამედ ალი (კასიუს კლეი). იგი განსაკუთრებული ადამიანი და სპორტსმენი გახლდათ. რომის ოლიმპიურ თამაშებზე მოჰამედ ალი ჩემპიონი გახდა, რის შემდეგაც პროფესიულ კრივში გადაინაცვლა და პრესტიჟულ, მძიმე წონაში კვლავ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. მოჰამედ ალი რინგზე განსაკუთრებული მანერით და ტექნიკით გამოირჩეოდა. იგი საკუთარ თავზე ამბობდა: „რინგზე პეპელასავით დავფარფატებ, სამაგიეროდ, ფუტკარივით ვშრომობო“. მართლაც, რინგზე თითქოს ცეკვავდა. ყოველთვის ცდილობდა, ლამაზი ორთაბრძოლებით დაემახსოვრებინა თავი მაყურებლისთვის. ალის მიერ ჩატარებული 61 ბრძოლიდან 56 მისი გამარჯვებით დამთავრდა. ვიეტნამის ომის სასტიკი წინააღმდეგი იყო და არც მკვეთრ, მკვახე გამონათქვამებს ერიდებოდა. ამისთვის ტიტულები ჩამოაწერეს და სამი წელი უმოქმედოდაც კი იყო. თუმცა, მოგვიანებით, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული კვლავ დაუბრუნა.

აქტიურ სპორტს 80-იან წლებში ჩამოშორდა.

მისი ნამდვილი გვარ-სახელი კასიუს მარსელუს კლეი გახლდათ. იგი კათოლიკურ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. მოგვიანებით, ისლამი მიიღო და მოჰამედ ალი გახდა, ახალი სარწმუნოების საპატივცემულოდ.

30 წელი ებრძოდა მძიმე დაავადება პარკინსონს, რომელიც მიღებული ტრავმების შედეგად განუვითარდა. მიუხედავად ავადმყოფობისა, 1996 წლის ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ოლიმპიური ცეცხლის მეჩირაღდნე იყო.

ისე, რომ ვერ შეძლო მძიმე დაავადების დამარცხება, 74 წლის ასაკში გარდაიცვალა. ვისაც ერთხელ მაინც აქვს ნანახი მის მიერ რინგზე ჩატარებული თუნდაც ერთი ორთაბრძოლა, კასიუს კლეი სამუდამოდ ემახსოვრება. კრივში და, საერთოდაც, სპორტში მოჰამედ ალის განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი მშობლიურ ქალაქში მუსულმანური წესით დაკრძალეს.

გია ბურდული

22 გვ.

მეცხრამეტე საუკუნის დამლევს მან დატოვა საქართველო და აღმოსავლეთში წავიდა. იყო ირანში, თურქეთში, ეგვიპტეში, ხოლო შემდეგ დიდი ხნით ტიბეტში დასახლდა. იქ მან ათი წელი დაჰყო. იგი ტიბეტში დალაი-ლამას მრჩეველი და მასწავლებელი გახდა. გურჯიევმა ტიბეტში ძველი ჩინური მედიცინა შეისწავლა. ჰიპნოზით აძინებდა და უმტკივნეულოდ ამშობიარებდა ორსულ ქალებს, ფლობდა ტელეპათიისთვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს და ასე შემდეგ. ამ განსაცვიფრებელი ხელოვნებისთვის მას ტიბეტში „თეთრი ეშმაკი უწოდეს“.

1919 წელს გურჯიევი ოცი წლის განშორების შემდეგ სამშობლოში – საქართველოში დაბრუნდა. მან თბილისში გახსნა – „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტი“.

1923 წელს პარიზში ხსნის იგივე ინსტიტუტს. მის მსმენელთა შორის მოიხსენიებენ ჰიტლერს, ჰიმლერს და სხვა მომავალ ფაშისტ ბელადებს. გურჯიევი მოძღვრებას და ქადაგებას განაგრძობს პარიზში გადასვლის შემდეგაც.

შემოდგომის ერთ საღამოს ის სვამს თავის ბოლო სადღეგრძელოს: „გაუმარჯოს იდიოტებს“.

ამის შემდეგ ის მძიმედ ავადმყოფი საავადმყოფოში მიჰყავთ.

გურჯიევი გარდაიცვალა 1949 წლის ოქტომბერში.

ნიუ–იორკში და პარიზში შექმნილი გურჯიევის ფონდების ხელმძღვანელობა დაეკისრა გურჯიევის მოწაფე ჟანა დე სლაზმანს.

დღესაც არსებული ამ ფონდების მისიაა „ აღმოსავლელი მოგვის“ მოძღვრების უტყუარობის შენარჩუნება.

გურჯიევს სურდა, ის ხსომებოდათ, როგორც „ცეკვის მასწავლებელი“. იგი თავის მოწაფეებთან საუბრისას აღნიშნავდა, რომ „შეუძლებელია ადამიანის პიროვნული „მე“ იყოს მუდმივი. ის ყოველ წუთს იცვლება მისი ფიქრების, აზრების, ქცევების, განწყობების გამო. ადამიანებს აქვთ ილუზია, რომ ჩამოყალიბებული, უცვლელი პიროვნებები არიან, მაგრამ რეალურად მათი „მე“ ყოველდღე იცვლება და ახლდება. ჩვენ ისიც კი არ ვართ, რაც ვიყავით თუნდაც ნახევარი საათის წინ, – ამბობდა იგი.

მოამზადა
ქეთევან ზარნაძემ
599 526 030

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

– შეიძლება თუ არა, სასამართლოს ჩარევის გარეშე შეეზღუდოს მშობელს გარკვეული უფლება?

- ვინაიდან, კანონი ბავშვის ინტერესების დაცვას ანიჭებს ძალიან დიდი მნიშვნელობას, იგი ითვალისწინებს გარკვეულ ზომებს, ე.წ. „ სანქციებს“ იმ მშობლების წინააღმდეგ, რომლებიც სათანადოდ არ ზრუნავენ ბავშვის რჩენასა და აღზრდაზე.

თუმცა, გახსოვდეთ: სასამართლოს გარდა, არავის აქვს უფლება, შეზღუდოს მშობლის უფლება! მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოხდეს ერთი ან რამდენიმე უფლების შეზღუდვა.

* * *

– განვქორწინდი მეუღლესთან სასამართლო წესით, მაგრამ განქორწინება არ დაგვირეგისტრირებია. ვითვლებით თუ არა განქორწინებულად?

- არა.

ქორწინება შეწყვეტილად ითვლება განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.

გახსოვდეთ: განქორწინების დარეგისტრირება შესაძლებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს სამი წლის განმავლობაში, რომელიმე მეუღლის ინიციატივით. თუ ეს სამი წელი ისე გავიდა, რომ არცერთმა მეუღლემ გადაწყვეტილება რეგისტრაციაში არ გაატარა, ისინი კვლავ დაქორწინებულებად ჩაითვლებიან.

* * *

– რა ვადაში გაქარწყლდება ნასამართლობა?

- მუხლი 79. ნასამართლობა

1. მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

2. სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

3. ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებულისა — გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

4. თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული ან თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან.

5. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე.

6. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

* * *

– თუ შეიძლება, გაგვაცანით დანაშაულთა კატეგორიები სიმძიმის მიხედვით.

- მუხლი 12. დანაშაულის კატეგორიები

1. ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით სასჯელად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით დანაშაული სამი კატეგორიისაა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაული;

ბ) მძიმე დანაშაული;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

2. ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას.

3. მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.

4. განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ემუქრება თუ არა საქართველოს ზიკას ვირუსი?

გავრცელდა ხმები, ბრაზილიაში გავრცელებული ზიკა ვირუსი საქართველოშიც შემოაღწევსო. ვითარებაში გასარკვევად საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეს **პაატა იმნაძეს** ვესაუბრეთ.

— ბატონო პაატა, რა არის ვირუსი ზიკა, რომელიც ბრაზილიაში გავრცელდა?

— მოდით, დავიწყოთ იმის თქმით, რომ ზიკას ვირუსი ახალი სულაც არ გახლავთ. ის ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს აფრიკაში აღმოაჩინეს. როგორც გადამდები დაავადებების უმეტესობა, ზიკაც კოღოს გადააქვს. თუმცა, როგორც უცხოელმა მედიკოსებმა ახლახან დაამტკიცეს, დაავადება ადამიანებში სქესობრივი გზითაც გადადის.

— ჩვენი მოსახლეობა შიშობს, რომ დაავადება შეიძლება საქართველოშიც გავრცელდეს. რამდენად მოსალოდნელია ზიკას ვირუსის გავრცელება საქართველოში?

— საქართველოში ზიკას გავრცელების ნაკლები საშიშროება არსებობს. თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოში, განსაკუთრებით აჭარაში, არსებობს შავი ზღვის კოღო, რომელიც ვირუსული დაავადებების რისკს, გარკვეულწილად, ზრდის.

— თუმცა, როგორც ცნობილია, ჩვენთან უკვე დაფიქსირდა ზიკას შემთხვევა.

— დიახ, ბათუმში გვქონდა ერთი შემთხვევა, მაგრამ ვირუსი უცხო ქვეყნის მოქალაქეს აღმოაჩნდა.

— რადგან უცხოეთი ვახსენეთ, შეგეკითხებით: თუ ხდება საქართველოში შემომსვლელების საზღვარზე შემოწმება?

— თავისთავად. განსაკუთრებით იმ ქვეყნებიდან, სადაც შესაძლებელია, ზიკა იყოს გავრცელებული. გარდა ამისა, უცხოეთში მიმავალ ჩვენს მოქალაქეებსაც სიფრთხილისკენ მოვუწოდებთ, განსაკუთრებით აფრიკაში და ლათინური ამერიკის ქვეყნებში მიმავლებს.

— თუ არსებობს ზიკას საწინააღმდეგო წამალი? და საერთოდ, როგორ უნდა ვებრძოლოთ ზიკას?

— როგორც ასეთი, წამალი ჯერჯერობით არ არსებობს. რაც შეეხება ზიკასთან ბრძოლას, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი კოღოების შემცირებაა. დეზინფექციური სამუშაოები ამ კუთხით უკვე მიმდინარეობს და წელს განსაკუთრებით გაფართოვდება ამ მხრივ სამუშაოები. აჭარაში, თბილისში, უკვე მიმდინარეობს კოღოებთან ბრძოლა და მინდა გითხრათ, რომ მოსახლეობა კმაყოფილია. ამით არ შემოვიფარგლებით და კოღოებთან ბრძოლის გეოგრაფია საქართველოში გაიზრდება და გაძლიერდება.

— ბატონო პაატა, ზიკას ვირუსი მძიმე დაავადებათა რიგს განეკუთვნება?

— არა, იგი მსუბუქ დაავადებათა შორის განიხილება. მხოლოდ ორსული ქალებისთვის არის მძიმე დაავადება, რადგან დედისგან ნაყოფსაც გადაეცემა, რაც სხვადასხვა გართულებებს იწვევს ჩვილებში.

— თქვენ კი ამბობთ, რომ ზიკა მსუბუქ დაავადებებს განეკუთვნება, მაგრამ ახლახან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ექიმები ითხოვდნენ, ბრაზილიაში ოლიმპიური თამაშები არ გამართულიყო. ამის მიზეზად სწორედ ზიკას ასახელებდნენ.

— დიახ, იყო ასეთი ფაქტი, მაგრამ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტებმა მსგავს ქმედებაზე უარი თქვეს. მინდა გითხრათ, რომ ვირუსი მსოფლიოს 60 ქვეყანაშია გავრცელებული, თუმცა საგანგაშო ვითარება არსად ფიქსირდება. სწორედ ჯამო-ს აქვს აღიარებული, რომ ზიკა მსუბუქ დაავადებებს განეკუთვნება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მშვიდად ვიყოთ.

გია ბურდული
551 71 27 07

მერაბ კოსტავას ფესვები

შეხვედრისას უმალ გაუნათდებოდა კუშტი სახე. ხელს ღონივრად ჩამომართმევდა და ღიმილით ამასაც მეტყოდა: „როდის წავიდეთ იქით?..“

„იქით“ მაღლაკს ნიშნავდა, ქუთაისის დასავლეთიდან მიკრულ ჩემ მშობლიურ სოფელს გულისხმობდა მერაბი. როდესაც გავიცანი — სამოციანი წლების დასაწყისში — ფრთხილად შევბედე: „ჩემ სოფელში — მაღლაკში ცხოვრობენ კოსტავები...“



„ვიცი... იქა მაქვს ფესვები, იქ უცხოვრია ჩემ წინაპარს... მერე ქუთაისში გადასულან... საზამთრო სცოდნია უგემრიელესი... ქვიანი ადგილიაო... ამიტომაც ვართ მაგრები!..“ და თვალი ეშმაკურად ჩამიკრა.

ვეღარ მოიცალა იქ ჩასასვლელად, სახლიკაცების გასაცნობად...

დიდი სოფელია მაღლაკი — მშრომელი, სტუმართმოყვარე ხალხით დასახლებული, მათში, ერთი ოცდაათიოდე ოჯახი, კოსტავაც არის. მაღლაკელი კაცი მიწას ებრძვის თავის დღე და მოსწრება და, ცხადია, კოსტავებიც ტოლს არ უდებენ მეზობლებს, გარჯით შოულობენ არსობის პურს და ათასხუთასკომლიან სოფელში გულითადობით, კეთილშობილებით გამოირჩევიან.

ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტი რაინდისა და ლიდერის, ქართველი ხალხის მიერ ეროვნულ გმირად შერაცხული მერაბ კოსტავას ტრაგიკულად დაღუპვიდან უკვე წლები გავიდა და დარჩა სახელი, რომელიც საქართველოსთან ერთად იცოცხლებს.

სამწუხაროდ, გვარის გამგრძელებელი არ დარჩენია მერაბს. როგორც ვიცით, ტრაგიკულად დაამთავრა სიცოცლე მისმა ვაჟიშვილმაც — ირაკლიმ... მაგრამ ამ გვარს გადაშენება არ უწერია, მისი ფესვები კვლავაც საღია და ღრმად არის გადგმული ქართულ მიწაში, ჩემი სოფლის მიწაში... ხოლო, მისი სახელის საპატივისცემოდ მე და ჩემი რამდენიმე თანასოფელი მივდექ-მოვდექით, წყალტობოში შევაწუხეთ რაიონის ხელმძღვანელობა და მაღლაკის კოსტავების უბანში არსებულ 8-წლიან სკოლას მერაბ კოსტავას სახელი ვუწოდეთ,

ეჭვი არ მეპარება, რომ იქაურ გოგო-ბიჭებს მშობლები და მასწავლებლები მოუყვებიან მერაბ კოსტავას შესახებ, ეტყვიან, რომ 26 მაისი — მერაბის დაბადების დღე — განსაკუთრებული თარიღია მთელი საქართველოსთვის, რომ მისი ფესვები აქ არის — მაღლაკში, რომ მათაც ისე უნდა უყვარდეთ მშობელი ქვეყანა, როგორც მერაბ კოსტავას უყვარდა.

ვილენ მარდალეიშვილი

ავეჯის გადაზიდვის სერვისი
2 25-60-60

ISSN 2233-3983
9 772233 398001
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com